ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 22 თებერვალი, 2011 — №44 (5425) — ფასი: 30 თეთრი

## სანდრო ბრეგაძეს პატიმრობა შეუფარდეს

გვ.2



# ზვიად გამსახურდია მოკლულია



გვ.2

## სააკაშვილის ეპოქა მთავრდება

გვ.3

ბოკერია პასიური ფიგურა არასოდეს ყოფილა საქართველოს ხელისუფლებაში. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ყოველთვის მისი მონაწილეობით მიიღებოდა





## ისრაელის საელჩო ახალ შენობაში გადავიდა და მუშაობა განაახლა

გვ.6

## აჭარაში სამ მეჩეთს აშენებენ

გვ.10



## რატომ დამარცხდა საქართველო ომში



გვ.5

## რას ნიშნავს აბიტურიენტთა რეგისტრაცია ონლაინ რეჟიმში?



გვ.7

## გარემოს დაცვის სამინისტრო არ უნდა გაუქმდეს



## რატომ გაბრაზდა ხალხი ნათელაშვილზე

გვ.4



გვ.6



გვ.3

## საქართველოში ეგვიპტისა და ტუნისის სცენარი განმეორდება

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 სააკაშვილის გვარი „სიმპსონების“ ერთ-ერთ სერიაში მოიხსენიეს

4 უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ხუთი ახალი მოსამართლე წარადგინა

5 რუსეთი ტარიელ ონიანის ესპანეთში ექსტრადირებაზე დათანხმდა

6 სალომე ზურაბიშვილი სერგეი ლავროვს შეხვდა

# ზვიად გამსახურდია მოკლულია

ნანა მიშელაშვილი

**პარლამენის წევრები დღეს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნას გაეცნობიან. კომისიის დასკვნა 363-გვერდიანია და მას დეპუტატებს კონსტანტინე გამსახურდია გააცნობს.**

პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელმა კომისიამ მუშაობა უკვე დაასრულა. კომისიის საბოლოო დასკვნა პარლამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდება.

დასკვნის გამოქვეყნებამდე კომისიის თავმჯდომარე კონსტანტინე გამსახურდია ძირითად დეტალებზე არ საუბრობდა, დღეიდან კი დასკვნა საჯაროა და მისი გაცნობა ყველას შეეძლება.

რა წერია 363-გვერდიან დასკვნაში? კომისიის თავმჯდომარე განმარტავს, რომ დასკვნაში არის: საპროცესო-სამართლებრივი ნაწილი, კრიმინალისტთა დასკვნა, მოწმეთათვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტებები, პათანატომის დასკვნა, როსტოვის სასამართლო-სამედიცინო დასკვნა. ასევე დაჯგუფებულია ძირითადი წინააღმდეგობები და შეუსაბამობები.

— დასკვნის ძირითადი არსი ის არის, რომ ჩვენ მიერ მოძიებული მასალებით და მათზე გაკეთებული დასკვნების მიხედვით, ბათილდება პირველი პრეზიდენტის თვითმკვლელობის ვერსია. შესაბამისად, იქ, სადაც ბათილდება თვითმკვლელობის ვერსია, ლოგიკურად იბადება სერიოზული ეჭვი, რომ ადგილი ჰქონდა მკვლელობას, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას კონსტანტინე გამსახურდიამ.

კომისიის თავმჯდომარე ამბობს, რომ ხელს ვერავის ვერ დაადებს და დასკვნას საქართველოს მთავარ პროკურატურას უგზავნის, რათა საქმე ბოლომდე იქნეს გამოძიებული.

— ამ რესურსით და ბერკეტებით ჩვენთვის შეუძლებელი იყო საქმის ბოლომდე გამოძიება იმ გაგებით, რომ ჩვენ არა ვართ საგამოძიებო ინსტანცია, ჩვენ არა ვართ სამართალდამცავი ორგანო. ჩვენ ვართ მხოლოდ დროებითი საგამოძიებო კომისია, ამიტომაც საქმე მთავარ პროკურატურაში წავა, — აღნიშნა კონსტანტინე გამსახურდიამ.



კონსტანტინე გამსახურდია განმარტავს, რომ კომისია აპირებს, 30 კაცზე მეტი ადამიანის სია გაუგზავნოს პროკურატურას, ვინც ვერ დაჰკითხა, მათ შორის არიან უშიშროების ზოგიერთი ყოფილი ოფიცერი.

რა აფიქრებინებს კომისიის თავმჯდომარეს, რომ პირველი პრეზიდენტი მოკლეს? ეს კითხვა ჟურნალისტების მხრიდან დაისვა. კონსტანტინე გამსახურდია განმარტავს, რომ მთავარი მოწმეები აღწერენ შემავალ ჭრილობას, ასევე არსებობს ფოტოები.

— როდესაც ადამიანი მიიბჯენს პისტოლეტს და ისე ისვრის, აუცილებლად რჩება პირდაპირი გეომეტრიული გამეორება იმ იარაღის ლულის, საიდანაც განხორციელდა გასროლა. თუ ეს იარაღი ოდნავ დაშორებულია, მაშინ იქ არის ჯვარედინი ნახეთქი. არც ერთია და არც მეორე. ეს იმას ნიშნავს, რომ იარაღი ნასროლია დაახლოებით 20 სანტიმეტრიდან 50 სანტიმეტრამდე დისტანციით. ახლა წარმოიდგინეთ, როგორ უნდა დაიჭიროს თვითმმკვლელმა ეს იარაღი, რომელიც დაახლოებით კილო-ნახევარზე მეტს იწონის და ზემოდან ქვემოთ, დაახლოებით 20 ან 40 სანტიმეტრის დაშორებით როგორ უნდა ისროლოს? ეს ხოს შეუძლებელია? — კითხულობს კონსტანტინე გამსახურდია.

კომისიის თავმჯდომარე ასევე საუბრობს მთავარი მოწმეების წინააღმდეგობრივ და შეუსაბამობრივ ჩვენებებზე, რომელიც დასკვნის 14 თემატურ ქვეთავშია თავმოყრილი. კონსტანტინე გამსახურდია პირველი პრეზიდენტის გამოძიების საქმის ბოლომდე მიყვანას ითხოვს.

პარლამენტის დროებითი კომისია წელიწადზე მეტია, რაც მუშაობს. ამ დროის მანძილზე კომისიამ 100-ზე მეტ ადამიანს ჩამოართვა ახსნა-განმარტება. კომისიამ რომელიმე ყოფილი თანამდებობის დაკითხვის უფლება არ ჰქონდა, რადგან კომისიას დროებითი კომისიის სტატუსი ჰქონდა.

გუშინ კომისიის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს შეატყობინა, რომ დასკვნა პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტს გაეგზავნება და ის პარლამენტის ვებგვერზე გამოქვეყნდება. კონსტანტინე გამსახურდიამ ასევე სურვილი გამოთქვა, რომ კომისიის მიერ მომზადებული დასკვნა წიგნის სახით გამოიცეს.

მას შემდეგ, რაც გამსახურდიას წინადადება მოისმინა, ბიუროს სხდომის წამყვანმა მიხეილ მაჭავარიანმა კომისიის თავმჯდომარეს ურჩია, რომ ამ საკითხზე დამატებითი კონსულტაცია პარლამენტის აპარატის უფროსთან გაევლო.

კომისიის დასკვნის წიგნის სახით გამოცემა გარკვეულ თანხებთან არის დაკავშირებული. ამდენად, პარლამენტის გადასაწყვეტია, გამოიცემა თუ არა პარლამენტის დროებითი დასკვნა წიგნის სახით.

პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელმა დროებითმა კომისიამ ამით მუშაობა დაასრულა. კომისიის დასკვნა საჯაროა, დოკუმენტი ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია.

# სააკაშვილის გვარი „სიმპსონების“ ერთ-ერთ სერიაში მოიხსენიეს

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გვარი, „სიმპსონების“ სერიალის 22-ე სეზონის ერთ-ერთ სერიაში მოიხსენიეს.

სერიალის მთავარი გმირები ბარტ და ჰომერ სიმპსონები ოქროს გლობუსის დაჯილდოვების ცერემონიალზე იმყოფებიან, სადაც მათი ნამუშევარი „გაბრაზებული მამაცაა“ წარდგენილი.

აღნიშნულ კონკურსზე ნომინირებულია კიდევ ერთი ფილმი, „სააკაშვილის გაზაფხული“ მულტფილმი შავ ტანკზე, რომელიც ნაომარ ქალაქში ბავშვს შემთხვევით იმსხვერპლებს და ამის შემდეგ ტირის, ბოლოს კი, შავი ტანკი სხვა ბავშვებთან ერთად ფეთქდება.

აღსანიშნავია, რომ სერიალში „სააკაშვილის გაზაფხულს“ ჰომერ სიმპსონის ნამუშევარმა, „გაბრაზებულმა მამამ“ აჯობა და ოქროს გლობუსი დაისაკუთრა.

მედიანიუსი

# ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა აშშ-ს საელჩოსთან აქცია გამართეს



სამოქალაქო მოძრაობების წარმომადგენლებმა გუშინ, უკანონო და პოლიტპატიმრების გათვისუფლების მოთხოვნით, აშშ-ს საელჩოს წინ მჯდომარე აქცია გამართეს. აქციაზე ახალგაზრდული ორგანიზაციებმა ამერიკის ელჩს, ჯონ ბასს პოლიტპატიმრების გათავისუფლებაში დახმარებას სთხოვეს.

როგორც საელჩოს წინ გამართულ აქცია-ბრიფინგზე ახალგაზრდული მოძრაობა „არა!“-ს ლიდერმა ლევან ჩიტაძემ განაცხადა, მეგობარ ქვეყნებს და საერთაშორისო საზოგადოებას ძალიან ბევრის გაკეთება შეუძლიათ იმისთვის, რომ საქართველოში აღარ იყოს უკანონო და პოლიტპატიმრების პრობლემა, ამიტომ ჯონ ბასის მხრიდან პოზიციის დაფიქსირება გარკვეული რეკომენდაცია იქნება საქართველოს ხელისუფლებისთვის.

— აშშ ძალიან დაგვეხმარება, თუ ელჩი ჯონ ბასი ამ საკითხზე მკაფიო პოზიციას გამოთქვამს, რათა შეწყდეს საქართველოში მოქალაქეების პოლიტიკური ნიშნით დევნა. ის, რომ საქართველოში 52 პირი პოლიტიკური ნიშნით არის დაპატიმრებული, არა ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ აღიარა,—აღნიშნა ლევან ჩიტაძემ და დასძინა, რომ მსგავს აქციას დღეგამოშვებით ყველა საელჩოსთან გამართავენ და დიპლომატიურ კორპუსს დამხარებას სთხოვენ.

მომდევნო აქცია 23 თებერვალს ევროკავშირის ოფისთან გაიმართება.

მედიანიუსი

# როცა ჩვენი მოსავალი გვექნება, ვიხეირებთ



საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერის მაცხოვრებლებს სიმინდის ჰიბრიდული ჯიშის პრიორიტეტულობა პირადად აუხსნა.

გუშინ პრეზიდენტი სოფელ ეწერში ალექსანდრე ტაბიძის ოჯახს ეწვია და სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ პრობლემებზე ილაპარაკა.

— ეს ძალიან დიდი რესურსი გვაქვს სოფლის მეურნეობაში. საქართველოში არის შესაძლებლობა, რომ შევქმნათ კარგი აგროსამრეწველო კომპლექსი. თუ ჩვენ ვერ გამოვკვებეთ ჩვენი თავი, მუდმივად დამოკიდებულები ვიქნებით სხვა ქვეყნებზე. ჩვენ ჩვენი უნდა გვქონდეს და როცა ჩვენ ჩვენი გვექნება, მსოფლიოში სიტუაციის გაუარესებით, ჩვენ ვიხეირებთ კიდეც, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და დასძინა, რომ საქართველო ინდუსტრიაში ახალი ამერიკის აღმოჩენას ვერ შეძლებს, მაგრამ სხვა ქვეყნების მაგალითზე, უკვე არსებული გამოცდილება უნდა გაითვალისწინოს.

— ამერიკას თავიდან ვერ აღმოვაჩენთ, მაგრამ ის, რაც მათ უკვე იციან, უნდა გავიზიაროთ, — განმარტა პრეზიდენტმა.

ცნობისთვის: მიმდინარე წლის მარტიდან საქართველოში სიმინდის ჰიბრიდული ჯიშის თესლების დარიგება დაიწყება. ხელისუფლების მტკიცებით, სიმინდის ჰიბრიდული ჯიში მოსავალს სამჯერ ზრდის.

მედიანიუსი

# სანდრო ბრეგაძეს პატიმრობა შეუფარდეს

ნონა ცაბა ე

**თბილისის საქალაქო სასამართლომ პარლამენტის ყოფილ დეპუტატს სანდრო ბრეგაძეს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სანდრო ბრეგაძე ორი დღის წინ დააკავეს ხულიგნობის ბრალდებით. მოსამართლემ დააკმაყოფილა ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურორის, მაია სილაგაძის შუამდგომლობა აღკვეთ ღონისძიებად დაკავების თაობაზე. მოსამართლემ არ გაიზიარა სანდრო ბრეგაძის ადვოკატის მოთხოვნა აღკვეთ ღონისძიებად გირაოს — 3000 ლარის გამოყენების შესახებ.**

ინციდენტი ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე ორი დღის წინ მოხდა. ვისოლის ბენზინგასამართ სადგურზე ბრეგაძესა და ბენზინგასამართი სადგურის თანამშრომელს შორის შელაპარაკება მოხდა. როგორც ბრეგაძის ადვოკატი აცხადებს, სანდრო ბრეგაძე ავტომანქანაში ბენზინს ასხამდა, მას ეგონა, რომ პროცესი დასრულებული იყო და გაიგო, თითქოს ბენზინგასამართი სადგურის თანამშრომელმა უთხრა, რომ წასულიყო. როდესაც ბრეგაძემ ავტომანქანა დაძრა, მილი ავზიდან ამოვარდა და მანქანის ფარი დააზიანა, რასაც ბრეგაძესა და ბენზინგასამართი სადგურის თანამშრომელს შორის დაპირისპირება მოჰყვა, რაც ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. როგორც ადვოკატი აცხადებს- ბრეგაძემ იარაღი ამოიღო, მაგრამ არ გამოუყენებია. სანდრო ბრეგაძეს 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

სასამართლო პროცესზე ადვოკატებმა ის გარემოებები დაასახელეს, რის გამოც შესაძლებელი იყო ბრეგაძის მიმართ არასაპატიმრო ღონისძიების გამოყენება. ბრეგაძის ერთ-ერთმა ადვოკატმა დალი იმნაიშვილმა განაცხადა, რომ სანდრო ბრეგაძის 17 წლის შვილი პირველი ჯგუფის ინვალიდია. იგი დავრდომილია და მამის გარეშე ვერ ძლებს. მას შემდეგ, რაც სანდრო ბრეგაძე დაკავებულია, გულყრა 34-ჯერ მოუვიდა. სანდრო ბრეგაძის დაკავებამ ასევე იმოქმედა მის მცირეწლოვან შვილზეც, რომელიც დაკავების დროს მამას ეჯდა მანქანაში. ადვოკატის ინფორმაციით ბავშვს ლოგოპედი სჭირდება, რადგან მას ენა დაება. ადვოკატის ინფორმაციით ასევე მძიმე მდგომარეობაშია სანდროს მამა, რომელიც ლეიკემიითაა დაავადებული. სანდრო ოჯახის ერთადერთი მარჩენალია და სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით და ასევე იმით, რომ ბრეგაძე აღიარებს დანაშაულს და თანამშრომლობს გამოძიებასთან, შესაძლებელი იყო გირაოს შეფარდება.თავად სანდრო ბრეგაძემ კი პროცესზე განაცხადა:

— გამოძიების არგუმენტს, რომ დავიმალები, ვერანაირად ვერ გავიზიარებ, საფუძველს მოკლებული არგუმენტია. სახეზე მაქვს ტრავმა, ინციდენტის შედეგად და მაქვს ინფორმაცია, რომ ინციდენტში მონაწილე ბენზინგასამართი სადგურის ოპერატორს არანაირი დაზიანება არ მიუღია. ეს ორ ადამიანს შორის გაუგებრობა იყო. პირადად ჩემ მიმართ აღნიშნული ბენზინგასამართი სადგურის ოპერატორს პრეტენზიები არ აქვს და შესაბამისად ვერანაირად ვერ მოვახდენ მასზე ზეწოლას. არანაირად დამალვას და გაპარვას არ ვაპირებ. ამ საქმის გამო ჩემს შვილს თუ რაიმე დაემართა, საერთოდ არ მინდა ციხიდან გამოსვლა, — განაცხადა სანდრო ბრეგაძემ.

პროკურორმა მაია სილაგაძემ არ გაითვალისწინა დაცვის მხარის არგუმენტები და კვლავ თავის პოზიციაზე დარჩა. პროკურორმა განაცხადა, რომ ბრეგაძეს ბრალი ედება მძიმე დანაშაულში და მოსალოდნელი სასჯელის შიშით არსებობს ალბათობა, რომ გამოძიებას დაემალოს. მისი თავისუფლებაში ყოფნა კი სახიფათოა მოწმეებზე ზეწოლის მოხდენის კუთხით.

გამოძიების ინფორმაციით, საქმე ეხება სს კოდექსის 239-ე მუხლის მესამე ნაწილით ჩადენილ დანაშაულს, რაც იარაღის გამოყენებით ხულიგნობას გულისხმობს. ბრეგაძის დანაშაული დასტურდება მოწმეების ჩვენებით და სხვა მტკიცებულებებით. კომენტარისთვის ჩვენ სანდრო ბრეგაძის ოჯახის წევრებსაც დავუკავშირდით, თუმცა, ისინი ამ ეტაპზე კომენტარისგან თავს იკავებენ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# სააკაშვილის ეპოქა მთავრდება

შორენა კოწოწაშვილი

**ახალი მემარჯვენეების წევრი ფიქრია ჩიხრაძე მიიჩნევს, რომ ქვეყანაში მართლაც უმძიმესი ფონია. ის ნაბიჯები, რასაც ხელისუფლება დგამს ე.წ. ვაუჩერების დარიგებით, ინფლაციურ ფონს მხოლოდ ამძიმებს, ვიდრე პოზიციურ ნაბიჯებს დგამდეს. ჩიხრაძე მიიჩნევს, რომ ყველამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეგვიპტის მოვლენები საქართველოში არ განმეორდეს. იმიტომ, რომ ჩვენ ვნახეთ რევოლუციის მიერ მოტანილი „სიკეთეები“.**

რაც შეეხება იმას, რომ სააკაშვილი 2015 წლამდე გაწერილ გეგმებს აპიარებს, ახლების წარმომადგენელი მიიჩნევს, პრეზიდენტი გონივრულ ნაბიჯს გადადგამდა, თუ წასვლის გადაწყვეტილებას დროულად მიიღებდა.

— თუ სააკაშვილი არ დაემორჩილება წესს და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ თანამდებობას ჩაებღაუჭოს, რა თქმა უნდა, ის მუბარაქიზაციის გზას დაადგება. ეს როგორ მთავრდება ქვეყნისთვისაც და თავად პირველი პირისთვისაც, ყველამ ვიცით, — აცხადებს ფიქრია ჩიხრაძე.

***— ქალბატონო ფიქრია, როგორ აფასებთ გიგა ბოკერიას მიერ წარმოდგენილ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას? ითქვა, რომ ქვეყანას მსგავსი კონცეფცია 2005 წლის შემდეგ არ ჰქონია.***

— ქვეყანას მსგავსი დოკუმენტი ნამდვილად ჰქონდა. როცა ახალი მემარჯვენეები პარლამენტში ვიყავით, აქტიურად ვმონაწილეობდით ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფციის ჩამოყალიბებაში. მინდა გითხრათ, რომ ბევრი შესწორება შევიტანეთ მაშინ წარმოდგენილ დოკუმენტში. იცით, რომ ხელისუფლება მაშინ, ჩვენდა სამწუხაროდ და დღევანდელი გადასახედიდან ცოტა გასაკვირად, ძალიან ლობირებდა სამხრეთ ოსეთის დამკვიდრების თემას, ტერმინოლოგიურ დამკვიდრებას ვგულისხმობ. ჩვენ მაშინ ბევრი ვიბრძოლეთ, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორია ჩაწერილიყო ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში. იმიტომ, რომ არანაირი ახსნა იმ გადასახედიდან არ ჰქონდა ამ ტერმინის დამკვიდრების მცდელობას. დღევანდელი გადასახედიდან რაღაც უცნაური ეჭვები კი ჩნდება ამ ტერმინთან მიმართებაში, მაგრამ ეს იყო მაშინ. მას შემდეგ, რაც 2008 წლის აგვისტოს მოვლენები განვითარდა და საქართველოს ძალიან მნიშვნელოვანი ტერიტორიები უკვე ოკუპირებულია, რა თქმა უნდა, უსაფრთხოების კონცეფციის გადახედვა ლოგიკურად იდგა დღის წესრიგში. შესაბამისად, ამაში მოულოდნელი არაფერია. უბრალოდ, აქ არის მნიშვნელოვანი, რა დამოკიდებულებით მოხდება უსაფრთხოების კონცეფციის გადახედვა. ეს იქნება მხოლოდ პიარის ნაწილი, რომელიც მიმართული იქნება მოხლოდ ერთი მიმართულებით — გარე საფრთხეების მიმართულებით, რაც რეალურად არსებობს. ცხადია, ეს უნდა აისახოს ამ დოკუმენტში იმიტომ, რომ ტერიტორიები ოკუპირებულია და ამაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება, მაგრამ არანაკლები გამოწვევები არსებობს ქვეყნის შიდა საფრთხეების თვალსაზრისით. ჩვენ სწორედ ამ ინიციატივით გამოვედით, რომ ამ საფრთხეების ადეკვატური ასახვა მომხდარიყო უსაფრთხოების კონცეფციაში, რადგანაც მსოფლიოში განვითარებული მოვლენების ფონზე საქართველოს ნამდვილად მართებს, რომ ეს საფრთხეები ადეკვატურად იქნას შეფასებული და აქედან გამომდინარე, კონკრეტული ნაბიჯები იქნას გადადგმული. ის საუბრები იგივე ინფლაციასთან დაკავშირებით, რომელიც უსერიოზულესი გამოწვევაა საქართველოს წინაშე და რომ საქართველოს პრეზიდენტი ჯერ ამბობდა, რომ მთავრობას არანაირი ბერკეტი არ გააჩნია ამასთან საბრძოლველად იმიტომ, რომ ეს არის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის თანმდევი მოვლენა, აბსოლუტურად ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას. მას შემდეგ, რაც ახალმა მემარჯვენეებმა წარმოვადგინეთ ჩვენი ანტიინფლაციური ღონისძიებების გეგმა და შევთავაზეთ ის საზოგადოებას და ხელისუფლებასაც, მას შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლებმა უკვე დაიწყეს კონკრეტულ ღონისძიებებზე ლაპარაკი, მაგრამ ეს სრულიად არასაკმარისია. მხოლოდ საუბარი ამ თემებზე და არანაირი ნაბიჯების გადადგმა, ეს ისევე ამძიმებს დღეს არსებულ ვითარებას, როგორც ამ ვითარების შექმნაში საქართველოს ხელისუფლების გაუაზრებელ ნაბიჯებს აქვს წვლილი შეტანილი. აქედან გამომდინარე ჩვენ ვითხოვდით, რომ სწორედ ეს მიმართულებები ყოფილიყო ძალიან სერიოზულად ასახული უსაფრთხოების კონცეფციაში. ვნახოთ, რა იქნება. ჯერჯერობით საბოლოო დოკუმენტი არ არის ჩამოყალიბებული.

***— რამდენად არის გათვალისწინებული ამ დოკუმენტში რუსეთის სახელმწიფო ინტერესები?***

— არა მგონია. ვნახოთ, საბოლოოდ რა სახეს მიიღებს ეს დოკუმენტი. ჩვენ ხშირად ვყოფილვართ იმის მოწმე, რომ პროექტის სახით ერთი დოკუმენტი გვქონია და საბოლოოდ სულ სხვა დაუმტკიცებიათ. მე პირადად არა მგონია, რომ აქ რაიმე რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით შეიძლება ხდებოდეს. პირიქით, ექსპერტებს ეჭვი ჰქონდათ იმ მიმართულებით, რომ შეიძლება მხოლოდ საგარეო საფრთხეებზე ზედმეტი აქცენტირება მომხდარიყო. ვიმეორებ, როცა უსაფრთხოების კონცეფციაზეა ლაპარაკი, ყველა ის საფრთხე ობიექტურად უნდა იყოს აღწერილი, რომელიც ქვეყნის წინაშეა, მათ შორის საგარეო საფრთხეც და საშინაოც. აქ არ შეიძლება კეკლუცობა და თავის მოტყუება, ან თვალის არიდება რაიმე მიმართულებით. ასე რომ, რუსეთის საფრთხე რეალურად არსებობს. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნის შიდა საფრთხეები და შიდა გამოწვევები.

***— გარკვეულმა პარტიებმა უარი განაცხადეს უსაფრთხოების კონცეფციის კუთხით ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე. ახალი მემარჯვენეები რა პოზიციას იკავებენ?***

— ჩვენ განხილვაში მონაწილეობა საჭიროდ არ ჩავთვალეთ იმიტომ, რომ საკომიტეტო ფორმატი არის წმინდა საპარლამენტო ფორმატი და ჩვენ ვერ დავინახეთ ჩვენი მონაწილეობის აუცილებლობა. თუმცა ჩვენი წინადადებები პრესკონფერენციაზე პარტიის ლიდერმა დავით გამყრელიძემ საზოგადოებას გააცნო. ოფიციალური ვერსია, ეს წინადადებები გავუგზავნეთ როგორც უშიშროების საბჭოს, ისე პარლამენტის თავმჯდომარეს. თუკი ისინი ჩათვლიან საჭიროდ, რომ ჩვენი წინადადებები უნდა გაიზიარონ, ჩვენ უკვე შევთავაზეთ ეს წინადადებები. ხოლო თუ არ ჩათვლიან საჭიროდ, ეს უკვე სხვა თემაა და ამის შეფასება შემდგომ გაკეთდება.

***— ბოლო პერიოდში აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ ბოკერიას გუნდი პოსტსააკაშვილისეული პერიოდისთვის ძალაუფლების ხელში ასაღებად ემზადება.***



— მოდით,ასე ვთქვათ, ბოკერია პასიური ფიგურა არასოდეს არ ყოფილა საქართველოს ხელისუფლებაში. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ყოველთვის მისი მონაწილეობით მიიღებოდა, შესაბამისად, მასზე დიდია პასუხისმგებლობა ყველა იმ გადაწყვეტილებაში, რომელიც ამ წლების განმავლობაში მიიღებოდა საქართველოში. მე ამ შემთხვევაში მძიმე პასუხისმგებლობას ვგულისხმობ, უფრო მეტად, ვიდრე რამე პოზიტიურს. რაც შეეხება მის საჯარო აქტიურობას, შესაძლოა უშიშროების საბჭოს მდივნობამ, ანუ პირველ პოზიციაზე ყოფნამ, გამოიწვია მისი უფრო მეტად გააქტიურება პოლიტიკური თვალსაზრისით. მაგრამ ის, რომ 2013 წლისთვის სააკაშვილის გუნდში და ნაციონალურ მოძრაობაშიც ემზადებიან, ამაში ორი აზრი არ არსებობს. იმიტომ, რომ როგორი სიტუაციაც არ უნდა იყოს დღეს საქართველოში, როგორი ცვლილებებიც არ უნდა შესულიყო კონსტიტუციაში, ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც უკვე ყველას

გაგრძელება მე-4 გვერდზე

დაიწყეთ ახალი დღე
„ახალ ქართულ პროზასთან“ ერთად!
ყოველი ორშაბათიდან ჟურნალ
„გულბათთან“ ერთად შეიძინეთ
„ახალი ქართული პროზის“ ახალი ტომი
21 თებერვლიდან გაიყიდება
მე-9 ტომი




ჟურნალი წიგნთან ერთად
3 ლარი ღირს

## საქართველოში ეგვიპტისა და ტუნისის სცენარი განმეორდება

„წარმომადგენლობითი სახალხო კრება“ არ გამორიცხავს, რომ საქართველოში პოლიტიკური მოვლენები ტუნისისა და ეგვიპტის სცენარით განვითარდეს.



როგორც „სახალხო კრების“ ოფისში გუშინ გამართულ აღმასრულებელი საბჭოს ბრიფინგზე საბჭოს წევრმა, ირაკლი ბათიაშვილმა განაცხადა, სახალხო გამოსვლების მთელი ტალღა, რომელიც ამ ეტაპზე არაბულ სამყაროში მიმდინარეობს, ხალხის ნების გამოხატვაა, რომელსაც მხარს უჭერს მთელი ცივილიზებული სამყარო.

მისი თქმით, ამ რევოლუციურ პროცესებს მიესალმა ყველა აშშ-ს პრეზიდენტი და ევროკავშირის ლიდერები, რომლებმაც, პარალელურად, დაგმეს ავტორიტარული ხელისუფლების მოქმედებები და ხალხის წინააღმდეგ მიმართული ძალადობა.

— ეს არის უზარმაზარი ტალღა განახლებისთვის, რომელიც არ გაჩერდება; ის აუცილებლად მოაღწევს საქართველოშიც და სწორედ ეს იქნება რეალური გზა პოლიტიკური ბრძოლის, — განაცხადა ბათიაშვილმა.

მისივე მტკიცებით, ყველა ის ძალა, რომელიც ცდილობს სხვა მიმართულებით წარმართოს ხალხის ყურადღება და დაარწმუნოს საზოგადოება, რომ თითქოს შეიძლება

— სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმი“ შეიცვალოს დავით ბაქრაძის კაბინეტში საარჩევნო გარემოზე გამართული დისკუსიების შედეგად, თავს იტყუებს და ხალხს თვალში ნაცარს აყრის. ასეთი მაზოხიზმი, რაც ახლა ხდება, ეს გაუთავებელი დისკუსიები არის უაზრო, უშედეგოდ და უმიზნო, რომელსავ არანაირი შედეგი არ ექნება, — დაძინა მან.

ბათიაშვილის თქმით, „სახალხო კრებას“ სურს თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება საქართველოში, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ასეთი არჩევნები ვერ ჩატარდება ავტორიტარული რეჟიმის პირობებში.

— ჯერ ეს რეჟიმი უნდა დაიმსხვრეს; ჩვენ გვჯერა, რომ ეს ტალღა, მშვიდობიანი რევოლუციის პროცესის, აუცილებლად დაიწყება საქართველოში, — განაცხადა მან.

აღნიშნულ ბრიფინგზე ასევე იმყოფებოდნენ „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე, პარტია „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი და კრების აღმსარულებელი საბჭოს წევრები ელიზბარ ჯაველიძე და რეზო ესაძე.

**ინტერპრესნიუსი**

## პოლიციას დიდი უფლებები აქვს მინიჭებული

„ახალგაზრდა თავისუფალი დემოკრატები“ ხელისუფლებას პოლიციისთვის გადამეტებული უფლებების მინიჭებაში ადანაშაულებენ.

როგორც გუშინ პარლამენტის შენობის წინ გამართულ საპროტესტო აქციაზე ირაკლი ალასანიას ახალგაზრდა თანაგუნდელებმა განაცხადეს, ხელისუფლებამ თავისი ძალაუფლება ადამიანებისთვის უფლებების წართმევის ხარჯზე განამტკიცა, რაც მიუღებელია.

— პოლიციის შესახებ კანონის მეცხრე პრიმა მუხლის თანახმად, პოლიციელს „გონივრული ეჭვის საფუძველზე“ შეუძლია გააჩეროს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, აწარმოოს მისი დათვალიერება, რაც იგივე ჩხრეკვაა, სწორედ ამას ვაპროტესტებთ, მაგრამ დღეს მთავარი არის ის, რომ ახალგაზრდებმა დავიწყეთ ყველა იმ უფლებებისთვის ბრძოლა, რაც წაგვართვა ხელისუფლებამ. მათ დაიწყეს თავიანთი ძალაუფლების განმტკიცება ჩვენი მოქალაქეების უფლებების ხარჯზე. ბუნებრივია, ეს ჩვენთვის მიუღებელია და აქციებს მომავალშიც გავაგრძელებთ, — განაცხადა „ახალგზარდა თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა სულხან ღლონტმა და დასძინა, რომ პოლიციისთვის აღნიშნული უფლების ჩამორთმევის მოთხოვნით მათ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელიც აქვთ შეტანილი, თუმცა მისი განხილვა ჯერ არ დაწყებულა.

**მედიანიუსი**

# რატომ გაბრაზდა ხალხი ნათელაშვილზე

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ პოლიტოლოგ რამაზ კლიმიაშვილთან

*— ბატონო რამაზ, ნინო ბურჯანაძემ კიევში ვიზიტის დროს გააკეთა ასეთი განცხადება, რომ სააკაშვილი რევოლუციით უნდა მოვიშოროთ, სხვა გზა არ არისო. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?*

— აბსოლუტურად ვუჭერ მხარს და მე მგონი, სისტემატურად მაგას ვლაპარაკობდი. აბა, სხვანაირად როგორ მოვიშორებთ? რასაკვირველია, მე დემოკრატიული არჩევნების მომხრე ვარ. ახლა ხალხი მუშაობს საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით, თუმცა ხელისუფლება რომ ატყუებს, ყველამ ვნახეთ, ბიომეტრიულ პასპორტებზე უარი ითქვა. სხვათა შორის, ეს ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო. ფაქტია, რომ საჭიროა ნორმალური საარჩევნო გარემო იყოს, ნორმალური დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს, მაგრამ სააკაშვილის პირობებში ეს შეუძლებელია. ამიტომ რიგითობა უნდა დავიცვათ, ჯერ სააკაშვილის მოცილება და მერე ნამდვილი დემოკრატიული არჩევნები. არჩევნები უნდა ჩატარდეს სწორედ გაუმჯობესებულ გარემოში. სააკაშვილი რომ პრეზიდენტობისთვის არ არის დაბადებული, ცხადია, მან ქვეყნის მართვა არ იცის. ჩვენ არ გვინდა, რომ შემდეგ არჩევნებში მოხდეს კიდევ რამ ასეთი. ქვეყანაში ახალი ხელისუფლება უნდა მოვიდეს მხოლოდ არჩევნების გზით. თუმცა მანამდე გარდაუვალი ხდება რევოლუცია. ეს სამწუხაროა, მაგრამ თავის თავს დააბრალოს სააკაშვილმა, არავითარ შემთხვევაში აქ ჩვენ არა ვართ დამნაშავენი.

*— რამდენად დათმობს ასე მარტივად პოზიციებს სააკაშვილი?*

— მარტივად არ დათმობს, რთული ბრძოლა ელის საზოგადოებას, მაგრამ მოდი ვნახოთ, რა ხდება მთელ ახლო აღმოსავლეთში. აბსოლუტურად ყველგან დომინოს ეფექტით ვრცელდება რევოლუციის ვირუსი. მარტო ისლამურ ქვეყნებში კი არა, უკვე სომხეთსაც გადაედო. ამ დილით ამერიკულ პრესას ვეცნობოდი და იქ მკვეთრად აქვთ ნათქვამი, თუ რა არის საერთო ამ რევოლუციებში და რატომ არის ჩვენი ხალხი დაძინებული, როდესაც ეკონომიური მდგომარეობა ამ ქვეყნებში ჩვენზე უკეთესიც კია, მაგრამ მაინც გამოდიან. ჩვენთან კიდევ ხალხი იტანჯება, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მშიერია, მაგრამ იტანჯება სახლებში და გარეთ არ გამოდიან. უნდა გამოვიდნენ და პასუხი მოსთხოვონ სააკაშვილს, ის დღეს ფულში ბანაობს. თავს რომ იწონებდა, 16 წლამდე ხრუშჩოვკის ერთოთახიანში ვცხოვრობდიო, დღეს კი მილიარდები აქვს, საიდან?! რატომ ხალხი არ სთხოვს პასუხს ამაზე? მოდით, ისევ იმ ქვეყნებს დავუბრუნდეთ, სადაც რევოლუციებია, რა აქვთ მათ საერთო? — საერთო აქვთ ის, რომ არ არის არსად ქარიზმატული ლიდერი. ყველა ეს რევოლუციები ხდება ქარიზმატული ლიდერის გარეშე. ეს როგორმე უნდა ჩავუდოთ ქართველ ხალხს თავში. სულ იმას ლაპარაკობენ, ვინ იქნება, ვინ გამოგვიყვანსო, შენ თვითონ უნდა გამოხვიდე, ვის ელოდები? მე ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, ჩვენ გვაქვს ცხვრის ფარის კომპლექსი. არა, ბატონებო, ასე არაფერი არ გამოვა. გამოსვლები სადაც მოხდა, ყველგან ხალხი გამოვიდა ლიდერის გარეშე. ასევე არსად არ არის პოლიტიკური მოთხოვნები, ყველგან საუბარია ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე. ესეც საერთო აქვთ. ჩვენთან კი პოლიტიკურმა პარტიებმა ვერ გაიგეს, რომ მთავარი სოციალური პრობლემებია. მშიერი ქვეყნისთვის მთავარი არის ეს და არა მითიური დეოკუპაცია და დაპირისპირება სხვა სახელმწიფოსთან, რომელსაც ასე უხვად გვინერგავს ჩვენი ხელისუფლება. დღეს მთავარი არის ის, რომ მოსახლეობის 90 %-ზე მეტი მშიერია.

*— სააკაშვილსაც ეს აშინებსო და ამიტომ დაიწყო ფასიანი ვაუჩერების დარიგება...*

— ვის რაში სჭირდება მაგისი ვაუჩერები? რამდენ ხანს უნდა გეყოს 30 ლარიანი ვაუჩერი? თვითონ დღეში სამჯერ რომ შედის რესტორანში, რამდენი ლარისას ჭამს? აბა, ერთი დავთვალოთ, ხალხს შოკი მოუვა, რომ გაიგონ, სააკაშვილი დღეში რამდენს ხარჯავს მარტო ჭამისთვის. ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ეს მთელი წლის შემოსავალია. ეს ვაუჩერები არის დაცინვა, მეტი არაფერი. ეს 20 ლარიანი ვაუჩერი დენისთვის ყოველთვიურად რომ იყოს, კიდევ რაღაც შეღავათი იქნებოდა, მაგრამ ერთჯერადი?! რაც ყველაზე საინტერესოა, თურმე ეს თანხა ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული. აბა, საიდან მოვიდა ეს ფული? ეს გაუგებარია. მეტი საქმე აღარ აქვთ დადიან და გვიპიარებენ ეს ბობოლები, როგორ დადიან და ამ 20 ლარიან ვაუჩერებს ურიგებენ გაჭირვებულ მოსახლეობას. ესეც ხალხის დაცინვაა და მეტი არაფერი. ეს ყველაფერი სიყალბეა და სააკაშვილს ეს ვერ გადაარჩენს. რომ დავფიქრდი და გავაკეთე დასკვნა, თუ რა უშლის ჩვენთან ხელს ამ გამოსვლებს, მოულოდ-

**ჩვენ ხალხს არალოგიკური აზროვნება აქვს. ბურჯანაძემ რომ დადო კომპრომატები, ქურდულმა მენტალიტეტმა გაიღვიძა — რატომ ჩაუშვაო? თუ ჰქონდა კომპრომატები, აბა, არ უნდა გამოექვეყნებინა?!**



ნელ დასკვნამდე მივედი, განსხვავებით იმ ქვეყნებისგან, სადაც ამ რევოლუციის ვირუსი გავრცელდა, ჩვენთან ძალიან ბევრი პარტიაა, თუმცა აქედან ნამდვილად ოპოზიციური რამდენიმეა. იმ ქვეყნებში კი ოპოზიციური პარტიები თითქმის არ არის. ეგვიპტეში ერთადერთი მუსლიმანთა საძმო იყო და ისიც არალეგალური. სხვაგან არ არის პარტიები. ლიბიაში რა პარტიაა? ტყვიამფრქვევებით ხოცავს ხალხს, გუშინ ორასზე მეტი კაცი იყო დაღუპული. დღეს ყველაზე მეტი გამოსვლები ბაჰრეინშია და ეს ყველაზე მეტად აშინებს ამერიკას, რადგან ყველაზე დიდი საზღვაო ბაზა ამერიკას სწორედ ბაჰრეინში აქვს. მეხუთე ფლოტის ბაზაა, რომელიც სპეციალურად ირანის შესაკავებლადაა. დავინახეთ, რომ ბაჰრეინში თურმე ირანი აქეზებს მოსახლეობას. ჩვენთან რომ ავრცელებენ ხმებს, ეს არის დემოკრატიული რევოლუციები და დემოკრატია

**ვის რაში სჭირდება მაგისი ვაუჩერები? რამდენ ხანს უნდა გეყოს 30 ლარიანი ვაუჩერი? თვითონ დღეში სამჯერ რომ შედის რესტორანში, რამდენი ლარისას ჭამს? აბა, ერთი დავთვალოთ, ხალხს შოკი მოუვა, რომ გაიგონ, სააკაშვილი დღეში რამდენს ხარჯავს მარტო ჭამისთვის. ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ეს მთელი წლის შემოსავალია.**

მოდისო, ეს სისულელეა. იმ ქვეყნებში დემოკრატია სულ სხვანაირად ესმით, დასავლეთში კი ესმით სხვანაირად. დღეს სწორედ ისლამი მოაბიჯებს და დემოკრატიაც ასე ესმით. ეგვიპტის ახალმა ხელისუფლებამ გუშინ ირანის სამხედრო გემები გაატარა, რომლებმაც დღეს უნდა ჩაუარონ ისრაელს და შევიდნენ სირიის პორტში. ეს კი ყველაფერს ცვლის ახლო აღმოსავლეთში. ძალიან საინტერესო იყო ამერიკის პოზიცია, იქ პირდაპირ მოხდა დაპირისპირება ობამასა და ჰილარი კლინტონს შორის.

*— რას გულისხმობთ?*

— კლინტონი ბოლო მომენტამდე მხარს უჭერდა მუბარაკს, რადგან მან შესანიშნავად იცოდა, რომ არაბულ სამყაროში ყველაზე პროამერიკული რეჟიმი იყო სწორედ მუბარაკის რეჟიმი. ახლა გარდამავალი პერიოდია, მაგრამ მისი დაცემით ყველა ვარიანტში გაიმარჯვებენ მუსლიმანები და ისინი ამერიკას აღარ დაემორჩილებიან. ეგვიპტეში მივიღებთ ირანის ვარიანტის ქვეყანას. ამერიკა კარგავს ერთ ყველაზე მძლავრ დასაყრდენს ახლო აღმოსავლეთში.

*— მაშინ რატომ უჭერდნენ მხარს ეგვიპტის რევოლუციას?*

— უჭერდა ობამა, ხოლო სახელმწიფო დეპარტამენტი, პირიქით ამბობდა, ვაცალოთ მუბარაკს, დაამთავროს მისი ვადა, როგორც თავად ამბობდა, სექტემბრამდე უნდოდა. ობამა რომ სიმპათიითაა ისლამური სამყაროსადმი, ეს უკვე ამერიკის პრესაში ღიად იწერება და ობამას არ ეშინია ამ ისლამური რევოლუციების. მას მთელი ბავშვობა გატარებული აქვს პაკისტანსა და ინდონეზიაში და მისთვის მაგალითი იყო ინდონეზია, სადაც დემოკრატიის რაღაც ელემენტები იქნა შეტანილი. ობამასთვის იდეალი სწორედ ინდონეზია იყო და მე მგონი, ეგვიპტეშიც ასე განვითარდება პროცესები.

*— ჩვენთან რა იქნება? რამდენად დაუჭერს ამერიკა მხარს ახალ რევოლუციას საქართველოში?*

— სხვა რა გზა აქვს. სხვათა შორის, როდესაც 9 აპრილის აქციები დაიწყო, თითქმის ორი წლის წინ, მაშინ ისინი არ ჩარეულან, რაღაც პერიოდი განზე იდგნენ, აინტერესებდათ, ხალხი რას იზამს. როდესაც დაინახეს, რომ ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი იყო დესტრუქციული, იყო არაორგანიზებული, ამიტომაც დასავლეთმა რომ დაინახა, რაც ხდებოდა, გადაწყვიტა მხარი ისევ ხელისუფლებისთვის დაეჭირა. ახლაც თუ მოხდა გამოსვლები, ისინი არ ჩაერევიან, ისევე, როგორც არ ჩაერივნენ მაშინ. არც 2007 წლის პროცესებში არ ჩარეულან, 8 ნოემბერს სწორედ ამერიკის ელჩმა მოსთხოვა სააკაშვილს გადამდგარიყო, ეს მისი ბრძანებით გადადგა სააკაშვილი, თუმცა მოატყუა სააკაშვილმა. ამერიკელებს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უნდოდათ, სააკაშვილმა კი საპრეზიდენტო დანიშნა, ოპოზიცია გახლიჩა და თვითონ გამარჯვებას მიაღწია.

*— გველის რევოლუცია?*

— თუ გავითვალისწინებთ ჩვენი მოსახლეობის აპათიას, ალბათ ყველაზე ბოლოს რევოლუცია ჩვენთან მოხდება. მაჩანჩალები ვიქნებით. თან ახლა სიცივეებია და ჩვენ ხალხს ურჩევნია გაყინულ ბინებში ისხდნენ, ვიდრე ქუჩაში გამოვიდნენ. თუმცა, მახსოვს კარგი დღეებიც, მაგალითად, 2008 წლის 13 იანვარი. საოცარი ყინვა იყო, მაგრამ 100 ათას კაცზე მეტი იყო რუსთაველზე. სხვათა შორის, არც 20 იანვარს არ ყოფილა კარგი ამინდი, მაგრამ ხალხი გამოვიდა. ჩვენს ხალხში პოტენცია არის, მაგრამ ასევე არის ისიც, რომ სულ ელოდებიან ვიღაცა ქარიზმატული ლიდერის გამოჩენას. არ იქნება ქარიზმატული ლიდერი, ეს ხალხმა უნდა გაიგოს და თავისი ბედი თვითონ უნდა გადაწყვიტოს და არა ვიღაც ბელადმა, რომელიც ეტყვის, ახლა გამოდით, მერე კი ეტყვის, ახლა წადით და ღვინო დალიეთო. ასეთი რამე არსად არ ხდება. ჩვენი ორგანიზებულობა კი, ეს არის ცხვრის ფარის ორგანიზებულობა და ცოტა სამარცხვინოც კია, თავს რომ იწონებენ ზოგიერთები, ისეთი ორგანიზებულები ვართ, ისე მშვიდად ჩავიარეთ რუსთაველზეო. ვის რაში სჭირდება მაგათი ჩავლა, პირველ მაისს ჩაივლიდა კოლონები რუსთაველზე და შევარდნაძეს ხელს დაუქნევდნენ ხოლმე. ეს არის ორგანიზებულობა? ვის სჭირდება ეს?! ნამდვილი საპროტესტო გამოსვლები ჯერ ჩვენთან არ ჩატარებულა. ყველა გამოსვლა პირველი მაისის სტილში იყო. საბჭოთა პერიოდში კი პირველი მაისის გამოსვლები არ იყო საპროტესტო, პირიქით, მხარდამჭერი იყო. როდესაც დასავლეთის დიპლომატები უყურებდნენ ამ გამოსვლებს, ალბათ ფიქრობდნენ, სააკაშვილის მხარდამჭერები არიანო. თუ როგორი უნდა იყოს საპროტესტო გამოსვლები, ამას ჩვენ ტელეეკრანებიდან ვხედავთ. ჩვენ ხალხს არალოგიკური აზროვნება აქვს. ბურჯანაძემ რომ დადო კომპრომატები, ქურდულმა მენტალიტეტმა გაიღვიძა — რატომ ჩაუშვაო? თუ ჰქონდა კომპრომატები, აბა, არ უნდა გამოექვეყნებინა?! ახლა კიდევ ერთიანი ქვითრის გამო დენის გათიშვები რომ დაიწყო, ქუჩაში რამდენიმე გაბრაზებული ადამიანი შემხვდა და იცით ვისზე არიან გაბრაზებულები?

*— ვისზე?*

— ვერ დაიჯერებთ ასეთ არალოგიკურობას. შალვა ნათელაშვილზე, ხომ შეგვპირდა, ერთიანი ქვითარი არ იქნება, რატომ ვერ გააკეთაო. იმის მაგივრად, ხელისუფლებაზე იყვნენ გაბრაზებულები ან რუსულ კომპანიებზე, ნათელაშვილზე არიან გაბრაზებულები. რა ვიცი, კიდევ რამდენი მაგალითი მოგიყვანოთ, რომ ჩვენს ხალხს აქვს არალოგიკური აზროვნება, ბუნებრივია, ყველას არ ვგულისხმობ. ხალხმა დაინახოს და შეიგნოს, რომ საბჭოთა პერიოდი წავიდა, არ არის საჭირო, ვიღაცამ დაგიძახოს, შენ თვითონ უნდა იყო შენი საკუთარი ბედის შემქმნელი.

# სააკაშვილის ეპოქა მთავრდება

დასაწყისი მე-3 გვერდზე

გაცნობიერებული აქვს, რომ სააკაშვილის ეპოქა მთავრდება. ბუნებრივია, სააკაშვილის თანაგუნდელებიც ფიქრობენ თავიანთ მომავალზე, მათ შორის ალბათ ბოკერიას დაჯგუფებაც. მაგრამ, საბოლოო ჯამში, რა და როგორ ჩამოყალიბდება, ამას მომავალი გვიჩვენებს.

*— გამოდის, სააკაშვილი შეგუებული უნდა იყოს იმ აზრის, რომ ქვეყანაში პირველი ფიგურა ველარ იქნება და პრემიერ-მინისტრი ვერ გახდება პრეზიდენტის უფლებებით.*

— არა, სააკაშვილი თვითონ ამას ვერასოდეს შეეგუება თავისი გადასახედიდან, მაგრამ რეალობა, მე ვფიქრობ, მას აიძულებს, რომ ამას შეეგუოს.

*— არსებობს აზრი, რომ ხელისუფლება ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს იმისათვის, რომ 2013 წლისთვის სააკაშვილმა შეძლოს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილება.*

— მე ვფიქრობ, რომ ოპოზიციამ, თუ ის პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს, მანამ, სანამ რეალურ ცვლილებებს არ მივაღწევთ საარჩევნო გარემოში და, შესაბამისად, სანამ მეტ-ნაკლებად ნიჰილიზმიც არ დაიძლევა საზოგადოებაში, მანამდე არ უნდა მივცეთ არანაირი საბაბი სააკაშვილს ვადამდელი არჩევნების დასანიშნად. თორემ, რა თქმა უნდა, მივიღებთ იგივეს და შეიძლება უარეს შედეგს, ვიდრე აქამდე მიგვიღია. მე არა მგონია, რომ ოპოზიციის მოქმედებები მხოლოდ ორთქლის გამოშვებას უნდა ემსახურებოდეს პერიოდულად და ამით ხელისუფლებას უფრო აძლიერებდეს.

# უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ხუთი ახალი მოსამართლე წარადგინა

2011 წლის 21 თებერვალს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა ხუთი ახალი მოსამართლე წარადგინა.



ნინო ყანჩაველმა, ლაურა მიქავამ, შოთა გეწაძემ, ამირან ძაბუნიძემ,შორენა წიქარიძემ წარმატებით დაასრულეს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული კურსი. ახალი მოსამართლეებიდან ოთხი წლების მანძილზე სასამართლო სისტემაში მუშაობდა, ხოლო ერთი პროკურატურაში.

ფიცის დადების შემდეგ ხუთივე მოსამართლე თბილისისა და საქართველოს რეგიონის სასამართლოებში გადანაწილდებიან.

სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება სისტემის კვალიფიციური კადრებით შევსებაა.

2009 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც სავალდებულო გახდა მოსამართლეობის კანდიდატისთვის იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამთავრება, სასამართლო სისტემა 19 ახალი მოსამართლით შეივსო.

# აშშ სახელმწიფო მდივნის პირველი მოადგილე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს ეწვევა

აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, ამერიკის სახელმწიფო მდივნის პირველი მოადგილე, ჯეიმს სტაინბერგი სამხრეთ კავკასიის ქყვენებს უახლოეს დღეებში ესტუმრება. „ტრენდ.აზ“-ის ინფორმაციით, სტაინბერში ბაქოში 24 თებერვალს ჩავა. მანამდე კი იგი თბილისს ეწვევა.სომხური სააგენტო „პანორამას“ ცნობით კი, ბაქოს შემდეგ სტაინბერგი ერევანში გაემგზავრება. ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ინფორმაციით, იგი პრეზიდენტ სერჟ სარგისიანს და საგარეო საქმეთა მინისტრს ედვარდ ნალბანდიანს შეხვდება.

მედიანიუსი

## კოკოითის ჯანდაცვის მინისტრს სცემეს

ცხინვალის რეჟიმის ჯანდაცვის მინისტრის ოთარ გასიევის ცემის ფაქტს დე-ფაქტო გენერალური პროკურატურა იძიებს. ამის შესახებ სააგენტო „რესი“ იუწყება. დე-ფაქტო პროკურატურას ფაქტის გამოძიების მოთხოვნით თავად გასიევმა მიმართა და ექსპერტიზის დასკვნაც წარადგინა.

— საგამოძიებო ღონისძიებების, ასევე მოქალაქე გასიევის მიერ წარმოდგენილი სასამართლო-სამედიცინო დასკვნის საფუძველზე დადგინდა, რომ მას შუბლისა და მუცლის არეში სისხლჩაქცევები აქვს. დასკვნის თანახმად, სისხლჩაქცევებს ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება არ გამოუწვევია და ფასდება, როგორც ცემის შედეგად მიღებული ტრავმა, — განაცხადეს დე-ფაქტო პროკურატურაში.

გასიევი 19 თებერვლის ღამეს დე-ფაქტო პარლამენტის წევრმა, ედუარდ კოკოითის მომხრე პარტიიდან „ედინსტვო“ ბალა ბესტაუტიმ სცემა. ნაცემი დე-ფაქტო მინისტრი ამ დროისთვის ვლადიკავკაზის კლინიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში მკურნალობს.

ერთ-ერთი ვერსიით, ჩხუბის მიზეზი ის გახდა, რომ გასიევმა თანამდებობიდან გაათავისუფლა დე-ფაქტო მინისტრის მოადგილე, რომელიც ბესტაუტის მეუღლეა და საპენსიო ფონდსაც ხელმძღვანელობს.

**ინტერპრესნიუსი**

## რუსეთი ტარიელ ონიანის ესპანეთში ექსტრადირებაზე დათანხმდა

რუსეთის პროკურატურა ესპანურ მხარეს ქართველ კანონიერ ქურდს ტარიელ ონიანის დროებით გადასცემს.

როგორც ესპანური გაზეთი „ელ პაისი“ იუწყება, რუსულმა მხარემ ონიანის ექსტრადირებაზე თანხმობა უკვე განცხადა.



ქართველ კრიმინალურ ავტორიტეტს ესპანეთის პროკურატურა ფულის გათეთრებაში, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ჩამოყალიბებასა და საბუთების გაყალბებაში ადანაშაულებს.

რამდენიმე წლის წინ ესპანეთმა სპეცოპერაცია „კრაზანა“ ჩაატარა. თუმცა რუსული მაფიის ხელმძღვანელმა მაშინ გაქცევა მოასწრო. 2008 წელს ის რუსეთში აიყვანეს და 15-წლიან სასჯელს იხდის.

**მედიანიუსი**

## ცხინვალმა და თბილისმა დაკავებულები გაცვალეს

სოფელ ერგნეთში ქართულმა მხარემ და ოსმა სეპარატისტებმა სხვადასხვა დროს მათ მიერ დაკავებული პირები გაცვალეს, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან 7-7 ადამიანია გათავისუფლებული. ოსებმა ქართულ მხარეს გადასცეს: მარიამ პატარაშვილი, დემურ ჩიხლაძე, დავით კაპანაძე, ზვიად კობალაძე, გიორგი



ელბაქიძე, ბექა თოკაძე და ვაჟა თოკაძე. ქართულმა მხარემ კი ცხინვალის მარიონეტულ რეჟიმს გადასცა; ანატოლი ბესტაევი, ყაზბეგ ძუგკოევი, ზევინარ კაზიევა, იური ხაჩიროვი, სპარტაკ დრიაევი, ვიტალი ჩოჩიევი და მურმან კასაევი.

დაკავებულების გაცვლის პროცესს ქართული მხრიდან შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტმენტის ხელმძღვანელი შოთა უტიაშვილი, ხოლო ოსური მხრიდან მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენელი მერაბ ჩიგოევი ხელმძღვანელობდნენ.

შეგახსენებთ, რომ დაკავებულების გაცვლაზე ქართულ მხარე და ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლები 17 თებერვალს გამართულ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე შეთანხმდნენ.

**მედიანიუსი**

# რატომ დამარცხდა საქართველო ომში

თეა მარხვაი ე

**ჩვენი ხელისუფლება დღემდე ჯიუტად გვიმტკიცებს, რომ 2008 წელს რუსეთს ომი მოვუგეთ. მოსახლეობის ნაწილს, რომელსაც სააკაშვილი „მოსწონს, უყვარს და რაცხა იმნაირი კიდო“, ომში გამარჯვებისა სჯერა, დაკარგულ ტერიტორიებზე ადრე ისინიც მოსთქვამდნენ. მას შემდეგ კი, რაც ჩვენმა პრეზიდენტმა აფხაზეთი და სამაჩაბლო ქვად და ღორღად მოიხსენია, ტირილიც შეწყვიტეს და ახლა სავარაუდოდ ღმერთს მადლობას სწირავენ, ეს ტერიტორიები რომ დაგვაკარგვინა.**



სააკაშვილმა მას შემდეგ, რაც მოსახლეობის ნაწილი ომის მოგებაში დააჯერა, შეეცადა დასავლეთიც დაერწმუნებინა ამაში. თან ამის შესახებ იმდენს ლაპარაკობენ, რომ ლამისაა მოსკოვშიც დაიჯერონ, რომ აგვისტოში საქართველოსთან ომი წააგეს.

იმ ომმა რუსეთსაც ბევრი დანაკარგი მიაყენა. სხვა თუ არაფერი, რუსული არმიის სახეც გამოჩნდა, მაგრამ ეს დამარცხებას არ ნიშნავს და რუსეთის ხელისუფლება დღემდე დადებითად აფასებს, რომ საქართველოსთან ომში ჩაერთო.

უცხოურ მედიას ბოლო დროს მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა აგვისტოს ომი მიავიწყა. თუმცა „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებულმა სკანდალურმა მასალებმა რუსეთ-საქართველოს ომი ისევ აქტუალურ თემად აქცია.

„ევრაზია რევიუ“-ს ჟურნალისტმა მაიკლ ჩეჩირემ თავის სტატიაში იმ მიზეზებზე გაამახვილა ყურადღება, რის გამოც საქართველო ომში დამარცხდა. ომში საქართველოს დამარცხების 5 მიზეზი კი თავის მხრივ ვებ-გვერდმა „ევოლუცია.ნეტ“ გამოაქვეყნა. ამას მასალის ქართული თარგმანი საიტმა „ფორეიგნპრესმა“ გამოაქვეყნა.

სტატიის ავტორი ამბობს, რომ ამ ომში საქართველოს არმიამ თავი ცუდად წარმოაჩინა. ჩეჩირე იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ ქართული არმია ამერიკის მიერ იყო გაწვრთნილი.

ისე, რა მაგის პასუხია, მაგრამ ამერიკელების გაწვრთნილმა არმიამ მართლაც ვერ წარმოაჩინა თავი. ჩვენ ყველას გვახსოვს აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტი, როცა ქართული არმია ფაქტიურად არ არსებობდა. მაშინ სახალხო ლაშქარმა ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში გაუძლო რუსულ შემოტევებს. ამასთან არც ის დაგავიწყდეთ, რომ მაშინ ჩვენებურებს ექსპრეზიდენტის მომხრეებთანაც უწევდა ბრძოლა და მათი ღალატი რომ არა, ყველაფერი სხვანაირად დასრულდებოდა.

მაიკლ ჩეჩირე მთლად არ ეთანხებმა ქართული არმიის დამარცხებასთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს. მისი თქმით, საქართველოს არმია ბრიტანეთის სპეციალური საჰაერო ძალების და აშშ საზღვაო-საჰაერო ძალების წარმომადგენლებისგანაც რომ ყოფილიყო დაკომპლექტებული, ის მაინც ვერ შეძლებდა მასზე ბევრად დიდი რუსეთის არმიის დამარცხებას.

ვებგვერდი „ევოლუცია.ნეტ“ იმ 5 მიზეზს აქვეყნებს, რის გამოც ქართული არმია დამარცხდა.

### №1 მასშტაბი

რუსეთის შეიარაღებული ძალები, ისევე როგორც ქვეყანა, საქართველოს ბევრად აღემატება.

არ იცოდით, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები რუსეთის არმიაზე პატარაა?

მიუხედავად იმისა, რომ ეს პუნქტი საოცრად ცხადია, უცნაურია ის, თუ რამდენად იშვიათად ხდება ამ ფაქტის ციტირება საქართველოს შეიარაღებული ძალების მოქმედებათა შეფასებისას რუსეთის წინააღმდეგ. მაგალითად, მარტო ჩრდილოეთ-კავკასიაში დისლოცირებული შეიარაღებული ძალები 100 000-ზე მეტ სამხედროს ითვლის, ასობით ტანკს, ჯავშანმანქანას, საარტილერიო ნაწილს და აქ არ იგულისხმება რუსეთის ძალების მულტიპლიკატორები, როგორებიცაა ავიაცია და ლოჯისტიკური რესურსი.

შედარებისთვის, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში დაახლოებით 35 000 სამხედროა და 130 ტანკზე ნაკლები. ეს რიცხვი ისეთ პერსონალსაც მოიცავს, როგორიცაა დაზვერვა, მომსახურე პერსონალი და ადმინისტრაცია.

მაშინ, როდესაც 35 000 ჯარისკაცი იყო და არის საკმარისი სამხრეთ-ოსეთის მცირე შეიარაღებულ ფორმირებებთან გამკლავებისთვის, არავისთვის გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ ქართული დანაყოფები სწრაფად დაჯაბნა დიდმა და უკეთ აღჭურვილმა რუსულმა არმიამ.

### №2 დოქტრინა და წვრთნა

რუსეთის სამხედრო დოქტრინაში აქცენტი კომბინირებულ შეიარაღებულ ძალებზე კეთდება, საქართველოსაში ნაკლებად.

პირველ და მეორე ჩეჩნურ ომებში რუსეთის არმიამ ნების არ არსებობასთან გათანაბრებული აბსოლუტური უუნარობა გამოავლინა, როდესაც საკუთარი ომები ჩეჩენი აჯანყებულების წინააღმდეგ არა აშშ-ს ერაყული და ავღანური ოპერაციების სტილში (ე.წ. სადამსჯელო აქციების ტაქტიკით) აწარმოა, არამედ საბჭოთა სტილში, როდესაც აჯანყებული სეპარატისტების წინააღმდეგ სახმელეთო თავდასხმებსა და დამანგრეველ საჰაერო შეტევებს იყენებდა. ამ ტაქტიკამ პირველ ომში არ გაამართლა და წარმატებას მეორე ომში მხოლოდ მას შემდეგ მიაღწია, რაც ჩეჩნეთის უდიდესი ნაწილი, მისი სამხედრო და სამოქალაქო ცენტრები ნანგრევებად გადაიქცა.

თუკი ტიპური თავდასხმები ჩრდილოკავკასიელ აჯანყებულებზე, რომლებიც კლდოვან უღელტეხილებსა და ურბანულ ჯუნგლებში იმალებოდნენ უფრო ძვირადღირებული გახლდათ, შედარებით უკეთ ორგანიზებული და დიდი ქართული ფორმირებების წინააღმდეგ, გორიდან ჩრდილოეთით უფრო ღია რელიეფის პირობებში ძალიან ეფექტური აღმოჩნდა.

ერთგვარად ირონიულია ის, რომ 2008 წელს საქართველოს შეიარაღებული ძალები რუსეთის არმიაზე გაცილებით უკეთ იყო გაწრთვნილი ე.წ. ურბანული სადამსჯელო აქციების (ს I ) ტაქტიკის თვალსაზრისით. 1990-იანი წლების ბოლოს, საქართველოს შეიარაღებული ძალები დიდწილად ფორმაში გამოწყობილ მოხალისეთა ნაკრებს უფრო წარმოადგენდა, რომლებსაც ნომინალური, ხშირად ერთმანეთის კონკურენტი ხელისუფლების წარმომადგენლები მართავდნენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. მოდერნიზაციის მხარდაჭერის მიზნით, 2002 წელს შეერთებულმა შტატებმა საქართველოს შეიარაღებული ძალების წვრთნა „საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამით“ პროგრამის ფარგლებში, რომლის ხანგრძლივობა 18 თვე იყო, ღირებულება კი 64 მილიონი დოლარი, საქართველოს შეიარაღებული ძალების შეზღუდული კონტინგენტი საბაზისო უნარებში მომზადდა.

საინტერესოა, რომ პროგრამის მთავარი სტიმული საქართველოს პანკისის ხეობაზე თბილისის შეზღუდული კონტროლი გახდა. ხეობაში ეთნიკური ჩეჩნები ცხოვრობდნენ და როგორც ამბობდნენ, დევნილთა ბანაკებს აჯანყებული ჩეჩენი მებრძოლებიც აფარებდნენ თავს. ვლადიმერ პუტინმა თავის მხრივ ამ პროგრამას მხარი დაუჭირა.

წვრთნები, რომელიც ქართულმა მხარემ გაიარა, შესაძლოა საკმარისი ყოფილიყო სამხრეთ-ოსეთის ფორმირებების წინააღმდეგობის ჩასახშობად, მაგრამ ის ფაქტობრივად არაფერს ნიშნავდა რუსეთთან სამხედრო წინააღმდეგობის სცენარისთვის. სწორედ ამიტომ არა აქვს აზრი აგვისტოს ომის კონტექსტში ქართული არმიის „ამერიკულ წვრთნაზე“ აქცენტს, თუმცა ქართველი სამხედროების წარმატებას ერაყსა და ავღანეთში საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევენ.

### №3 ქართული ელიტა

საუკეთესოდ გაწვრთნილი ქართული სამხედრო დანაყოფები ერაყში გააგზავნეს.ერაყზე საუბრისას უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაზე კარგად გაწვრთნილი, აღჭურვილი და გამოცდილი ქართველი სამხედროები ომის დროს საქართველოს ტერიტორიაზეც კი არ იმყოფებოდნენ. ერაყში იმ დროს 2 000 ქართველი სამხედრო მსახურობდა, რომლებსაც კონფლიქტში მონაწილეობის არანაირი შანსი არ გააჩნდათ. იმ დროისთვის, როდესაც ეს ძალები საქართველოში დაბრუნდნენ, ომი დასრულებული იყო. ისინი რომ კონფლიქტის დროს საქართველოში ყოფილიყვნენ, ზოგიერთების აზრით, ამას შესაძლოა რალაც დოზით მაინც ომის შედეგზე ემოქმედა (თუმცა ნაკლებად სავარაუდოა), მაგრამ დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ასეთ შემთხვევაში მსოფლიოს ჰქონდა შანსი შეეფასებინა ის, თუ როგორ მოქმედებენ ამერიკელების გაწვრთნილი ქართველი სამხედროები რუსების წინააღმდეგ.

საქართველოს არმიის საუკეთესო ნაწილი იმ დროს ქვეყანაში რომ არ იმყოფებოდა, ხშირად იმის დასტურად იყენებდნენ, რომ თბილისს ომში ჩაბმის წინასწარი განზრახვა არ ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, ის ნამდვილად არ აპირებდა რუსეთის არმიასთან ბრძოლას. ბუნებრივია, ეს რომ საქართველოს მიზანი ყოფილიყო, მას ენდომებოდა თავისი კარგად გაწვრთნილი და ბრძოლებში გამოცდილი დანაყოფები საქართველოს ტერიტორიაზე ჰყოლოდა და არა მესოპოტამიაში, სადაც ისინი ტელევიზიით უყურებდნენ იმას, თუ როგორ ანადგურებდნენ მათ ქვეყანას.

### №4 ძალის მულტიპლიკატორები

რუსეთმა მნიშვნელოვანი ეფექტის მისაღწევად ძალის რამდენიმე მულტიპლიკატორი გამოიყენა, საქართველომ — არც ერთი.

ძალის მულტიპლიკატორები არის ის, რისი გამოყენებაც საქმეში სამხედრო ოპერაციების ეფექტურობის „მრავალჯერადი გაზრდისთვის“ შეიძლება. მაგალითად, დავუშვათ, რომ არმია ებრძვის არმიას, ორივე არმიის რიცხოვნება და მომზადების დონე თანაბარია, მაგრამ თუკი არმია-ს აქვს თვალთვალის აეროსტატი, ხოლო მეორეს არა. მას საკუთარი ოპერაციების სტილის განსაზღვრის უპირატესობა გააჩნია. მათ შეუძლიათ, მაგალითად, იმის დანახვა, რომ არმია მარცხენა ფლანგიდან დაუცველია, ამ სისუსტის გამოყენება და იქ ჯარების გაგზავნა. არმია დემორალიზებულია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში თვალთვალის აეროსტატი ძალის მულტიპლიკატორია.

რუსეთს საქართველოსთან შედარებით ასეთი უპირატესობები გააჩნდა, რომ აღარაფერი ვთქვათ მის მოცულობით უპირატესობაზე, ადეკვატურ წვრთნასა და ბრძოლებისთვის მზადყოფნაზე. რუსეთის ხელში ერთ-ერთი ასეთი მულტიპლიკატორი საქართველოს საჰაერო სივრცის აბსოლუტური კონტროლი იყო. მართალია ქართულმა ავიაციამ რამდენიმე მოულოდნელი საჰაერო შეტევა განახორციელა, მაგრამ რუსეთის უპირატესობა არასდროს სადავო არ გამხდარა. ეს რუსეთის ძალებს ინფორმაციის შეგროვების, ქართულ სამიზნეებზე თავდასხმებისა და საქართველოს მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური ზეწოლის განხორციელების საშუალებას აძლევდა.

ძალის სხვა მულტიპლიკატორები? ინფორმაცია და თანამგზავრიდან თვალთვალი, ტრანსპორტი და ლოჯისტიკა და დიდი საზღვაო ფლოტი შავ ზღვაზე (რომელმაც მეორე ფრონტი გახსნა) ეს მინიმუმია.

### №5 ხელმძღვანელობა და კონტროლი

ხელმძღვანელობასა და კონტროლთან დაკავშირებული პრობლემები უარყოფითად აისახა საქართველოს შესაძლებლობაზე, რეაგირება მოეხდინა სწრაფად ცვლად გარემოებებზე.

ბევრი დამკვირვებელი ეთანხმება იმას, რომ იმ შემთხვევაშიც, თუკი საქართველო წინასწარ ემზადებოდა აგვისტოს ომისთვის (ეს კი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას), მას რუსეთის მონაწილეობაზე გათვლა არ ჰქონდა და რაღა თქმა უნდა, ის არ ფიქრობდა იმას, რომ რუსეთი ომში ასეთი სისწრაფით, შემართებით და ამ დოზით ჩაებმებოდა (მაგალითად, გააფართოებდა ომს კონფლიქტის ზონების მიღმა), როგორც ეს სინამდვილეში მოხდა და გეგმავდა თუ არა მას საქართველო, ცხადია, რომ ისინი, ვინც პასუხისმგებლები იყვნენ დაგეგმვაზე სტრატეგიულ და ტაქტიკურ დონეზე, საკუთარ საქმეს ვერ გაუმკლავდნენ. როდესაც კონფლიქტში რუსული არმია ჩაება, ქართულმა წინააღმდეგობამ შთამბეჭდავი კრახი განიცადა.

ხელმძღვანელობის დონეზე ქართულმა არმიამ ვერ შეძლო სწრაფად ცვალებად პირობებსა და გარემოებებთან ადაპტირება და საბოლოო ჯამში დაიშალა და გაიფანტა. სარეზერვო ძალის გამოყენებაზე მოწოდებაც კი, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის დაცვისთვისაა განსაზღვრული, სრული მარცხით დასრულდა და არაფრის მომცემი იყო არც მებრძოლების, არც საბრძოლო აღჭურვილობის და არც ორგანიზაციული მზადყოფნის თვალსაზრისით. არ არის გასაკვირი, რომ ომის შემდეგ რეზერვისტთა ძველი სისტემა ყოველგვარი ცერემონიის გარეშე გაუქმდა და გადაჯგუფდა.

პრობლემა, როგორც ჩანს, სამხედრო იერარქიის ყველა დონეზე არსებობდა - სამინისტროდან დაწყებული, ქვედანაყოფების ხელმძღვანელობით დამთავრებული, ხოლო გეგმები ტერიტორიული თავდაცვის მხარდაჭერის სფეროში, რაც ზოგადად ყველა ნაციონალური შეიარაღებული ძალის არსებობის არსია, ან არ არსებობდა, ან საშინლად შესრულდა. თუკი ქართული არმია რუსეთის შეიარაღებულ ძალებს ისეთი შეტაკებებისკენ უბიძგებდა, რომელსაც დიდი მსხვერპლი მოჰყვებოდა, შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, იქნებოდა თუ არა ამ ომის დასასრული საქართველოსთვის უკეთესი.

# რას ნიშნავს აბიტურიენტთა რეგისტრაცია ონლაინ რეჟიმში?

ნათია ხურცილავა

**წელს ყველა მე-12 კლასელი ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირდება ერთიანი ეროვნული გამოცდისთვის. გვესაუბრება გამოცდების ეროვნული ცენტრის მთავარი ლოჯისტი მაია გაბუნია.**



***— ქალბატონო მაია, რა სიახლეა აბიტურიენტებისთვის ონლაინ რეჟიმში რეგისტრაციის გავლასთან დაკავშირებით?***

— 14 თებერვალს რეგისტრაციის პროცესი დავიწყეთ. ის 25 მარტის ჩათვლით გასტანს. სამი წლის განმავლობაში ონლაინ რეჟიმში მსურველებს უფლება ჰქონდათ, რომ გაევლოთ რეგისტრაცია. წელს ამ პროცესმა მასობრივი სახე მიიღო. თბილისის ყველა სკოლის მე-12 კლასელი ონლაინ რეჟიმში გაივლის რეგისტრაციას, ასევე სხვადასხვა რეგიონის აბიტურიენტებიც, სადაც არის ინტერნეტი. ამ სიახლეს ბევრი დადებითი მხარე აქვს. პირველი, სახლიდან გაუსვლელად შეუძლია აბიტურიენტს რეგისტრაციის გავლა. მეორე, როდესაც აბიტურიენტი განაცხადს აკეთებს, შეიძლება შეეშალოს არჩევანის დროს, ჩამონათვალის დროს ან ერთი კვირის მერე მიიღოს გადაწყვეტილება. ამ ყველაფრის შეცვლა აბიტურიენტს შეუძლია 25 მარტის ჩათვლით. რეგისტრაციის პერიოდში აბიტურიენტს უფლება აქვს, განაცხადი შეცვალოს რამდენჯერმე, საუბარი არის ონლაინ რეჟიმზე. ეს მექანიკური შეცდომებისგან აზღვევს აბიტურიენტებს. ამ შვიდი წლის განმავლობაში ბევრი შემთხვევა გვქონია, როდესაც აბიტურიენტი საგანთა ჩამონათვალსაც კი შეცდომით აკეთებდა. სამწუხაროდ, ამის შეცვლის უფლება არ იყო.

პროგრამა ისეა დაწერილი, რომ როდესაც მონიშნავს ჩასაბარებელ საგანს აბიტურიენტი, საუბარია მეოთხე არჩევით საგანზე, რომელიც აუცილებლად უნდა მონიშნოს აბიტურიენტმა (აუცილებელია ოთხი საგნის ჩაბარება, სამი სავალდებულო პლუს ერთი არჩევითი საგანი), თუ შეცდომით მონიშნა აბიტურიენტმა არჩევითი საგანი და აირჩია ისეთი პროგრამა, სადაც ეს საგანი არ ბარდება ანუ მოთხოვნადი არ არის, პროგრამა მას ეუბნება, რომ თქვენ არასწორად აირჩიეთ ჩასაბარებელი საგანი. ამით კიდევ ერთხელ ვეხმარებით აბიტურენტს, რომ მან სწორი არჩევანი გააკეთოს.

აბიტურიენტი, რომელიც გაივლის ონლაინ რეჟიმში რეგისტრაციას, ვალდებულია 20 ივნისამდე გამოცდების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინოს ატესტატის ქსეროასლი. აბიტურიენტებს 7 არჩევანის უფლება აქვთ. შეუძლიათ აირჩიონ როგორც აკადემიური, ასევე პროფესიულ და ქართულ ენაში მომზადების პროგრამები. ქართულ ენაში მომზადების პროგრამა შეუძლია აირჩიოს საქართველოს მოქალაქემ, რომელიც ზოგად უნარებს ჩააბარებს სომხურ ან აზეირბაიჯანულ ენაზე. ცნობარში, რომელიც ახლა განთავსებულია ვებგვერდზე, მოცემულია აკადემიური და ქართულ ენაში მომზადების პროგრამები. პროფესიული პროგრამების არჩევანს უახლოეს დღეებში შევთავაზებთ აბიტურიენტებს. აბიტურიენტებმა განაცხადის შევსების დროს სასურველი პროგრამის შვიდნიშნა კოდი უნდა მიუთითონ.

***— რა ცვლილებებია შესული დაფინანსებასთან დაკავშირებით?***

— ძირითადი და მნიშვნელოვანი ცვლილება დაფინანსების ფორმის შეცვლას ეხება. გარკვეული მიმართულებებია, სადაც მხოლოდ ასპროცენტიან გრანტს მიიღებენ ჩარიცხული სტუდენტები. არის პრიორიტეტული მიმართულებები, სადაც ჩვეულებრივ პროცენტული დაფინანსებაც იქნება, როგორც 100 პროცენტიანი, ასევე 70 პროცენტიანი, 50 და 30 პროცენტიანი დაფინანსება.

***— რა მიმართულებებია?***

— მიმართულებები რომლებიც მხოლოდ 100 პროცენტით ფინანსდება, არის ბიზნესი და მართვა, გარდა ტურიზმისა, ტურიზმი სრულად ფინანსდება, როგორც 100 პროცენტიანი, ასევე 70 პროცენტიანი, 50 და 30 პროცენტიანი დაფინანსებით. ასევე ჯანდაცვა მხოლოდ 100 პროცენტიანი დაფინანსებით ფინანსდება. ასევე სამართალი, საერთაშორისო სამართალი და ურთიერთობები. ასევე, ჟურნალისტიკა და მედია-კომუნიკაცია. ეს ის მიმართულებებია, რომლებიც მხოლოდ 100 პროცენტიანი გრანტით ფინანსდება. წინა წელსაც შეიცვალა დაფინანსება. დაფინანსება გაიცემოდა არჩევითი საგნების მიხედვით. წელსაც იგივე პრინციპით ხდება.

***— ამ ინფორმაციას აბიტურიენტები იქვე მიიღებენ?***

— ცნობარი გვაქვს განთავსებული, სარეგისტრაციო პუნქტები გახსნილი გვაქვს ყველა რესურს-ცენტრში რეგიონებში, თბილისში ხუთი პუნქტი არსებობს თითოეულ რაინში. ინფორმაცია აბიტურიენტებისთვის „ახალ განათლებაშიც“ დაიბეჭდა. 2011 წლამდე ყველა უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც იღებდა მონაწილეობას, აკრედიტებული იყო, წელს დაემატა ორი უმაღლესი სასწავლებელი, რომლებიც ავტორიზებულია. უკვე უმაღლესი სასწავლებლების ავტორიზება შემოდის. ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებში სახელმწიფო გრანტი არ მიდის. ანუ სახელმწიფო გრანტით ამ უმაღლეს საწავლებელში ჩარიცხული სტუდენტები არ დაფინანსდებიან.

***— რომელი სასწავლებლებია?***

— თამარ მეფის სახელობის საპატრიარქოსთან არსებული უნივერსიტეტი და თავდაცვის აკადემია. თუმცა, თავდაცვის აკადემიაში ჩარიცხულ სტუდენტებს თავდაცვის სამინისტრო აფინანსებს. ყველა ეს ინფორმაცია გარკვევით წერია ცნობარში. ამიტომ სანამ გააკეთებენ არჩევანს, აბიტურიენტები კარგად უნდა გაეცნონ ცნობარს. ყურადღება უნდა მიაქციონ იმასაც, რომ უმაღლეს საწავლებელს აქვს უფლება, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გაზარდოს ცალკეულ ფაკულტეტზე ცალკეული საგნებისთვის. ასეთი რამ აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, კავკასიის აკადემიურ ცენტრს — სიესს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თითქმის ყველა ფაკულტეტზე აქვს გაზრდილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის ყველა საგანში, გარდა უცხო ენისა, 25 პროცენტს პლუს ერთი. უცხო ენაში — 20 პროცენტს პლუს ერთი.

რეგისტრაცია შეუძლიათ გაიარონ როგორც აბიტურიენტებმა, ასევე სტუდენტებმა გრანტის გაუმჯობესების მიზნით. ამისთვის მხოლოდ ონლაინ რეჟიმში უნდა გაიარონ რეგისტრაცია. მათ უნდა მიუთითონ ის უმაღლესი სასწავლებელი, სადაც სწავლობენ. დარეგისტრირდებიან და პლასტიკურ ბარათს იმ უმაღლეს სასწავლებელში მიიღებენ, სადაც სწავლობენ.

***— მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველებისთვის რა იცვლება?***

— მაგისტრებზეც გამოვაცხადეთ რეგისტრაცია. 14 თებერვლიდან 25 მარტის ჩათვლით არის ვადა. ამ შემთხვევაში ის რეგისტრირდება, როგორც ერთიან სამაგისტრო გამოცდებში მონაწილე. ამ შემთხვევაში რეგისტრაცია არ არის რომელიმე კონკრეტულ სასწავლებელთან მიბმული, თუ სად სურს მას გააგრძელოს სწავლა. მაგისტრატურაში სწავლის გამგრძელებელი სტუდენტი ონლაინ რეჟიმში უთითებს იმ უმაღლეს სასწავლებელს, სადაც სურვილი აქვს პლასტიკური ბარათი მიიღოს. უახლოეს მომავალში ჩვენს ვებ-გვერდზე და ალბათ უმაღლესი სასწავლებლები თავიანთ ვებ-გვერდზე განათავსებენ ინფორმაციას არსებული პროგრამების თაობაზე, თუ რა პროგრამებზე მიიღებენ ისინი მაგისტრანტებს. შემდეგ ხდება უმაღლეს საწავლებლებში სურვილის მიხედვით დარეგისტრირება.

***— მაგისტრების დაფინანსების წესი როგორია?***

— გამოცდების ჩაბარების შემდეგ დგება რანჟირებული სია, პირველი 100 საუკეთესო შედეგის მქონე მაგისტრი, განურჩევლად იმისა, თუ რომელ მიმართულებაზე ჩააბარა, ფინანსდება 100 პროცენტით. ზოგადად მაგისტრატურაში დაფინანსება 100 პროცენტია, მაქსიმალური თანხა 2.250 ლარი იყო და ალბათ წელსაც ასე იქნება. შემდეგ მიმართულებების მიხედვით ხდება გადანაწილება, 11 მიმართულებაა, იმ თანხიდან, რასაც სახელმწიფო გამოჰყოფს, 10 პროცენტი ნაწილდება რანჟირებულ სიაზე, საუკეთესო 100 შედეგის მქონე მაგისტრებზე. ჩვენ ვაწვდით ინფორმაციას იმ მაგისტრებზე, ვინც გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი თუნდაც სამ ნაწილში.

ოთხი ნაწილისგან შედგება სამაგისტრო გამოცდა. თუ სამ ნაწილში გადალახავენ, სწავლის გაგრძელების უფლება აქვთ. ყველა ინფორმაციას მაგისტრი უმაღლესი სასწავლებლის და ჩვენი ცენტრის ინტერნეტ მისამართზე გაიგებს. ხშირად ეშლებათ მაგისტრობის კანდიდატებს, რომ დარეგისტრირებით ისინი უკვე უმაღლეს საწავლებელს ირჩევენ, არადა, ამით მხოლოდ პლასტიკურ ბარათს იღებენ. შემდეგ კეთდება განაცხადი უმაღლესი სასწავლებლის შესახებ.

***— ქალბატონო მაია, რეგისტრაციის გავლის თანხა რამდენია?***

— აბიტურიენტები თითოეულ საგანში იხდიან 10 ლარს. გრანტის გაუმჯობესების მიზნით სტუდენტი იხდის 10 ლარს, მაგისტრობის კანდიდატი კი — 50 ლარს. თანხის გადახდა საქართველოს ბანკის ნებსმიერ ფილიალში ხდება, ასევე საჯარო რეესტრის სააგენტოებში.

***— როგორც ვიცი, ასევე იწყება პედაგოგების სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის რეგისტრაცია...***

— მათაც შეუძლიათ დარეგისტრირება, მაგრამ იმისთვის, რომ რეგისტრაცია სრულად გაიარონ, პედაგოგებმა დამატებით დოკუმენტაცია უნდა წარადგინონ რესურს-ცენტრებში.

# ისრაელის საელჩო ახალ შენობაში გადავიდა და მუშაობა განაახლა

ნათია ხურცილავა

საგარეო საქმეთა სამინისტროში ორშაბათის ტრადიციული პრესკონფერენცია გაიმართა. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ გასული კვირა შეაჯამა.

გუშინ გამართული პრესკონფერენციის მთავარი საკითხები რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის მიერ გაკეთებული განცხადება იყო, 2014 წელს სოჭში დაგეგმილ ზამთრის ოლიმპიადასათნ დაკავშირებით.

მედვედევის განცხადებით, მეზობელ საქართველოს ოლიმპიადის ჩაშლა აწყობს და ამიტომ ფრთხილად უნდა იყვნენ.

საქართველოს საგარეო უწყებაში აცხადებენ, რომ რუსეთის პრეზიდენტის მხრიდან მსგავსი განცხადებები მოულოდნელი არ არის და მსგავსი განცხადებები მას გაუკეთებია. თუმცა საქართველომ მსგავსი განცხადების მიმართ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს.

მეორე საკითხი, რაზეც კალანდაძემ ისაუბრა, მალაიზიაში დაკავებული ქართველების სასამართლო პროცესს შეეხება.

მალაიზიაში დაკავებული ქართველი ქალების სასამართლო პროცესი 12 თებერვალს უნდა გამართულიყო. თუმცა, საგარეო უწყების ინფორმაციით, პროცესი 4 მარტამდე გადაიდო.

ჯერ ისევ უცნობია ექსპერტიზის პასუხი, რომელმაც უნდა განსაზღვროს ნარკოტიკული ნივთიერება მეტამფიტამინის რაოდენობა.

როგორც ამბობენ, სწორედ ექსპერტიზის პასუხი განსაზღვრავს მალაიზიაში დაკავებული ორი ქართველის ბედის.



— მალაიზიის სასამართლო არ არის ვალდებული, ჩვენ მიერ მიწოდებული ინფორმაცია გაიზიაროს. თუმცა ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყურად იღებს ქართველი სამართალდამცავი ორგანოების მიერ შესრულებულ საქმიანობას და შესაბამის დასკვნას. რასაკვირველია, მსჯავრდებული პირის ბედი თუ მის მიმართ წაყენებული ბრალდება არ ანთავისუფლებს ქალბატონებს ბრალეულობისგან, თუ ეს მათ მიერ იქნება აღიარებული. ეს უშუალო კავშირში არ იქნება იმასთან, რა გადაწყვეტილებაც იქნა საქართველოში მიღებული. რაც შეეხება ტექნიკურ მხარეს, 12 თებერვალს დაგეგმილი პროცესი 4 მარტისთვის გადაიდო, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

ქართულ მხარეს მუდმივი კონტაქტი აქვს მალაიზიელ სამართალდამცავ ორგანოებთან, მასალების მოთხოვნის შემთხვევაში ქართული მხარე მზად არის დამატებითი ინფორმაციის მიწოდებისთვის.

ნინო კალანდაძემ საფრანგეთში საქართველოს მოქალაქეების დაკავებაზეც ისაუბრა.

საგარეო უწყების ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქეები საფრანგეთში დიდი რაოდენობით სიგარეტის კონტრაბანდის გამო დააკავეს. ჯერ მათი ვინაობა ცნობილი არ არის ქართული მხარისთვის, რადგან ფრანგული მხარე, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მათ ვინაობას არ ახმაურებს.

გასული კვირის მიწურულს გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოში, თურქეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში და კიდევ სამ ქვეყანაში ისრაელის საელჩო დროებით დაიხურა.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, ისრაელის საელჩო თამარ მეფის ქუჩაზე, ახალ შენობაში გადავიდა. როგორც ამბობენ, საელჩოს მუშაობა ტექნიკური მიზეზით იყო რამდენიმე დღის განმავლობაში შეფერხებული.

საგარეო სამინისტროში აცხადებენ, რომ ისრაელსა და საქართველოს შორის ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობები არ შეწყვეტილა და ახლაც ჩვეულ რეჟიმში გრძელდება.

## „სახალხო კრება“ წინააღმდეგობის კომიტეტს თერჯოლასა და ბაღდათში დააფუძნებს

სახალხო წარმომადგენლობითი კრება წინააღმდეგობის კომიტეტს იმერეთის რეგიონში, კერძოდ თერჯოლასა და ბაღდათში ხვალ დააფუძნებს.

როგორც „მედიანიუსს“ სახალხო წარმომადგენლობითი კრებიდან„ აცნობეს, კომიტეტის გახსნას „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრები დაესწრებიან. როგორც „სახალხო კრებაში“ განმარტავენ, კომიტეტები საქართველოს მოსახლეობას დაუმორჩილებლობისთვის მოამზადებენ. საქართველოს მასშტაბით დაახლოებით 35-მდე წინააღმდეგობის კომიტეტია დაარსებული.

**მედიანიუსი**

## სალომე ზურაბიშვილი სერგეი ლავროვს შეხვდა

გაერო-ს უშიშროების საბჭოს ირანის სანქციების კომიტეტის ექსპერტების ჯგუფის კოორდინატორის სალომე ზურაბიშვილის თქმით, კომიტეტში რუსეთის მხარდაჭერით კმაყოფილები არიან. ამის შესახებ ინფორმაციას რუსული სააგენტო „იტარ-ტასი“ ავრცელებს.

როგორც გუშინ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი ლავროვთან შეხვედრის შემდეგ სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, აუცილებელია სანქციებზე მხარდაჭერა უშიშროების საბჭოს ყველა წევრისგან იქნას მიღებული.

— სასიხარულო ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში რუსეთი მხარს გვიჭერს, — აღნიშნა გაერო-ს უშიშროების საბჭოს ირანის სანქციების კომიტეტის ექსპერტების ჯგუფის კოორდინატორმა.

რაც შეეხება ირანის წინააღმდეგ სანქციების ახალი პაკეტის მომზადებას, სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, იგი მხოლოდ გაერო-ს უშიშროების საბჭოს ირანის სანქციების კომიტეტის ექსპერტების ჯგუფის კოორდინატორია და არსებული სანქციების შესრულებასა ან ახალი სანქციების დაწესებაზე თვალყურის დევნება მის კომპეტენციაში არ შედის.

— სანქციების შესრულებაზე თვალის დევნება გაეროს უშიშროების საბჭოს ეხება და შესაბამისად, ახალი სანქციების დაწესების საკითხიც მხოლოდ მათი გადასაწყვეტია, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

**მედიანიუსი**

## საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტები ისევ უცხოეთში წასვლაზე ფიქრობენ

„სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართული ემიგრანტების“ ორგანიზებით, დღეს თბილისში, კინოს სახლში მიგრაციისა და ტრეფიკინგის პრობლემებზე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა იმსჯელეს. შეხვედრაზე ინტერნეტის საშუალებით ამ სფეროში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ვიდეოხიდიც გაიმართა.

როგორც ტრეფიკინგის წინააღმდეგ მებრძოლი საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელის მარკ ხულსტმა განაცხადა, ქართველი ემიგრანტების მიმართ ტრეფიკინგის ფაქტებმა იკლო, რაც უცხოეთში მიმავალი საქართველოს მოქალაქეების ტრეფიკინგის შესახებ ინფორმირებულობის და ამა თუ იმ ქვეყანაში ტრეფიკინგის საწინააღმდეგო კანონის გამკაცრების დამსახურებაა.

„სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობაში“ ემიგრაციის საკითხებში სახალხო ომბუდსმენის ნინო ცხოიძის განცხადებით, საქართველოში არსებული მძიმე ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ვითარების გამო, მოქალაქეები უცხოეთში უკვე ოჯახებთან ერთად მიდიან და თავშესაფრისა და პოლიტიკური დევნილობის სტატუსის მიღებამდე, ღამეებს ქუჩებში ათევენ.

შეხვედრაზე საქართველოში დაბრუნებულ ემიგრანტებზეც ისაუბრეს. ორგანიზაცია „ქართული ემიგრანტის“ ხელმძღვანელ ზვიად ყუშიტაშვილის ინფორმაციით, საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტები ისევ უცხოეთში წასვლაზე ფიქრობენ, ვინაიდან პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაპირება არ სრულდება და უცხოეთიდან დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეები სამსახურებს ვერ შოულობენ.

**მედიანიუსი**

## გურიის საგანგებო სიტუაციათა სამსახურს ყოფილი ძალოვანი უხელმძღვანელებს

გურიის გუბერნატორის ბრძანებულებით, რეგიონის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსად ყოფილი ძალოვანი შალვა ბოლქვაძე დაინიშნა.

ბოლქვაძე ჯერ შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი, შემდეგ კი, ამავე სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დასავლეთ რეგიონის უკვე ყოფილი უფროსის, კოტე არჩაიას მოადგილე იყო.

გურიის საგანგებო სიტუაციათა მართვის სამსახური 2009 წლის ნოემბერში შეიქმნა და რამდენიმე თვე ზვიად უნგიაძე ხელმძღვანელობდა.

აღნიშნული სამსახურის უფროსის ადგილი მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც ე.წ. ბახმაროს სკანდალი გახმაურდა. გავრცელებული ინფორმაციით, ბახმაროში უკანონოდ დაკანონებული მიწების ერთ-ერთი მეპატრონე შალვა ბოლქვაძეც იყო.

**ინტერპრესნიუსი**

## 2 თვის ჩვილის გარდაცვალების მიზეზს ექსპერტიზა დაადგენს

2 თვის ჩვილის გარდაცვალების მიზეზს სამედიცინო-სასამართლო ექსპერტიზა დაადგენს.

როგორც „ინტერპრესნიუსთან საუბრისას“ ზუბალაშვილების ქუჩაზე მდებარე ბავშვთა პირველი საავადმყოფოს წარმომადგენელმა ინგა მამაცაშვილმა განუცხადა, 2 თვის ნიკოლოზ მანსერაძე კლინიკაში მშობლებმა უკვე გარდაცვლილი მიიყვანეს.

ექიმის განცხადებით, ჩვილ ბავშვს 2 დღე მაღალი სცოხე ჰქონდა. მას ოჯახის წევრები სიცხის დამწევ მედიკამენტს აძლევდნენ.

ჩვილი მშობლებმა სამარშუტო ტაქსით კასპიდან თბილისში, ექიმთან წამოიყვანეს, მაგრამ კლინიკაში ბავშვი უკვე გარდაცვლილი მიიყვანეს.

აღნიშნული შემთხვევის გამო, საავადმყოფოში საპატრულო პოლიცია გამოიძახეს. ჩვილი ექსპერტიზისთვის პროზექტურაში გადაასვენეს.

**ინტერპრესნიუსი**

# გარემოს დაცვის სამინისტრო არ უნდა გაუქმდეს

**ნანა მიშელაშვილი**

**რატომ ითხოვს მთავრობა გარემოს დაცვის სამინისტროს რეორგანიზაციის საკითხის დაჩქარებული წესით განხილვას? ეს შეკითხვა გუშინ საპარლამენტო ოპოზიციის წევრებმა დასვეს, თუმცა, კონკრეტული პასუხი ვერ მიიღეს.**

გარემოს დაცვის სამინისტროს რეორგანიზაციის შესახებ მთავრობამ რამდენიმე დღის წინ განაცხადა. ამისთვის კი პარლამენტმა შესაბამისი კანონი უნდა მიიღოს. მთავრობამ კანონპროექტი მოამზადა და მის განხილვას პარლამენტში დაჩქარებული წესით ითხოვს.

გარემოს დაცვის სამინისტროს რეორგანიზაციის შემდეგ, ამ სამინისტროს ფუნქციების ნაწილი ენერგეტიკის სამინისტროში გადავა, ნაწილი კი — ეკონომიკის სამინისტროს გადაეცემა. გარემოს დაცვის სამინისტრო მთლიანად არ უქმდება, მას გარკვეული ფუნქციები რჩება.

საპარლამენტო უმცირესობა მოითხოვს, რომ ამ საკითხის დაჩქარებული წესით განხილვა არ მოხდეს და პარლამენტის წევრებმა იმ ექსპერტებს მოუსმინონ, რომლებიც გარემოს დაცვით საკითხებზე წლების განმავლობაში მუშაობენ.

— რატომ მოითხოვს მთავრობა დაჩქარებული წესით ამ საკითხის განხილვას? ვეწინააღმდეგები ამ კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას, — განაცხადა უმცირესობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ ბიუროს სხდომაზე.

თარგამაძემ დეპუტატებს ის განცხადებები გაახსენა, რომელიც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე ხნის წინ საერთაშორისო არენაზე გააკეთა. თარგამაძის აზრით, სააკაშვილის მიერ ადრე გაკეთებული განცხადებები და მთავრობის ახლანდელი გადაწყვეტილება ერთმანეთთთან შეუსაბამოა.

უმცირესობის ლიდერს ბიუროს სხდომის წამყვანმა განუმარტა, რომ კანონპროექტის განხილვა არაუადრეს 9-11 მარტისა მოხდება, მანამდე ქრისტიან-დემოკრატებს შეუძლიათ შეხვდნენ დაინტერესებულ პირებს და კანონპროექტი მათთან ერთად განიხილონ.

საბოლოოდ, ბიუროს სხდომაზე კენჭისყრა შედგა და ბიურომ გადაწყვიტა, რომ კანონპროექტის განხილვა დაჩქარებული წესით მოხდეს. კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის წინააღმდეგი მხოლოდ სამი დეპუტატი: გიორგი თარგამაძე, ლევან ვეფხვაძე და კონსტანტინე გამსახურდია იყო.

— საერთოდ, ეს არის ჩვენი მთავრობის მორიგი ინფანტილიზმის, არასერიოზულობის გამოვლენა, როდესაც რომელიმე სტრუქტურა სრულფასოვნად ვერ ასრულებს თავის ფუნქციას, მინისტრი ან თანამშრომლები უნდა შეასუსტონ ან სამინისტრო გააუქმონ. ამ ლოგიკით, დღეს საქართველოს პარლამენტი შესაძლოა გასაუქმებელი იყოს, იმიტომ, რომ ისეთი პოლიტიკური ბალანსია წარმოდგენილი, რომ მთავრობაზე ეფექტური კონტროლის მექანიზმებს პარლამენტი ვერ ქმნის. რა ვქნათ, საქართველოს პარლამენტი გავაუქმოთ? თუ ვეცადოთ, რომ პარლამენტმა თავისი მოვალეობები შეასრულოს? — კითხვა დასვა გიორგი თარგამაძემ.



უმცირესობის ლიდერი წინააღმდეგია არათუ საკითხის დაჩქარებული წესით განხილვის, არამედ, საერთოდ ამ სამინისტროსადმი მთავრობის მიდგომის.

გიორგი თარგამაძის აზრით, გარემოს დაცვის სამინისტროს უნდა შეუნარჩუნდეს და კიდევ უფრო მეტად უნდა გაუძლიერდეს მარეგულირებელი ფუნქციები.

— ჩვენ მიგვაჩნია, რომ კონცეპტუალურად მცდარ მიდგომებს აქვს ადგილი, თუმცა, ამ შემთხვევაში პროცედურაზე ვდავობთ, რადგან დაჩქარებული წესით საკითხის განხილვამ არ გვინდა საზოგადოება დატოვოს ალტერნატიული მოსაზრებებისა და პოზიციების მიღმა, რომელიც საექსპერტო საზოგადოებაში, პოლიტიკურ ძალებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებობს, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში გიორგი თარგამაძემ.

უმცირესობის ლიდერი ამბობს, რომ ერთი კვირის წინ პარლამენტში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე ექსპერტებს შეხვდა, რომელთაც აზრს არავინ არ შეეკითხა.

— ჩვენ ექსპერტებს აქტიურად ჩავრთავთ რათა სინამდვილეში გამოჩნდეს ეს გადაწყვეტილებები მზადდება მხოლოდ და მხოლოდ აბსოლიტურად გაუთვლელი პოლიტიკური მოტივაციის გამო თუ ამის უკან მართლა დგას დასაბუთებული არგუმენტები, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

რაც შეეხება მთავრობის პოზიციას, ჟურნალისტებთან საუბარში კომენტარი გააკეთა მთავრობის საპარლამენტო მდივანმა.

— ბენებრივია, როდესაც ერთ უწყებას გააჩნია ფუნქცია აღრიცხოს ბუნებრივი რესურსები, ლიცენზიები გასცეს, გაყიდოს და ასე შემდეგ, შესაძლოა აქ გარკვეული ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშვას გარემოს დაცვის კუთხით. კანონპროექტთა პაკეტის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ის, რომ ამ ფუნქციების ერთმანეთისგან გამიჯვნა საკმაოდ მკაფიოდ მოხდეს. ამ საკითხებთან დაკავშირებით გარკვეული დროის განმავლობაში კონსულტაციები მიმდინარეობდა. ჩვენ ვაპირებთ ყველა დაინტერესებულ ექსპერტთან კონსულტაციები გავმართოთ, დარგობრივ კომიტეტებთან და საბოლოოდ მივიღოთ გონივრული გადაწყვეტილება, — ასეთია მთავრობის საპარლამენტო მდივნის პოზიცია.

კიდევ ერთი სიახლე ის არის, რომ მთავრობის შემადგენლობაში ორი ახალი უწყება გაჩნდება. გია ხუროშვილის განმარტავს, რომ მთავრობაში ორი ახალი სახელწოდების სამინისტრო შეიქნება — ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და გარემოს დაცვის სამინისტრო.

შეიცვლება თუ არა სამინისტროს სახელწოდების შეცვლასთან ერთად მინისტრი გოგა ხაჩიძე? ამ შეკითხვაზე პასუხი დეპუტატებს არა აქვთ. მინისტრის ცვლილება პრეზიდენტისა და პრემიერის გადასაწყვეტია და არა პარლამენტის. ამდენად, ეყოლება თუ არა გარემოს დაცვის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელი, ეს მას შემდეგ გაირკვევა, რაც გარემოს დაცვის სამინისტროს ფუნქციები კონკრეტულად ჩამოყალიბდება.

# „მითრიდატე“ ბეირუთში მიდის

**ეკა ირემაშვილი**

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი 23 თებერვლიდან საგასტროლოდ მიემგზავრება ლიბანში, სადაც მონაწილეობას მიიღებს ალ ბუსტანის მუსიკისა და ხელოვნების მე-18 საერთაშორისო ფესტივალში.

ამ ერთ-ერთი პრესტიჟული ფესტივალის აუდიტორიისთვის ოპერის თეატრის სიმფონიური ორკესტრი მრავალფეროვან პროგრამას შეასრულებს — ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონიას, იოჰანეს ბრამსის მეოთხე სიმფონიას, მეორე კონცერტს ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის, „ტრაგიკულ უვერტიურას“, ფერენც ლისტის პირველ კონცერტს ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის, ბედრჟიხ სმეტანას უვერტიურას ოპერიდან „გაყიდული საპატარძლო“, ანტონინ დვორჟაკის „სლავურ ცეკვებს“, კონცერტს ვიოლონჩელისა და სიმფონიური ორკესტრისთვის, სერგეი პროკოფიევის მეორე კონცერტს ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის. ამ რეპერტუარში ორკესტრი პარტნიორობას გაუწევს პიანისტებს მარტინა ფილიაკს, დენის კოჟუხინს, ვიოლონჩელისტ გოტიე კეპიუშონს. ქართველი მომღერლები ირინე თაბორიძე, სოფიო ჯანელიძე და ლეგი იმედაშვილი ლიბანის ფილარმონიულ ორკესტრთან და ბეირუთის კონსერვატორიის გუნდთან ერთად ააჟღერებენ ანტონინ დვორჟაკის „სტაბატ მატერს“.

ალ ბუსტანის მე-18 საერთაშორისო ფესტივალის ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენა კი იქნება 17 და 19 მარტს საქართველოდან ჩატანილი სპექტაკლის ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ოპერის „მითრიდატე, პონტოს მეფის“ წარმოდგენა. მისი დამდგმელი დირიჟორი ჯანლუკა მარჩიანოა, დამდგმელი რეჟისორი — დავით საყვარელიძე, ხოლო დამდგმელი მხატვარი — ნინა კობიაშვილი. სპექატკლის პრემიერა თბილისში 19 და 20 თებერვალს რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე შედგა. ეს სპექტაკლი ოპერისა და ბალეტის თეატრისა და რუსთაველის თეატრის ერთობლივი პროექტია. ამიტომაც ოპერის ორკესტრსა და საოპერო მომღერლებთან ერთად სპექტაკლში რუსთაველის თეატრის მსახიობებიც მონაწილეობენ.

„მითრიდატეში“ იმღერებენ იანგ იანგი, თეონა დვალი, ირინე თაბორიძე, სოფიო გორდელაძე, სოფიო ჯანელიძე, ირაკლი მურჯიკნელი, ნინო ჩაჩუა, ასევე მონაწილეობას მიიღებენ რუსთაველის თეატრის მსახიობები ნინო კასრაძე, ნინო თარხან-მოურავი, თემიკო ჭიჭინაძე, დავით დარჩია, დავით უფლისაშვილი და ოპერის თეატრის ორკესტრი.

აღნიშნულ კონცერტებსა და სპექტაკლებს წარუძღვება (გარდა 2 მარტის კონცერტისა, როდესაც სადირიჟორო პულტთან იქნება პიტერ ფერანეცი) თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრისა და ალ ბუსტანის საერთაშორისო ფესტივალის მუსიკალური ხელმძღვანელი დირიჟორი ჯანლუკა მარჩიანო.

## ხიდაშელი უფლებათადამცველებს დასუფთავების სამსახურის თანამშრომელთა დაცვას სთხოვს



რესპუბლიკური პარტიის წევრის, თბილისის საკრებულოს თინათინ ხიდაშელის განცხადებით, რამდენიმე თვეა საკრებულოში დასუფთავების სამსახურის თანამშრომლების საჩივრები შედის აღნიშნულ უწყებაში გამეფებული განუკითხაობის, დისკრიმინაციისა და შრომითი უფლებების დარღვევის შესახებ.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ხიდაშელმა აღნიშნა, განსაკუთრებით სარისკოა დასუფთავების სამსახურის სამი თანამშრომლის ბედი, რომლებიც აქტიურად აკრიტიკებენ სამსახურის პოლიტიკას და გამოთქვამენ პროტესტს. წარსულში, ასეთი „მეამბოხე“ თანამშრომლები სამსახურიდან გაათავისუფლეს.

— დღეს სწორედ ლალი მამოევის, ზარა მუსაევას და დალი ხვადაგიანის დასაცავად გვინდა მივმართოთ ყველა უფლებადამცველს, რომ ისინი არ გახდნენ რეპრესიების მსხვერპლი მათი ხელმძღვანელების მხრიდან, მხოლოდ იმიტომ. რომ ამ პრესკონფერენციაზე იმყოფებიან — აღნიშნა ხიდაშელმა.

მისი თქმით, დასუფთავების სამსახურში პრობლემები მრავალგვარია და 2007 წლიდან დაწყებული რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება მათი გამოსწორების მიზნით არ განხორციელებულა.

თანამშრომლებს ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ათავისუფლებენ, ასევე, მათ არ გააჩნიათ სამედიცინო დაზღვევა, 2010 წლის 1 დეკემბრიდან მიუმატეს სამუშაო ფართობი, თუმცა ხელფასი შეუმცირეს, არ არსებობს კონკრეტული სამუშაო გრაფიკი და არ აქვთ დასვენების დღეები; გარდა ამისა, გამწვანების სამსახურის ფუნქციებსაც ისინი ასრულებენ, არის შემთხვევები ეთნიკური ნიშნით არასათანადოდ მოპყრობის.

— სწორედ ამიტომ, რესპუბლიკელები მივმართავთ თბილისის საკრებულოს ადამიანის უფლებათა კომისიას, სახალხო დამცველს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტს, განსაკუთრებული პრიორიტეტი მიანიჭონ ამ ადამიანების პრობლემებს და დაიცვან მათი უფლებები — აღნიშნა ხიდაშელმა.

**მედიანიუსი**

## მგლებმა სოფელ გურჯაანში ვირი დაგლიჯეს

გურჯაანის რაიონის სოფელ გურჯაანში, დასახლებულ პუნქტში, ღამით მგლები თავს ბაზოშვილების საქონლის სადგომს დაესხნენ და ვირი დაგლიჯეს. ბოლო ერთი თვეში, მტაცებლები საქონელს თავს უკვე მესამედ დაესხნენ.

სოფლის მაცხოვრებლების თქმით, როგორც კი შებინდდება, მგლები საცხოვრებელი სახლების ეზოებში დადიან. მოსახლეობა გაგეობისგან მონადირეთა ჯგუფის შექმნას და მგლების ლიკვიდაციას ითხოვს.

— დილით ეზოში რომ გამოვედი, სახედარი უკვე შეჭმული იყო. დაახლოებით 3-4 მგელი იყო. მტაცებლები პირდაპირ საცხოვრებელი სახლის ეზოებში გვიცვივდებიან. საღამოს გარეთ გამოსვლის გვეშინია, — აღნიშნა ილო ბაზოშვილმა.

**მედიანიუსი**

## თსუ-ში სასწავლო პროცესი ერთი კვირით გადაიდო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ზამთრის არდადაგების შემდეგ, სასწავლო პროცესის დაწყება ერთი კვირით გადაიდო. თსუ-ში სასწავლო პროცესი 28 თებერვლის ნაცვლად, 7 მარტს დაიწყება.

როგორც „მედიანიუსს“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან აცობეს, სასწავლო პროცესის დაწყების გადადების მიზეზი თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტისათვის ორი უნივერსიტეტის: თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა უნივერსიტეტისა (თეუსუ) და საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის (სესსუ) შეერთება გახდა.

— სასწავლო პროცესის გადადება მხოლოდ სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე მოხდა. ახლად შემოერთებული უნივერსიტეტის სტუდენტები მაქსიმალურად უნდა ჩაერთონ სასწავლო პროცესში და დროულად მოახერხონ რეგისტრაცია. მოხდეს მათი ახალ უნივერსიტეტთან ინტეგრაცია და მათი ყოფილი უნივერსიტეტის პროგრამების თსუ-ს პროგრამებთან შესაბამისობაში მოყვანა, — აცხადებენ თსუ-ს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში.

**მედიანიუსი**

# „არ მინდა, საქართველოს ხელისუფალს წვეთოვანები და სხვა ქვეყნებში გაქცევა დასჭირდეს“

## „ობამას განცხადება საქართველოსაც ეხება“

გერა მამულაშვილი

პოლიტიკა მუდმივ მეგობრებს ნაკლებად იცნობს. ამ სფეროში ურთიერთობებს პოლიტიკური ინტერესები განსაზღვრავენ. ამ ფორმულის ნათელი დასტურია აშშ-ს ადმინისტრაციის დამოკიდებულება ეგვიპტეში განვითარებული რევოლუციური მოვლენების მიმართ.

პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი ბოლო დრომდე რეგიონში აშშ-ს გამოკვეთილ პოლიტიკურ მოკავშირედ ითვლებოდა. მაგრამ კაიროში დაწყებულმა მასობრივმა ამბოხებამ თეთრი სახლის დამოკიდებულება შეცვალა. ვაშინგტონმა ღიად მხარი დაუჭირა ეგვიპტელ პროტესტანტებს.

უფრო მეტიც, აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ გააფრთხილა ავტოკრატი მმართველები გააცნობიერონ, რომ მსოფლიო იცვლება.

— მიუხედავად იმისა, მეგობრები არიან თუ მტრები, ისინი ძალის გამოყენებით და დაშინებით ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებენ, — განაცხადა პრეზიდენტმა ვაშინგტონში გამართულ პრესკონფერენციაზე.

ობამას განცხადებით, აშშ-ს ადმინისტრაცია ყოველთვის პროდემოკრატიული დემონსტრანტების მხარეზეა, მათ შორის ისეთ შემთხვევაში, როდესაც თავისუფლებისა და დემოკრატიისადმი ლტოლვა გადადის იმ მთავრობების გადაყენების მოთხოვნაში, რომლებიც აშშ-ს მოკავშირეები არიან.

— რაც ეგვიპტეში იყო მართალი, ის მართალი უნდა იყოს ირანშიც. რაც იმაში მდგომარეობს, რომ ხალხმა უნდა შეძლოს გამოხატოს თავისი მოსაზრება და დამოკიდებულება, — აღნიშნა აშშ-ს პრეზიდენტმა.

მისივე განმარტებით, მესიჯი, რომელიც აშშ-მ ჯერ კიდევ ეგვიპტის დემონსტრაციამდე გაუგზავნა როგორც მეგობრებს, ისე მტრებს ახლო აღმოსავლეთში, იყო შემდეგი — „მსოფლიო იცვლება, თქვენ გყავთ ენერგიული ახალგაზრდობა, რომელიც უფრო მეტ შესაძლებლობებს ითხოვს და თუ თქვენ მართავთ ამ ქვეყნებს, მაშინ თავი არ უნდა მოიტყუოთ და უნდა გაითვალისწინოთ ეს ცვლილებები“.

მიუხედავად გამაფრთხილებელი მესიჯებისა, აშშ-ს პრეზიდენტმა ისიც განაცხადა, რომ ვერ უკარნახებს სუვერენული სახელმწიფოების მთავრობებს, როგორ უნდა მოიქცნენ, ვინაიდან, მისივე თქმით, „დემოკრატია რთული საქმეა“.

პრეზიდენტ ობამას განცხადებამ გამოხმაურებები თბილისშიც გამოიწვია.

— ამერიკის პრეზიდენტის განცხადება ავტოკრატი მმართველების შესახებ საქართველოსაც ეხება, — აცხადებს „დაიცავი საქართველოს“ ლიდერი დავით მაღრაძე.



— ობამას განცხადება იმათ ეხება, ვინც ავტოკრატიული რეჟიმის გზას დაადგა. ჩვენი ხელისუფლებაც ხომ დაშინებით და ძალაუფლებით ინარჩუნებს ადგილს. ამიტომ ობამას განცხადების პირდაპირი ადრესატი საქართველოა. ამერიკის შეერთებული შტატებისთვის იმდენად შეუთავსებელი გახდა ამ რეჟიმებთან მისი სტრატეგიული პარტნიორობა, რომ ობამა იძულებული გახდა, ასეთი განცხადება გაეკეთებინა, — აღნიშნა მაღრაძემ.

ამ თემაზე „ახალი თაობა“ უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტ ირაკლი სესიაშვილის შეფასებებსაც გთავაზობთ:

— დემოკრატიის ყველაზე დიდი მონაპოვარი ისაა, რომ ადამიანებს, სახელმწიფოებს თავისუფალი არჩევანის გაკეთების უფლება აქვთ. ნებისმიერ დიქტატორულ მმართველობას, ადრე თუ გვიან, ადექვატური პასუხი მოჰყვება. ხალხის ნება გაცილებით მაღლა დგას და ძლიერია, ვიდრე ნებისმიერი ვიწრო-პოლიტიკური, ან ვიწრო-იდეოლოგიური ზრახვები და მიდგომები.

წაიყვან ქვეყანას დემოკრატიის, ლიბერალური სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზით, გექნება მშვიდობიანი, სტაბილური განვითარება და შენც, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი, იცხოვრებ მშვიდად; წვეთოვანები და სხვა ქვეყანაში გაქცევა არ დაგჭირდება. მართავთ ქვეყანას დიქტატორული და ძალადობრივი გზებით, მაღალია რისკი, მიიღოთ არეულობა.

დარწმუნებული ვარ, მუბარაქსაც უყვარს თავისი ქვეყანა და არ სურს მისი მიტოვება. ისევე, როგორც ასლან აბაშიძეს უყვარდა ბათუმიც და საქართველოც. მაგრამ მას წასვლა იმ მარტივი მიზეზის გამო მოუწია, რომ საკუთარი ქვეყნის ინტერესებისთვის არ იღწვოდა.

მაგრამ საკითხავი ის არის, ქვეყნის დღევანდელ მმართველებს დემოკრატიის ეს ანა-ბანა რამდენად კარგად აქვთ გააზრებული:

— ყოველთვის არსებობს რისკფაქტორები. აქ ხელისუფლებაში მყოფი ლიდერების პიროვნული ხასიათი უნდა გავითვალისწინოთ. ყველაფერი იწყება ადამიანებიდან და არა სისტემებიდან. ჩვენს ხელისუფლებას მუდმივად იმის განცდა აქვს, რომ ყველაფერი მათ სასიკეთოდ დამთავრდება და ძალაუფლების შენარჩუნებას მოახერხებენ. სწორედ ამ მოტივაციით თუ განწყობით, მთელ რიგ შემთხვევაში ჩვენი ხელისუფლება ძალადობას მიმართავს. მათ შორის ზოგიერთი პიროვნების წინააღმდეგ.

ხელისუფალნი იმაზე არ ფიქრობენ, რომ შეიძლება სიტუაცია შეიცვალოს, ხელში ძალაუფლება აღარ ჰქონდეთ, რაც მათ საკმაოდ ცუდ ვითარებამდე მიიყვანთ. მათ შორის, ზოგიერთ ჩვენს ხელისუფალს შეიძლება ქვეყნის დატოვება მოუწიოს.

თუ ისინი ამ პრინციპებს ითვალისწინებენ და აანალიზებენ, არჩევანის გაკეთების დროს უნდა დაფიქრდნენ და მიიღონ გადაწყვეტილება, რაც მათ უკან დაბრუნების გზებს არ მოუსპობს. არც მე მაქვს სურვილი, რომ ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში მთავრობის წევრებმა ბარგი ჩაალაგონ, ჩასხდნენ თვითმფრინავებში და სხვა ქვეყნებში გაფრინდნენ.

მოვლენების განვითარების ეს გზა ჩვენი ქვეყნის იმიჯის შემლახველია, მეორეს მხრივ, ამას სახელმწიფოსთვის სერიოზული კატაკლიზმები მოჰყვება. ისინი წაიღებენ იმ ფულს, რომელიც სწორედ ამ ქვეყნის საშუალებით იშოვეს. ეს ფული კი ჩვენი საერთო შიდა პროდუქტის ნაწილია.

ობამა და შეერთებული შტატები იმით გამოირჩევიან, რომ მათ ეს პრინციპები ძალიან კარგად აქვთ გათავისებული. ჰყავთ ძალიან ძლიერი ექსპერტები, რომლებიც მარტივად მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ასეთი გზა არასწორია ქვეყნისთვის და ამ ტიპის ლიდერებისთვის, — აცხადებს სესიაშვილი.

# ევროპის სახლი გამოფენას მასპინძლობს

ეკა ირემაშვილი

**„ევროპის სახლი საქართველო“ 24 თებერვლიდან 13 მარტამდე პირველ მრავალდარგოვან გამოფენას უმასპინძლებს, რომელიც ხელოვნების გამაერთიანებელ ძალას ეძღვნება.**

— კულტურათაშორისი დიალოგი და შემოქმედთა თანამშრომლობა ის ღირებულებებია, რომლებიც დღეს დასავლეთში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების ერთ-ერთ პირობად მიიჩნევა. „არტ ვილა გარიყულას“ — ქართველ და უცხოელ შემოქმედთა ნაყოფიერი თანამშრომლობისა და მეგობრობის სიმბოლოს — თბილისში პირველად ევროპის სახლი მასპინძლობს, — განაცხადა პროგრამების დირექტორმა მარინა მიზანდარიმ.

პოსტ-საბჭოთა კავკასიაში თანამედროვე ხელოვნების პირველი სარეზიდენციო ცენტრი გარიყულაში 11 ზლის წინ წელს ყარამან ქუთათელაძის თაოსნობით დაარსდა. მას მერე „არტ ვილა გარიყულა“ თანამედროვე ხელოვნების მნიშვნელოვანი კერა გახდა. გარიყულას მისიაა ევროპულ სახელოვნებო სივრცეში ქართული თანამედროვე ხელოვნების ჩართვის ხელშეწყობა.

გამოფენამ გააერთიანა გარიყულას სარეზიდენციო პროგრამის, საერთაშორისო პროექტებისა და ფესტივალის მონაწილე ევროპელი ხელოვანები. გარიყულას საქმიანობაში ისეთ ცნობილ ევროპელ შემოქმედთა აქტიური ჩართვა, როგორიცაა ჟან დიუპუი, ემილ ლოჟიე და გილბერტ ბრეტერბაუერი, დიდი მხარდაჭერისა და ნდობის ნიშანია კავკასიის რეგიონში ამ ჯერ კიდევ ახალი წამოწყების მიმართ. გამოფენის მონაწილეთა შორის არიან წარმოშობით ქართველი, მაგრამ ევროპაში მოღვაწე ხელოვანებიც, რომლებიც გარიყულას შემოქმედებითი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს შეადგენენ.

ევროპის სახლში დაგეგმილი გამოფენა მოიცავს ფერწერას, კონცეპტუალურსა და ხმოვან ხელოვნებას, გრაფიკას, ქანდაკებას, არტ-ობიექტს, ინსტალაციას, ვიდეო არტს, ფოტოს და ფოტო-კოლაჟს. ამ ნამუშევრების ნაწილი უშუალო ანარეკლია გარიყულას ან, უფრო ზოგადად, საქართველოსგან მიღებული შთაბეჭდილებებისა. გამოფენაში მონაწილეობენ ავსტრიის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ლატვიის, ლიტვის, ლუქსემბურგის, ნორვეგიის, პოლონეთის, საფრანგეთისა და ჰოლანდიის წარმომადგენელი ხელოვანები.

— გამოფენის ერთ-ერთი მონაწილე, ამანდა შტეგელი, დაესწრება გახსნას და 24 თებერვალს სემინარს ჩაატარებს სტუდენტებისა და პროფესიონალებისათვის. გამოფენის მოწყობა საფრანგეთის საელჩოს, ბრიტანეთის საბჭოსა და რობერტ ბოშის ფონდის ხელშეწყობით გახდა შესაძლებელი, რისთვისაც თითოეულ მათგან გულითად მადლობას ვეუბნებით, — განმარტა მარინა მიზანდარიმ.

# ბრიტანელი დრამატურგი თბილისში ჩამოდის

ეკა ირემაშვილი

**სამეფო უბნის თეატრს ახალგაზრდა ბრიტანელი დრამატურგი პენელოპ სკინერი ეწვევა. ეს ღონის იება სამეფო უბნის თეატრისა და ბრიტანეთის საბჭოს ინიციატივით ხორციელდება.**

ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როცა დათო გაბუნია გაცვლითი ვიზიტით ეწვია ლონდონის ნაციონალურ თეატრს. ვიზიტი იყო ნაწილი თეატრების პარტნიორობის პროექტისა, რომელიც ბიპის დაფინანსებით ლონდონის ნაციონალურ თეატრსა და რუსთაველის თეატრს შორის ხორციელდება და მას ბრიტანეთის საბჭო უწევს მენეჯმენტს. დათო გაბუნია ახალი ბრიტანული პიესებით დატვირთული დაბრუნდა.

პენელოპ სკინერის „აიგენგრაუ — ბრმა ფერი“ წლევანდელ თეატრალურ სეზონზე იანვრის ბოლოს სამეფო უბნის თეატრში ახალგაზრდა რეჟისორმა ნინი ჩაკვეტაძემ განახორციელა. ახალგაზრდა ქართველი რეჟისორი დაინტერესებულია ისეთი ნამუშევრები შესთავაზოს მაყურებელს, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ „პირველად საქართველოში“. ახალგაზრდა ბრიტანელი დრამატურგის პიესა უკვე მეორედ დაიდგა, პირველად — მისი სამშობლოს საზღვრებს გარეთ. პიესა „აიგენგრაუ — ბრმა ფერი“ პირველად გასული წლის გაზაფხულზე ლონდონში დაიდგა. პიესამ დრამატურგს დიდი აღიარება მოუტანა.

პენელოპ სკინერის მიმართ ინტერესი მეტად დიდია. ახალგაზრდა ბრიტანელი დრამატურგის პირველი შოკისმომგვრელი პიესა „ფაქედ“ 2008 წლის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული პრემიერა გახდა. ეს სპექტაკლი ედინბურგის ფესტივალზეც აჩვენეს. ჟურნალ „თაიმ აუთის“ გადაწყვეტილებით იგი კრიტიკოსთა რჩეულ ნაწარმოებად დასახელდა. იგი ცხოვრობს და მოღვაწეობს ლონდონში. ბოლო დროს, პიესით „გრენლადია“, ის თანამშრომლობს ნაციონალურ თეატრთან, რომელიც ეხება კლიმატის ცვლილებების თემას. მისი პიესა „სოფლის ველოსიპედი“ 2011 წლის ივნისში დაიდგმება. იგი თანამშრომლობს წამყვან ტელეკომპანიებთან, ამჟამად მუშაობს ახალ კომედიურ დრამაზე ერთ-ერთი ტელეკომპანიისთვის. თავის დასთან ერთად იგი წერს კომიკური ჟანრის წიგნებს.

ბრიტანელი დრამატურგი უკვე საქართველოშია. იგი 22 და 23 თებერვალს სამეფო უბნის თეატრში დაესწრება ნინი ჩაკვეტაძის მიერ მის პიესაზე დადგმულ სპექტაკლს. წარმოდგენის ნახვის შემდეგ კი მოეწყობა ქართველი მაყურებლის შეხვედრა პიესის ავტორთან. პენელოპ სკინერი შეხვდება თეატრის სპეციალისტებსაც და უპასუხებს მაყურებელთა შეკითხვებს. უცხოელ სტუმართან დაგეგმილ შეხვედრას პიესის მთარგმნელი, დრამატურგი დავით გაბუნია გაუძღვება.

# დათო ევგენიძე ორ კრებულს უშვებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მოდერნისტული, ანუ უპასუხო წერილები“ და „მთვრალი ლექსი“.

როგორც კომპოზიტორმა განაცხადა, მისი ორივე კრებული წელს გამოვა. ერთ-ერთი სტამბაში უკვე ჩაშვებულია და იბეჭდება, მეორე კი უახლოეს მომავალში იხილავს დღის სინათლეს.

— „არტ ისტში“ წავიკითხე ჩემი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ლექსები. ეს საღამო ერთგვარი ანონსია ჩემი იმ ორი კრებულისა, რომელიც წელს გამოვა. პირველი კრებულიდან ლექსები უფრო სრულყოფილად გავაცანი მკითხველს, იმიტომ, რომ ის უკვე ბეჭდვის პროცესშია, ხოლო მეორე უფრო შემდგომი საქმეა, თუმცა, ორივე კრებული წელს გამოიცემა, — აღნიშნა დათო ევგენიძემ.



ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი

მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607
ახალი ქსელები 700 608
გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები
(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.



## განცხადებები

- იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერბშტადტი“. ფასი შეთანხმებით. ტელ: თენგიზი; 899-97-37-72 ნარგიზი.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.
- მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.
- გარანტიით, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას, ნევრიტს, ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებასა და სხვ. პაციენტი გადაიხდის მისი შესაძლებლობის მიხედვით. მის: თბილისი, დ.ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899-97-85-46; 53-44-39.

# დასავლეთმა აღმოსავლეთს აჯობა

გუშინ დილით, ლოს ანჟელესში გაიმართა ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ყველა ვარსკვლავის მატჩი.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის კონფედარიების ლამაზი შოუ „ლეიკერსის" მსროლელის კობი ბრაიანტისა და „დენვერის" ფორვარდის, კარმელო ენტონის ბრძოლად გადაქცა, რომელიც მასპინძელმა მოიგო.

კბო ბრაიანტმა თავის გუნდს 37 ქულა და 17 მოხსნა შესძინა, რაც დასავლელთა გამარჯვების საწინდარი გახდა — 148:143. აღსანიშნავია, რომ ეს მატჩი გახდა ყველაზე შედეგიანი „ოლ სტარებს" შორის, რომელიც ძირითად დროში დამთავრდა.

ურიგოდ არც ენტონის უთამაშია და სამმაგი დუბლიც მიითვალა — 29 ქულა, 12 მოხსნა და 10 პასი.

ცხადია, მატჩის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ გამარჯვებული ბრაიანტი დაასახელეს, რომელმაც ეს ჯილდო მეოთხედ მოიგო და ამ მაჩვენებლით ბობ პეტიტს გაუსწორდა. 3-3-ჯერ აქვთ მოგებული იგივე პრიზი ოსკარ რობერტსონსა და მაიკლ ჯორდანს.

მატჩამდე კი რამდენიმე კონკურსიც შედგა:

ცხადია, გულშემატკივარი ყველაზე მეტად ჩატენვების კონკურსს ელოდა. სერჟ იბაკამ ყველათვის კარგად ნაცნობი საჯარიმოს ხაზიდან ნახტომი გაიმეორა, მაგრამ ფინალში გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა. დემარ დეროზანმა ყველაზე მაღალი ნახტომი აჩვენა, თუმცა გამარჯვება არც მას ეწერა.

გაიმარჯვა მან, ვინც ნამდვილად იმსახურებდა ამ ტიტულს — ბლეიკ გრიფინმა, რომელმაც ჩატენვების რამდენიმე ვერსიით დაამახსოვრა თავი, ხოლო დასკვნითი ნაწილი, მართლაც ულამაზესი სანახობა გამოდგა. ბაირონ დევისმა ავტომობილის ლუქიდან გაუკეთა პასი გრიფინს, რომელიც იმავე ავტომობილს გადაევლო და ბურთი კალათში ჩატენა.

სამქულიანების კონკურსი მაიამელმა ჯეიმს ჯონსმა მოიგო, რომელმაც ერთ წუთში 20 ბურთი ჩააგდო პერიმეტრიდან, ხოლო საუკეთესო გამთამაშებლის კონკურსი სტივენ კარმა, რომელმაც 28 წამში გადალახა ყველა ბარიერი.

# ძიუდოისტთა უმედლო დიუსელდორფი

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები უკვე მერამდენე ტურნირია შინ უმედლოდ ბრუნდება. ბოლო დროს სპორტის ამ სახეობაში აშკარა კრიზისია და მისი მდგომარეობიდან გამოსვლა უკვე დიდი დროის ამბად რჩება.

ახლახან კი დიუსელდორფში დიდი პრიზის ტურნირი გაიმართა და კიმონო 9 ქართველმა ძიუდოისტმა მოირგო.

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში 2 მონაწილე გვყავდა — ამირან პაპინაშვილი და დავით ასუმბანი.

უფრო უკეთესად პაპინაშვილმა იჭიდავა, რომელმაც ფინელ ვალტერ იოკინენსა და გერმანელ ტობიას ენგლმაიერს მოუგო, მაგრამ მეოთხედფინალში კორეელ ჯინ მინ იანგთან წააგო და რადგან ასეთ ტურნირებში რეპეშაჟის წესი არ მოქმედებს, პირდაპირ მე-5 ადგილს დასჯერდა.

ასუმბანმა კი, ჯერ ყაზახ იერკებულან კოსაიევი დაამარცხა, ხოლო შემდეგ უკრაინელ

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# რობერტო კარლოსი კარიერას „ანჟიში" დაასრულებს



რუსეთის ჩემპიონატი მსოფლიოს ჩემპიონით რომ შეივსო, ახალი ამბავი არ არის. სიახლე ის არის, რომ ბრაზილიელი რობერტო კარლოსი მახაჩყალის „ანჟის" კვირას შეუერთდა და უკვე მისი ოფიციალური წარდგენაც მოხდა.

დაღესტნური გუნდი შეკრებას თურქეთში გადის და იქ ჩასულ კარლოსს ჟურნალისტები მოსვენებას რომ არ მისცემდნენ, ფაქტია. სწორედ ამის თავიდან ასაცილებლად, კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა სახელდახელო პრესკონფერენცია მოეწყო.

არადა, სპეცილისტებს კი არა, თვით თანაგუნდელებს ეპარებოდათ ეჭვი მისი გუნდში მისვლაზე. რობერტო კარლოსი კი საკუთარი პერსონით უკვე დაღესტნელია.

— ეს არის ისტორიული მომენტი. კარლოსი დიდი ფეხბურთელია და იმედი გვაქვს, რომ არა მარტო მახაჩყალის, არამედ მთლიანად რუსული ფეხბურთის განვითარებაში დიდ წვლილს შეიტანს. კეთილი იყოს შენი მობრძანება, რობერტო! — ასე გახსნა პრესკონფერენცია „ანჟის" მთავარმა მწვრთნელმა გაჯი გაჯიევმა.

**რობერტო კარლოსი:**

— ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ „ანჟიში" მოვხვდი. იმედი მაქვს, ჩემი დიდი გამოცდილება „ანჟის" ძალიან წაადგება. რუსეთის ჩემპიონატში თამაში იოლი არ არის., მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ სირთულეებს ერთად გადავლახავთ და ერთხელაც იქნება ქვეყნის ჩემპიონობასაც მოვიპოვებთ. ერთი სული მაქვს, როდის დავიწყებთ თამაშს და გავიტან გოლებს ახალი კლუბის მაისურით. ვფიქრობ, გულშემატკივრები ჩვენით იამაყებენ.

***— მართალია, რომ წინადადებები ინგლისის ჩემპიონატიდანაც გქონდათ?***

— ჩემით არა მარტო ინგლისელები, არამედ სხვა ქვეყნების კლუბებიც იყვნენ დაინტერესებული. საინტერესო წინადადებები იყო თვით ბრაზილიიდანაც. რუსეთის ჩემპიონატის მატჩებს თურქეთში თამაშისას ტელევიზორით ვადევნებდი თვალს და თავში მიტრიალებდა აზრი, რომ საინტერესო იქნებოდა, თუ პრემიერლიგაში მოვსინჯავდი ძალებს. ამიტომაც „ანჟის" წინადადებაზე არ მიყოყმანია.

***— სერიოზულ დონეზე ფეხბურთის თამაშის მოტივაცია კიდევ დარჩათ?***

— ჩემი მთავარი სტიმული ფეხბურთის თამაშია. უნდა ითქვას, რომ მე ამისთვის ვარ დაბადებული.

***— თუ ყოფილა შემთხვევა, რომ თუნდაც ვარჯიშისას, თქვენი საფირმო დარტყმით კარის ბადე გაგეხიოთ?***

— ყოფილა. შესაძლოა, დღეს ჩემი დარტყმა ისეთი ჯადოსნური არ არის, მაგრამ გარწმუნებთ, მაინც საკმაოდ ძლიერია.

***— რას იტყვით თქვენს ჩქაროსნულ თვისებებზე (რობერტო კარლოსი თავის დროზე 100 მეტრს 11 წამში გარბოდა)?***

— არ ვფიქრობ, რომ ძალიან ნელი გავხდი. მატჩის განმავლობაში 7-8 კილომეტრს დავრბივარ და როგორც ადრე, ახლაც აქტიურად ვერთვები შეტევაში.

***— ყველაზე დაბალ ტემპერატურაზე სად ითამაშეთ?***

— კიევში მომიწია მინუს 20 გრადუსზე გავსულიყავი მოედანზე. ყველაზე მაღალი კი ბრაზილიაში — პლუს 36. სიცივის საერთოდ არ მეშინია და ეს ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

***— შეგიძლიათ თქვათ, რომ „ანჟი" თქვენი ბოლო კლუბია?***

— ნამდვილად. მახაჭყალაში თამაშს 40-41 წლამდე ვაპირებ, შემდეგ კი კარიერას დავასრულებ. ამიტომაც მინდა, ამ გუნდში დავამტკიცო, რისი შესაძლებლობებიც გამაჩნია.

***— „კორინთიანსში" თამაშისას თუ გიტრიალებდათ აზრი კარიერის დასრულებაზე?***

— ხანდახან. ფეხბურთი ჩემთვის სიამოვნებაა, მაგრამ რა სიამოვნებაზეა საუბარი, როდესაც გულშემატკივარი მოედანზე გამორბის, აფუჭებს შენს ავტომობილს და ემუქრებიან შენს ოჯახს? ვფიქრობდი, კარიერის დასრულებას, მაგრამ შემდეგ რუსეთში თამაში გადავწყვიტე.

***— ახლახან თქვენმა მეგობარმა, რონალდომ, დაასრულა კარიერა. არ გიცდიათ მისთვის ეს აზრი შეგეცვალათ? ან ხომ არ მიგიპატიჟებიათ მახაჩყალაში სათამაშოდ?***

— ამ თემაზე მასთან ძალიან ბევრი საუბარი მქონდა. ის ჯერ მხოლოდ 34 წლის არის, რაც სულაც არ არის კრიტიკული ასაკი. უბრალოდ, იმის შემდეგ, რაც რონალდომ საფეხბურთო სამყაროში დატოვა, უფლება აქვს მშვიდად დაისვენოს. ამასთან, ის პირველი არ არის, ვინც ადრეულ ასაკში კარიერა დაასრულა — ავიღოთ, თუნდაც ზიდანი. რონალდო ჩემთვის ძმასავით არის და არ არის გამორიცხული „ანჟიში" თამაში შევთავაზო.

***— თუ გსმენიათ, რომ თქვენ, „ანჟის" მფლობელის, სულეიმან ქემიროვის საყვარელი ფეხბურთელი ხართ?***

— მართლა? ამის მოსმენა ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა. დიდი მადლობა ამ ინფორმაციისთვის.

რობერტო კარლოსს ოფიციალურად გადასცეს „ანჟის" 3-ნომრიანი მაისური და უკვე გუნდთან ერთადაც ივარჯიშა. ცხადია, სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ კარლოსის გვერდით თურქულ შეკრებაზე საქართველოს ნაკრების მეკარე ნუკრი რევიშვილიც ირჯებოდა.

რაც შეეხება რონალდოს მახაჩყალაში ჩასვლას, ან სხვა ვარსკვლავების „ანჟიში" მოზიდვას, ამაზე გაჯიევმა ისაუბრა.

— მარტში დაგეგმილია მახაჩყალაში 2002 წლის ბრაზილიის ნაკრების ჩასვლა, ამიტომაც რონალდოს სტუმრობას არ გამოვრიცხავთ. რაც შეეხება ვარსკვლავების მოზიდვას, ამ ეტაპზე გუნდს ამის საშუალება არ გააჩნია. ეტაპობრივად კი, ყველაფერი შესაძლებელია. კლუბს გეგმაში აქვს საქვეყნოდ ცნობილი რამდენიმე ფეხბურთელის მოზიდვა, — დასძინა გაჯიევმა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ბრომვიჩი-ვულვზი ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 26 | 16 | 9 | 1 | 57:25 | 57 |
| 2.არსენალი | 26 | 16 | 5 | 5 | 56:27 | 53 |
| 3.სიტი | 27 | 14 | 7 | 6 | 43:24 | 49 |
| 4.ტოტენჰემი | 26 | 13 | 8 | 5 | 37:28 | 47 |
| 5.ჩელსი | 26 | 13 | 6 | 7 | 46:22 | 45 |
| 6.ლივერპული | 27 | 11 | 6 | 10 | 35:32 | 39 |
| 7.სანდერლენდი | 27 | 9 | 10 | 8 | 33:33 | 37 |
| 8.ბოლტონი | 27 | 9 | 9 | 9 | 38:37 | 36 |
| 9.ნიუკასლი | 27 | 9 | 8 | 10 | 42:38 | 35 |
| 10.სტოკი | 26 | 10 | 3 | 13 | 31:33 | 33 |
| 11.ბლექბერნი | 27 | 9 | 5 | 13 | 34:42 | 32 |
| 12.ფულემი | 27 | 6 | 13 | 8 | 28:28 | 31 |
| 13.ევერტონი | 27 | 6 | 12 | 8 | 33:36 | 30 |
| 14.ბირმინგემი | 26 | 6 | 12 | 8 | 25:35 | 30 |
| 15.ას. ვილა | 27 | 7 | 9 | 11 | 31:46 | 30 |
| 16.ბლექპული | 26 | 8 | 5 | 13 | 39:50 | 29 |
| 17.ვესტ ბრომ. | 27 | 7 | 7 | 13 | 35:52 | 28 |
| 18.უიგანი | 26 | 5 | 12 | 9 | 27:42 | 27 |
| 19.ვესტ ჰემი | 27 | 5 | 10 | 12 | 30:48 | 25 |
| 20.ვულვზი | 27 | 7 | 4 | 16 | 27:46 | 25 |

**ინგლისი. თასი**

სიტი-ნოტსი ... 5:0
ფულემი-ბოლტონი ... 0:1
ლეიტონი-არსენალი ... 1:1

**იტალია. სერია ა**

ლეჩე-იუვენტუსი ... 2:0
ჯენოა-რომა ... 4:3
კიევო-მილანი ... 1:2
ლაციო-ბარი ... 1:0
პარმა-ჩეზენა ... 2:2
უდინეზე-ბრეშა ... 0:0
ფიორენტინა-სამპდორია ... 0:0
ნაპოლი-კატანია ... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 26 | 16 | 7 | 3 | 46:20 | 55 |
| 2.ნაპოლი | 26 | 16 | 4 | 6 | 41:22 | 52 |
| 3.ინტერი | 26 | 15 | 5 | 6 | 47:29 | 50 |
| 4.ლაციო | 26 | 14 | 6 | 6 | 33:22 | 48 |
| 5.უდინეზე | 26 | 13 | 5 | 8 | 42:30 | 44 |
| 6.იუვენტუსი | 26 | 11 | 8 | 7 | 41:32 | 41 |
| 7.პალერმო | 26 | 12 | 4 | 10 | 44:36 | 40 |
| 8.რომა | 25 | 11 | 6 | 8 | 38:36 | 39 |
| 9.კალიარი | 26 | 10 | 5 | 11 | 32:28 | 35 |
| 10.ჯენოა | 26 | 9 | 8 | 9 | 24:25 | 35 |
| 11.ფიორენტ. | 26 | 8 | 9 | 9 | 28:28 | 33 |
| 12.ბოლონია | 25 | 9 | 8 | 8 | 27:33 | 32 |
| 13.კიევო | 26 | 7 | 10 | 9 | 28:29 | 31 |
| 14.სამპდორია | 26 | 7 | 10 | 9 | 23:27 | 31 |
| 15.პარმა | 26 | 6 | 9 | 11 | 25:36 | 27 |
| 16.ლეჩე | 26 | 7 | 6 | 13 | 28:46 | 27 |
| 17.კატანია | 26 | 6 | 8 | 12 | 23:34 | 26 |
| 18.ბრეშა | 26 | 6 | 5 | 15 | 20:33 | 23 |
| 19.ჩეზენა | 26 | 5 | 7 | 14 | 19:36 | 22 |
| 20.ბარი | 26 | 3 | 6 | 17 | 14:40 | 15 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალმერია-დეპორტივო ... 1:1
ვილიარეალი-მალაგა ... 1:1
ოსასუნა-ესპანიოლი ... 4:0
ხეტაფე-რასინგი ... 0:1
სევილია-ერკულესი ... 1:0
ბარსელონა-ბილბაო ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 24 | 21 | 2 | 1 | 73-13 | 65 |
| 2.რეალი | 24 | 19 | 3 | 2 | 55-19 | 60 |
| 3.ვალენსია | 24 | 14 | 6 | 4 | 38-25 | 48 |
| 4.ვილიარ. | 24 | 14 | 4 | 6 | 42-24 | 46 |
| 5.ბილბაო | 24 | 12 | 2 | 10 | 38-34 | 38 |
| 6.ესპანიოლი | 24 | 12 | 1 | 11 | 30-35 | 37 |
| 7.სევილია | 24 | 10 | 4 | 10 | 36-38 | 34 |
| 8.ატლეტიკო | 24 | 10 | 3 | 11 | 33-31 | 33 |
| 9.ხეტაფე | 24 | 9 | 4 | 11 | 35-38 | 31 |
| 10.სოსიედ. | 23 | 10 | 1 | 12 | 34-37 | 31 |
| 11.მალიორკა | 23 | 9 | 4 | 10 | 25-30 | 31 |
| 12.რასინგი | 24 | 7 | 7 | 10 | 21-33 | 28 |
| 13.დეპორტ. | 24 | 6 | 8 | 10 | 21-35 | 26 |
| 14.ოსასუნა | 24 | 6 | 7 | 11 | 25-30 | 25 |
| 15.ერკულესი | 24 | 7 | 4 | 13 | 24-38 | 25 |
| 16.ხიხონი | 24 | 5 | 9 | 10 | 23-31 | 24 |
| 17.ლევანტე | 24 | 7 | 3 | 14 | 24-36 | 24 |
| 18.სარაგოსა | 24 | 5 | 8 | 11 | 22-37 | 23 |
| 19.ალმერია | 24 | 4 | 9 | 11 | 24-40 | 21 |
| 20.მალაგა | 24 | 5 | 5 | 14 | 31-50 | 20 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ვალიდოლიდი-ბეტისი ... 1:0
პონფერადინა-გრანადა ... 0:0

**გერმანია. I ბუნდესლიგა**

ლევერკუზენი-შტუტგარტი ... 4:2
გლადბახი-შალკე ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 23 | 17 | 4 | 2 | 49:13 | 55 |
| 2.ლევერკუზ. | 23 | 13 | 6 | 4 | 48:32 | 45 |
| 3.ბაიერნი | 23 | 12 | 6 | 5 | 49:27 | 42 |
| 4.ჰანოვერი | 23 | 13 | 2 | 8 | 33:31 | 41 |
| 5.მაინცი | 23 | 12 | 1 | 10 | 35:29 | 37 |
| 6.ფრაიბურგი | 23 | 11 | 4 | 8 | 31:30 | 37 |
| 7.ჰამბურგი | 23 | 11 | 3 | 9 | 34:31 | 36 |
| 8.ნიურნბერ. | 23 | 10 | 5 | 8 | 33:31 | 35 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 23 | 8 | 9 | 6 | 40:33 | 33 |
| 10.შალკე | 23 | 8 | 5 | 10 | 28:28 | 29 |
| 11.ზ.პაული | 23 | 8 | 4 | 11 | 27:37 | 28 |
| 12.აინტრახტი | 23 | 8 | 3 | 12 | 24:32 | 27 |
| 13.კიოლნი | 23 | 7 | 5 | 11 | 30:42 | 26 |
| 14.ვერდერი | 23 | 6 | 6 | 11 | 28:48 | 24 |
| 15.ვოლფსბ. | 23 | 5 | 8 | 10 | 27:33 | 23 |
| 16.კაიზერი | 23 | 6 | 5 | 12 | 32:41 | 23 |
| 17.შტუტგარტი | 23 | 5 | 4 | 14 | 40:47 | 19 |
| 18.გლადბახი | 23 | 5 | 4 | 14 | 33:57 | 19 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

აუე-არმინია ... 3:0
ოსნაბრუკი-ობერჰაუზენი ... 3:1
ფრანკფურტი-კარლსრუე ... 1:2

**საფრანგეთი. I ლიგა**

მონპელიე-ლილი ... 1:0
ნიცა-პსჟ ... 0:3
ტულუზა-რენი ... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 24 | 12 | 9 | 3 | 42-23 | 45 |
| 2.რენი | 24 | 12 | 7 | 5 | 28-18 | 43 |
| 3.მარსელი | 24 | 11 | 9 | 4 | 34-20 | 42 |
| 4.ლიონი | 24 | 11 | 8 | 5 | 38-24 | 41 |
| 5.პსჟ | 24 | 11 | 8 | 5 | 37-24 | 41 |
| 6.მონპელიე | 24 | 10 | 7 | 7 | 21-23 | 37 |
| 7.სტ.ეტიენი | 24 | 9 | 8 | 7 | 33-30 | 35 |
| 8.ლორიენი | 24 | 10 | 4 | 10 | 32-31 | 34 |
| 9.ბრესტი | 24 | 9 | 7 | 8 | 25-24 | 34 |
| 10.ტულუზა | 24 | 10 | 3 | 11 | 26-26 | 33 |
| 11.ბორდო | 24 | 7 | 10 | 7 | 29-30 | 31 |
| 12.სოშო | 24 | 9 | 4 | 11 | 39-31 | 31 |
| 13.ვალანს. | 24 | 7 | 9 | 8 | 30-27 | 30 |
| 14.კაენი | 24 | 7 | 7 | 10 | 26-34 | 28 |
| 15.ნანსი | 24 | 8 | 4 | 11 | 26-39 | 28 |
| 16.ოსერი | 24 | 4 | 14 | 6 | 29-30 | 26 |
| 17.ნიცა | 24 | 6 | 8 | 10 | 15-27 | 26 |
| 18.ლანსი | 24 | 5 | 9 | 10 | 26-42 | 24 |
| 19.მონაკო | 24 | 4 | 12 | 8 | 23-26 | 24 |
| 20.არლე | 24 | 1 | 7 | 16 | 12-44 | 10 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

დენ ჰააგი-ფეინოორდი ... 2:2
აიაქსი-ვენლო ... 1:0
ვიტესი-გრააფსხაპი ... 2:0
ტვენტე-ნაიმეგენი ... 1:1
პსვ-ბრედა ... 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსვ | 24 | 16 | 5 | 3 | 66:22 | 53 |
| 2.ტვენტე | 24 | 15 | 6 | 3 | 47:25 | 51 |
| 3.აიაქსი | 24 | 14 | 6 | 4 | 47:22 | 48 |
| 4.გრონინგენი | 24 | 13 | 5 | 6 | 51:33 | 44 |
| 5.დენ ჰააგი | 24 | 12 | 6 | 6 | 45:34 | 42 |
| 6.ალკმაარი | 24 | 11 | 7 | 6 | 36:27 | 40 |
| 7.როდა | 24 | 10 | 9 | 5 | 43:33 | 39 |
| 8.უტრეხტი | 23 | 10 | 5 | 8 | 39:31 | 35 |
| 9.ჰერენვენი | 24 | 9 | 7 | 8 | 44:35 | 34 |
| 10.ნაიმეგენი | 24 | 7 | 10 | 7 | 39:39 | 31 |
| 11.ბრედა | 24 | 9 | 4 | 11 | 32:42 | 30 |
| 12.გრააფსხაპი | 24 | 6 | 8 | 10 | 23:42 | 26 |
| 13.ვიტესი | 24 | 6 | 7 | 11 | 29:38 | 25 |
| 14.ფეინოორ. | 24 | 6 | 7 | 11 | 29:42 | 25 |
| 15.ერაკლესი | 23 | 6 | 6 | 11 | 33:42 | 24 |
| 16.ექსელსი. | 24 | 6 | 4 | 14 | 29:47 | 22 |
| 17.ვენლო | 24 | 4 | 1 | 19 | 22:55 | 13 |
| 18.ტილბურგი | 24 | 1 | 5 | 18 | 22:67 | 8 |

*ბრედას დაკლებული აქვს 1 ქულა*

**პორტუგალია. ა ლიგა**

აკადემიკა-რიუ ავე ... 0:1
სეტუბალი-ნავალი ... 1:1
მარიტიმუ-ბეირა მარი ... 1:0
ბრაგა-ფერეირა ... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 20 | 18 | 2 | 0 | 46:7 | 56 |
| 2.ბენფიკა | 19 | 15 | 0 | 4 | 40:16 | 45 |
| 3.სპორტინგი | 19 | 9 | 6 | 4 | 32:22 | 33 |
| 4.გიმარაეში | 20 | 9 | 5 | 6 | 25:24 | 32 |
| 5.ფერეირა | 20 | 7 | 8 | 5 | 20:22 | 29 |
| 6.ლეირია | 20 | 8 | 4 | 8 | 18:24 | 28 |
| 7.ბრაგა | 20 | 8 | 3 | 9 | 34:28 | 27 |
| 8.ოლჰანენსე | 20 | 6 | 9 | 5 | 19:18 | 27 |
| 9.ნაციონალი | 20 | 7 | 5 | 8 | 17:23 | 26 |
| 10.ბეირამარი | 20 | 5 | 10 | 5 | 23:23 | 25 |
| 11.მარიტიმუ | 20 | 5 | 7 | 8 | 20:22 | 22 |
| 12.რიუ ავე | 20 | 5 | 5 | 10 | 20:25 | 20 |
| 13.აკადემიკა | 20 | 5 | 5 | 10 | 25:35 | 20 |
| 14.სეტუბალი | 20 | 4 | 7 | 9 | 16:28 | 19 |
| 15.ნავალი | 20 | 3 | 5 | 12 | 18:37 | 14 |
| 16.პორტიმონ. | 20 | 2 | 5 | 13 | 18:37 | 11 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სელტიკი-რეინჯერსი ... 3:0
სტ.მირენი-ჰიბერნიანი ... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 26 | 20 | 4 | 2 | 59:15 | 64 |
| 2.რეინჯერსი | 24 | 18 | 2 | 4 | 53:23 | 56 |
| 3.ჰართსი | 26 | 17 | 3 | 6 | 41:22 | 54 |
| 4.კილმანროკი | 26 | 10 | 6 | 10 | 38:33 | 36 |
| 5.მოზერველი | 26 | 10 | 4 | 12 | 29:34 | 34 |
| 6.ინვერნესი | 26 | 8 | 9 | 9 | 36:33 | 33 |
| 7.დანდი | 22 | 7 | 8 | 7 | 27:30 | 29 |
| 8.სტ.ჯონსტონი | 25 | 8 | 5 | 12 | 17:30 | 29 |
| 9.აბერდინი | 25 | 8 | 2 | 15 | 29:44 | 26 |
| 10.ჰიბერნიანი | 26 | 7 | 4 | 15 | 26:43 | 25 |
| 11.სტ.მირენი | 25 | 4 | 7 | 14 | 21:42 | 19 |
| 12.ჰამილტონი | 24 | 2 | 8 | 14 | 14:42 | 14 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-რაპიდი ... 1:1

**ბელგია. პროლიგა**

გენტი-სტანდარტი ... 4:1
ვესტერლო-ანდერლეხტი ... 2:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-სიონი ... 1:0
ბელინცონა-ლუცერნი ... 2:0
თუნი-იანგ ბოიზი ... 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ოლიმპიაკოსი(ვ)-ირაკლისი ... 1:1
ატრომიტოსი-არისი ... 0:0
აეკი-პანიონიოსი ... 1:1
ქსანთი-ლარისა ... 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაისერი-ანთალია ... 2:0
ქონია-ისტამბული ... 0:0
ბეშიქთაში-ფენერბახჩე ... 2:4

**პოლონეთი. თასი**

ლეხი-ბიტომი ... 0:1

**ფინეთი. თასი**

როვანიემი-იარო ... 2:5

**არგენტინა. კლაუსურა**

ქილმესი-ესტუდიანტესი ... 0:1
რივერ პლეიტი-ურაკანი ... 2:0

### კალათბურთი

**ნბა. ყველა ვარსკვლავის მატჩი**

დასავლეთი-აღმოსავლეთი ... 148:143

### ჩოგბურთი

**აშშ. ბუენოს აირესი. თიხა**

**ფინალი**

ალმაგრო-ჩელა ... 6:3;3:6;6:4

**აშშ. მარსელი. ჰარდი**

**ფინალი**

სოდერლინგი-ჩილიჩი ... 6:7;6:3;6:3

**აშშ. მემფისი. ჰარდი**

**ფინალი**

როდიკი-რაონიჩი ... 7:6;6:7;7:5

**ვტა. დუბაი. ჰარდი**

**ფინალი**

ვოზნიაცკი-კუზნეცოვა ... 6:1;6:3

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

ბუფალო-ვაშინგტონი ... 1:2
მინესოტა-დეტროიტი ... 1:1(0:1ბ)
რეინჯერსი-ფილადელფია ... 2:4
ჩიკაგო-პიტსბურგი ... 2:2(1:0ბ)
კალგარი-მონრეალი ... 4:0

# ლიბია სამოქალაქო ომის ზღვარზეა



ლიბიის ლიდერის, მოამარ კადაფის ვაჟმა საიფ კადაფიმ სახელმწიფო ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ საპროტესტო გამოსვლები, რომლებმაც მთელი ქვეყანა მოიცვა, სამოქალაქო ომში შეიძლება გადაიზარდოს.

მისი თქმით, სამხედროებმა მასობრივი გამოსვლების მონაწილეებს ცეცხლი შეცდომით, გამოუცდელობის გამო გაუხსნეს, მაგრამ მან ასევე აღნიშნა, რომ მთავრობა ძალაუფლებას უკანასკნელ ვაზნამდე დაიცავს.

საიფ კადაფიმ ოპოზიციას და ისლამისტებს ქვეყნის გახლეჩის მცდელობის ბრალდებები წაუყენა.

მუამარ კადაფი ლიბიაში ხელისუფლების სათავეში უკვე 42 წელია იმყოფება. ანტისამთავრობო გამოსვლები, რომლებიც ქვეყნის აღმოსავლეთით, ქალაქ ბენგაზისა და სხვა ქალაქებში დაიწყო, დედაქალაქ ტირპოლიზეც გავრცელდა.

დედაქალაქსი ისმის სროლის ხმა. ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლებმა ცრემლსადენი გაზი და საბრძოლო ვაზნები გამოიყენეს. საპროტესტო აქციის მონაწილეები ხელისუფლების დამხობის მოწოდებებით გამოვიდნენ. ანტისამთავრობო მანიფესტაციების მონაწილეებმა უდიდესი უნივერსიეტის მახლობლად მოიყარეს თავი.

გავრცელებული ცნობების თანახმად, ბენგაზიში სამხედრო გარნიზონი ოპოზიციის მხარეზე გადავიდა, ან იარაღი დაყარა.

საიფ კადაფი ქვეყნის ლიდერის ოჯახის პირველი წარმომადგენელია, რომელმაც შექმნილ ვითარებას კომენტარი გაუკეთა. მან განაცხდა, რომ საზღვარგარეთ მცხოვრები ოპოზიციური ელემენტები ლიბიაში ტუნისისა და ეგვიპტის მსგავსად რევოლუციის ორგანიზებას ცდილობენ.

კადაფის თქმით, მათ დაიწყეს კამპანია, რომელიც ლიბიის ეგვიპტისა და ტუნისის მდგომარეობამდე მიყვანას ისახავდა. ძალოვანი სტრუქტურები დასწრებაზე ამოქმედდნენ, რამდენიმე მონაწილე დააკავეს, რამდენიმე ადამიანი დაიღუპა, ხოლო პოლიციის წინააღმდეგ მიმართული ძალადობა გაძლიერდა. კადაფის ვაჟის თქმით, ლიბია სამოქალაქო ომის ზღვარზე იმყოფება, ქვეყანაში ყველა შეიარაღებულია და ომის დაწყების შემთხვევაში ლიბიელებს ასობით და ათასობით დაღუპულის დატირება მოუწევთ.

გარდა ამისა, უმცროსი კადაფის თქმით, „ლოთებმა და ბანდტებმა" ბენგაზიში ტანკები ჩაიგდეს ხელში, მრავალი მათგანი ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფება.

კადაფის ვაჟის თქმით, გარდა ამისა, არეულობებში ავღანელი დაქირავებულებიც მონაწილეობენ. ამ დაქირავებულების შესახებ მანამდე ოპოზიცია ლაპარაკობდა. მათი თქმით, დაქირავებულებს ხელისუფლები იყენებენ.

კვირას საიფ კადაფის ტელემიმართვამდე მას დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი უილიამ ჰეიგი დაუკავშირდა. მან ლიბიაში ძალადობის ესკალაციასთან დაკავშირებით სერიოზული შეშფოთება გამოხატა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხდებით, ამერიკელი დიპლომატები ფაქტების დადგენას ცდილობენ, თუმცა, ლიბიიდან გავრცელებული ინფორმაცია მათ ღრმა შეშფოთთბას იწვევს.

ლიბიის ლიდერის ვაჟმა საკმაოდ აგრესიული რიტორიკის მიუხედავად დათმობების შესაძლებლობა არ გამორიცხა, იგი ქვეყანას რეფორმებს და დემოკრატიას დაჰპირდა და განაცხდა, რომ ორშაბათისათვის ლიბიის საკანონმდებლო ფორუმის შეკრება იყო დაგეგმილი.

მიმომხილველების თქმით, საიფ კადაფის გამოსვლა მიანიშნებს, რომ ქვეყანა ფაქტობრივად ორად არის გახლეჩილი და ხელისუფლება ვითარებას თითქმის ვერ აკონტროლებს.

მუამარ კადაფი ხელისუფლების სათავეში 1969 წელს სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოვიდა და დღეისათვის ხელისუფლების სათავეში სხვა ნებისმიერ არაბ ლიდერზე დიდხანს იმყოფება.

მასობრივმა საპროტესტო გამოსვლებმა ახლო აღმოსავლეთის არაბული სამყაროს მრავალი ქვეყანა მოიცვა და ორი პოლიტიკური „უხუცესის" ტუნისის ლიდერ ზინ აბიდან ბენ ალის და ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის გადაყენება გამოიწვია.

გთ.

# აჭარაში სამ მეჩეთს აშენებენ

გულიკო ბალა ე

სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე ბათუმში მეჩეთების აშენებაზე საქართველოს ხელისუფლების პოზიციას აპროტესტებს და რუსული ინტერესების პარალელურად თურქული ინტერესების განხორციელებაში ადანაშაულებს. ამის თაობაზე მან ჟურნალისტებთან ისაუბრა.

რუსულ-თურქული ინტერესების განხორციელებაში დადანაშაულება განაპირობა ხელისუფლების იმ პოზიციამ, რაც მან თურქეთში არსებული ჩვენი ქრისტიანული ძეგლების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებებში დაიკავა.

ნოდარ ნათაძე საუბრობს ამ საკითხთან დაკავშირებით გაკეთებული გარკვეული პროგნოზისა და რეალობის დამთხვევაზეც. ის ეთანხმება მამუკა გიორგაძის პროგნოზს და აცხადებს, რომ რეალურად ხდება თურქეთის რეალური ექსპანსია საქართველოში, რასაც ხელს უწყობს საქართველოს ხელისუფლება.

სახალხო ფრონტის თავმჯდომარის თქმით, თურქეთის ხელისუფლების დათანხმება ეკლესიების მოწესრიგებაზე შეიძლებოდა იუნესკოს საშუალებით. ამიტომ საქართველოს ხელისუფლება ბათუმში მეჩეთების აშენებაზე თურქეთს არ უნდა დათანხებოდა.

მისი განცხადებით, ხელისუფლება თურქეთის თამაშს თამაშობს. ამიტომ ამჯერად საქართველოს ღალატობს არა რუსეთის სასარგებლოდ, არამედ თურქეთის სასარგებლოდ.

ნოდარ ნათაძე ამბობს, რომ ხელისუფლება თავისი მოღალატური საქმიანობის დასაფარად, გარკვეულ მეთოდს ხმარობს. ამის დასტურად მას ორი მაგალითი მოჰყავს.

პირველი არის ნიკა ვაჩეიშვილის საუბრები თურქეთში დანგრეული ეკლესიების ფონზე და მის სავალალო მდგომარეობაზე, რაც საზოგადოებას გულს უჩუყებს და ითანხმებს ბათუმში სანაცვლოდ მეჩეთების მშენებლობაზე, ოღონდ ჩვენი სავალალო მგომარეობაში მყოფი ეკლესიები აღდგეს.

მეორე მაგალითად, უშიშროების საბჭოს მდივნის გიგა ბოკერიას განცხადება მოჰყავს, რომელიც ამავე დროს ჟენევაში ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებს ხელმძღვანელობს.

ნოდარ ნათაძეს სიცრუედ მიაჩნია გიგა ბოკერიას განცხადება, რომ დასავლეთის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი შესუსტდა.

მიუხედავად იმისა, დღეს თურქეთი ნატოშია, ხოლო რუსეთი ნატოს მოწინააღმდეგე პოლუსზეა, ნათაძის აზრით, რუსეთი და თურქეთი მოკავშირეობას უმიზნებენ.

***— ბატონო ნოდარ, პროგნოზისა და რეალობის რა დამთხვევა არსებობს, რაზე მიგვანიშნებთ?***

— თურქეთში არსებულ ჩვენს ეკლესიებთან დაკავშირებით საქმე გვაქვს ქართულ-თურქულ გარიგებასთან, რომელიც ეწინააღმდეგება ქართველი ერისა და სახელმწიფოს ინტერესებს. რამდენიმე დღის წინ, ქართულ-თურქულ გარიგებაზე მამუკა გიორგაძემ ძალიან კარგი წერილი დაწერა. ქართულ-თურქული გარიგების თანახმად, ბათუმში ჩვენ უნდა ავაშენოთ სამი თურქული მეჩეთი. სამაგიეროდ, თურქებმა უნდა მოგვცენ ნებართვა, რომ ჩვენ გავარემონტოთ, შევაკეთოთ ორი ქართული ეკლესია. მამუკას ძალიან კარგი ანალიზი აქვს გაკეთებული და ამბობს, ჩვენგან თურქელი მეჩეთების აშენება, არის თურქეთის ძალიან ძლიერი ექსპანსია საქართველოში და აქ თავის დამკვიდრება, როგორც რაღაც ისტორიული წარსულის მქონისა.



***— როგორც ჩანს, მართლაც დიდი ექსპანსია ხდება, რაც გასული საუკუნის 90-იანი წლების სახელმწიფო გადატრიალების შემდგომი პერიოდიდან მოყოლებული თანდათან ძლიერდება...***

— ეს არის კონკრეტული ძირის გამოთხრა ჩვენი პოზიციებისა ჩვენს ტერიტორიაზე. ქართული ეკლესიების მოწესრიგება თურქეთის მოვალეობაა ისედაც, ყოველგვარი ნაცვალგების გარეშე. თუ თურქეთი ამბობს, რომ ბარბაროსი არ არის, ის ვალდებულია ეკლესიები მოაწესრიგოს. თუქეთი ვალდებულია ან თვითონ გააკეთოს ეკლესიები, ან თუ თვითონ არ აკეთებს, ჩვენ მაინც გვაკეთებინოს. ამის შესრულება შეიძლება იუნესკოს მეშვეობით. გარდა ამისა, გუმბათჩამონგრეული ეკლესიაც და გუმბათშენარჩუნებული ეკლესიაც, ორივე აღდგენადია. თუ იქიდან ქვები არ გაიტანა და იმ ქვებით თავისი სახლი არ ააშენა, ის აღდგენადია — ერთნაირი ძალისხმევით და დაახლოებით ერთნაირი ხარჯით. ბაგრატის ტაძარი არა თუ ჩამოქცეული იყო, არამედ რუსული არტილერიით იყო დანგრეული და აღდგა. ამიტომ თურქეთში არსებული ეკლესიების აღდგენა შესაძლებელია. ეს არის ფაქტი.

***— ე.ი. თქვენ ხელისუფლებას ადანაშაულებთ ამ საკითხის თურქეთის სასარგებლოდ გადაწყვეტაში?***

— საქართველოს ხელისუფლება თურქეთის თამაშს თამაშობს. ამჟამად, ხელისუფლება საქართველოს ღალატობს თურქეთის სასარგებლოდ. რა მეთოდს ხმარობს ამისთვის ხელისუფლება...

***— რა მეთოდს ხმარობს? ღალატისთვის ხელისუფლება გარკვეულ მეთოდებს იყენებს?***

— დიახ, ამჟამად, ხელისუფლება საქართველოს ღალატობს არა რუსეთის სასარგებლოდ, არამედ თურქეთის სასარგებლოდ და ნებისმიერის სასარგებლოდ უღალატებს. გაჩვენებენ დანგრეულ ეკლესიებს და, მართლაც, გული გიკვდება, რომ უყურებ. ამით გვიბიძგებენ იქითკენ, რომ ჩვენ დავეთანხმოთ საქართველოსათვის ძირისგამომთხრელ ხელშეკრულებას. მამუკა გიორგაძემ ეს წერილი წამაკითხა სამი დღის წინ. მოგეხსენებათ, ახლა თურქეთში არქიტექტორების ჯგუფია ჩასული. გუშინ გამოვიდა ძეგლთა დაცვის სამმართველოს უფროსი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი დანგრეული ეკლესიების ფონზე, გულს გვიჩუყუბს და გვეუბნება: ეს ყველაფერი თითქმის მოგვარებულია, შეთანხმება არის და გაკეთდება. ე.ი. მამუკა გიორგაძის პანიკური და სავალალო პროგნოზი გუშინ ახდა. ანალოგიურ მეთოდს ხელისუფლება სხვა მიმართულებითაც იყენებს. გიგა ბოკერია რა სულიერია ხომ იცით? ის ჟენევაში აწარმოებს ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებას. რა თქმა უნდა, აწარმოებს საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ.

***— რატომ ფიქრობთ, რომ გიგა ბოკერია მოლაპარაკებებს საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ აწარმოებს?***

— ჟენევის მოლაპარაკების თვითონ ფორმატია მოღალატური. არ შეიძლება საქართველო სეპარატისტებს ელაპარაკოს სხვისი მეთვალყურეობით. საქართველო უნდა ელაპარაკოს მსოფლიოს, რომ ამ საქმეში ჩაერიოს ან არ ჩაერიოს. ამ ვითარებაში გამოდის გიგა ბოკერია და ამბობს, დასავლეთის მხარდაჭერა ჩვენი ტერიტორიული მთლიანობისადმი ის აღარ არის, რაც იყო. ე.ი. შესუსტდა. ეს ტყუილია. ამის პარალელურად ამ სიყალბეს გვიცურებს დასავლელი ჟურნალისტი, რომელიც დიდი ხანია ცნობილია, როგორც რუსეთის მიერ ანგაჟირებული კაცი. ის ამბობს, რომ დროა საქართველომ ხელი მოაწეროს შეთანხმებას თავისი ტერიტორიის შესახებ ისეთი ფორმით, რასაც მას დასავლელები უკარნახებენ, რომლებიც ცოტა სხვა აზრის არიან, ვიდრე ადრე იყვნენ. ასეთი ზეწოლა კეთდება. ცალსახად ამოცნობადია რა უნდათ. რუსეთს ერთადერთი გამოსაძრომი აქვს შექმნილი სიტუაციიდან, რომელიც მისთვის სასკანდალოა. ეს „გამოძრომა" არის ის, რომ საქართველოს მაგივრად შეიქმნას კონფედერაცია — „საქართველო-აფხაზეთი-ოსეთი". ამისკენ უბიძგებს. სააკაშვილის ხროვა აპირებს ასეთი შეთანხმება თავს მოგვახვიოს ქართველ საზოგადოებას, როგორც თითქოს პრობლემის გადაწყვეტა.

***— კონფედერაციას რომც დავთანხმდეთ, რეალურად, სეპარატისტული რეჟიმებისა, მათი ე.წ. ლიდერების კოკოითის, ბაღაფშისა და საქართველოს ხელისუფლების — სააკაშვილისა და სხვების თანამშრომლობა წარმოსადგენია?***

— არა, რა თქმა უნდა. აქ არის ორი მომენტი, აბსოლუტურად ცალსახა. მე როდესაც თქვენ გცნობთ, ამის შემდეგ შემიძლია თქვენთან ხელშეკრუების დადება. მანამდე არარსებულ პირთან ხელშეკრულების დადება არ შეიძლება. ე.ი. საქართველო თუ მოაწერს ხელს კონფედერაციას, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველომ აფხაზეთი და ე.წ. „სამხრეთ ოსეთი" დამოუკიდებლად ცნო. ამას ველარასოდეს შეატრიალებ. მეორე — კონფედერაციული კავშირი იმის სახელშეკრულებოა, რომ თუ ერთი იტყვის აღარ მინდაო, ის კავშირი იშლება. ამიტომ თუ, ვთქვათ, დასავლეთს უნდა, უახლოეს პერიოდში (სანამ მესამე მსოფლიო ომი არ ჩათავდება. რა თქმა უნდა, დასავლეთის გამარჯვებით) ეს ტერიტორია საქართველოს შიგნით იყოს, იქ რუსი ვერ იდგეს, არ იყოს ჩხუბი და ბრძოლა, მატარებლებმა თავისუფლად იარონ, თვითმფრინავებმა თავისუფლად იფრინონ, მაშინ მისთვის სრულებით უმტკივნეულოა, შეიქმნას კონფედერაცია იმ პირობით, რომ არც ერთი მონაწილე, ვთქვათ, 30 წლის მანძილზე ხელშეკრულებიდან არ გავა. ამ პერიოდში მესამე მსოფლიო ომი მოგებული იქნება. შემდეგ კი მისთვის სულერთია, რომელი დროშა იფრიალებს სოხუმისა და ცხინვალის თავზე. ეს არის კაპიტულაცია რუსეთის წინაშე, რომლის მიმართაც დასავლეთი, თუ არ მოსთხოვე, გულგრილი შეიძლება იყოს. ამაშია ღალატი. ბოკერია-ჟურნალისტის ტყუილს იგივე მიზანი და მეთოდი აქვს, როგორც თურქულ-ქართულ საეკლესიო შეთანხმებას.

***— თურქეთი ღიად არ გვეპირისპირდება, მაგრამ ძალიან ეშმაკურად იქცევა.***

— რა თქმა უნდა. თურქეთი ჩვენ გვაწვება, რომ საქართველო იყოს მისი გავლენის ზონა...

***— მთლიანად საქართველო თუ არა, მისი ნაწილი მაინც...***

— დიახ, აჭარა...

***— რომელიც ძალიან კარგად გამოვიდა იმ სიტუაციიდან, რომელშიც იგი აღმოჩნდა თურქეთის 300-წლიანი ბატონობის შედეგად.***

— რა თქმა უნდა, ამ სიტუაციის შებრუნება უნდათ. ეს ხდება იმ ფონზე, როცა რუსეთი და თურქეთი უმიზნებენ მჭიდრო მოკავშირეობას, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი დღეს ნატოშია.

***— რის საფუძველზე ამბობთ ამას?***

— რუსული პოლიტიკის სცენარი გამოქვეყნებულია შარშან იანვარში გამოსულ ერთ პროვოკაციულ წიგნში „ასეტინსკაია ვაინა", რომელსაც სამი ავტორი ჰყავს. იქ წერია: ამერიკა ხელს იღებს კავკასიის სიტუაციით დაინტერესებაზე. პასუხისმგებლობას კავკასიისთვის თავის თავზე იღებენ რუსეთი, თურქეთი და ირანი.

***— როგორ აპირებს რუსეთი იმის მიღწევას, რომ დასავლეთს კავკასიაზე ხელი აალებინოს?***

— რუსეთი დასავლეთს ვერაფერზე ხელს ვერ აალებინებს. რუსეთს უნდა იურიდიულად შეაცუროს ისეთი მომენტი, რომელიც მისთვის გამოყენებადია.



## კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 2. სავაჭრო სპეკულაციებით გამდიდრებული ადამიანი; 3. ხურდა ფული ბრაზილიაში; 5. გერმანელი თოჯინური თეატრის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; 7. მზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. სტამბოლის აზიური ნაწილის სახელწოდება; 13. ოქროს მოპოვების და დამუშავების ცენტრი კანადაში; 15. უცხო მხრიდან შემოტანილი მცენარე ან შემოყვანილი ცხოველი; 16. მორის რაველის ცნობილი საორკესტრო ნაწარმოები; 18. ცნობილი ამერიკელი პედიატრი.

თარაზულად: 4. ქვანახშირის, მადნის გადასაზიდი თვითმცლელი სარკინიგზო ნახევარვაგონი; 6. აზერბაიჯანელ ქალთა ცეკვა; 8. წინადადების ერთ-ერთი მთავარი წევრი გრამატიკაში; 10. ნაყინის დასამზადებელი აპარატი; 11. ქათმის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 12. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული ირანში; 14. ყავის მოსადუღებელი ჭურჭელი; 17. მწვანით მოსილი მინდორი; 19. ქიმიური ელემენტი; 20. მე-19 საუკუნის უკრაინელი პოეტი, მწერალი, მხატვარი; 21. ტრაგედია „ოტელოს" პერსონაჟი; 22. არენა ინგლისში, სადაც ტარდება ძაღლების რბოლა; 23. ამერიკელი სეისმოლოგი, მიწისძვრის სიმძლავრის საზომი შკალის შემქმნელი.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ავსტრია; 2. მაჟალო; 8. პარადი; 10. ნარზანი; 11. ამება; 12. მიჩმანი; 14. არენდა; 15. კრამიტი; 16. მანია; 19. ბარელი; 20. კიპრიდა; 21. ქლიავი;

**შვეულად:** 1. აქვამარინი; 2. „ილიადა"; 3. მირანდა"; 4. ლერწი; 5. საკაზმი; 6. კარტი; 7. სინჯარა; 9. კაბინა; 13. პიურე; 17. ნონა; 18. სია.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ილიკო; 2. შნო; 3. რაისშინა; 4. იო; 5. ეტლი; 6. ლემა; 7. ხათაბალა; 8. ტაუ; 9. ტატანო; 10. იდიია; 11. ხონი; 12. ტატამი; 13. ლივ; 14. თვალი; 15. სიო; 16. ბიშკეკი; 17. სერ; 18. ილიონი; 19. ლიანდაგი; 20. არე; 21. გიიომ; 22. კვანტი; 23. ნეკნი; 24. სან; 25. მილენიუმი; 26. ნუკრი; 27. „კონკია"; 28. თარი; 29. კალანდა; 30. ირონია; 31. ოკლაჰომა; 32. აირანი.

**სურათებზე:** ჯოვანა ანტონელი; ანდრეი არშავინი.

# ძიუდოისტთა უმეღლო დიუსელდორფი

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ქართველთან, გიორგი ზანთარაიასთან დამარცხდა.

66 კილოგრამ წონით კატეგორიაში მონაწილე არ გვყოლია, 73-ში კი ტატამზე ნუგზარ ტატალაშვილი გავიდა, რომელიც გერმანელი რენე შნეიდერის ძლევის შემდეგ ესტონელ კინტერ როტბერგთან დამარცხდა.

81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ავთანდილ ჭრიკიშვილმა და ლევან წიკლაურმა პირველივე ბრძოლები წააგეს. აქედან უფრო გულდასაწყვეტი ქართული ძიუდოს იმედად შერაცხული ჭრიკიშვილის მარცხია იტალიელ ფრანჩესკო ბრიესთან. წიკლაური კი ლატვიელმა კონსტანტის ოვჩინიკოვსმა შებოჭა.

90 წონით კატეგორიაში გულშემატკივრებს ვარლამ ლიპარტელიანის იმედი ჰქონდათ. თუმცა, ჩვენებური მედალს ისევ ვერ შეწვდა — საამისოდ მისი გზა შვედმა მარკუს ნიმანმა გადაკეტა. სხვათა შორის, ნიმანმა ლიპარტელიანს გასულ წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალიც მოუგო. ნიმანამდე კი ჩვენებურმა პოლონელი კრჟიშტოფ ვეგლარზი და ფრანგი ივ მეთიუ ჩამოიცილა.

100 წონით კატეგორიაში ნაკრებში ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ტატამს დაუბრუნდა ოლიმპიური ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე, რომელმაც ჯერ უკრაინელი ვიაჩესლავ დენისოვი დაამარცხა, მაგრამ შემდეგ თავად წააგო მონღოლ ტემუულენ ბატულგასთან.

მძიმე წონაში ნაკრებს ზვიად ხანჯალიაშვილი და ნოდარ მეტრეველი წარმოადგენდნენ. ხანჯალიაშვილმა ჯერ აზერბაიჯანელ ემილ ტაჰიროვს მოუგო, ასევე დამაჯერებლად უგებდა ლიტველ მარიუს პაცკევიჩუსაც, მაგრამ თავისივე ილეთზე წამოეგო და მეტოქეს შებოჭვის საშუალება მისცა.

მეტრეველმა კი თურქი ენსარ ტამასა და სლოვენიელი მატიაჟ სერაჟი კი ჩამოიშორა, მაგრამ ბრაზილიელ რაფაელ სილვასთან ვერაფერი გააწყო. აღსანიშნავია, რომ სილვამ ჩვენებური ერთი კვირის წინ ბუდაპეშტის მსოფლიოს თასის ნახევარფინალშიც დაამარცხა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ლოს ანჯელესში „სომხური ძალა“ გაანადგურეს

კალიფორნიის ხელისუფლებმა გაავრცელეს ინფორმაცია ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების განადგურების შესახებ, რომელიც „სომხური ძალის“ სახელწოდებით იყო ცნობილი.

იგი 1980-იან წლებში ლოს ანჯელესის ერთ-ერთ რაიონში, ისტ-ჰოლივუდში ჩამოყალიბდა, თავდაპირველად სომხებისა და საბჭოთა ბლოკეს სხვა ქვეყნებისდან ჩამოსული ემიგრანტების ქუჩის ბანდის სახით. წლების განმავლობაში იგი დატოტვილ კრიმინალურ ორგანიზაციად გადაიქცა.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, „სომხური ძალის“ წევრები მრავალრიცხოვან დანაშაულს სჩადიოდნენ, მკვლელობის, მკვლელობის მიზნით თავდასხმის, ადამიანების გატაცების, ძარცვის, გამოძალვის, მოწმეების დაშინების ჩათვლით. მათ ანგარიშზეა აგრეთვე ნარკოტიკებით ვაჭრობა და აფიორები.

ბანდის წევრების დაპატიმრება „შუქის გამორთვის“ ოპერაციის კულმინაციად იქცა, რომელშიც ერთდროულად რამდენიმე სამართალდამცავი უწყება მონაწილეობდა. პოლიციელთა ჯგუფების შემადგენლობაში საერთო ჯამში 700-მდე ადამიანი ირიცხებოდა, რომლებიც ტყვიაგაუმტარი ფარებით, ჯავშანჟილეტებით, ჩაჩქნებით იყვნენ აღჭურვილი.

ბანდის წევრების უმეტესობა კალიფორნიის სამხრეთით ცხოვრობდა. თუმცა, ზოგი მათგან დენვერში და მაიამიში დააკავეს.

სამხრეთ ფლორიდაში დაკავებულია „სომხურ ძალასთან“ დაკავშირებული 13 პიროვნება. მათ წაყენებული აქვთ იარაღით ვაჭრობის, საკრედიტო ბარათებით და სამედიცინო დაზღვევით თაღლითობის ბრალდებები.

პროკურატურის მიერ ლოს ანჯელესის ფედერალურ სასამართლოში წარდგენილი საბრალდებო დასკვნა 212 ფურცელს შეიცავს. ამ დოკუმენტების თანახმად, დაჯგუფება 250 სრულუფლებიანი წევრი და ასობით თანამოაზრისაგან შედგებოდა, რომლებიც ოფიციალურად დაჯგუფებაში არ ირიცხებოდნენ. მათი საქმიანობის ცენტრს ლოს ანჯელესის საგრაფო წარმოადგენდა, მათ შორის ჰოლივუდი, აგრეთვე ქალაქები გლენდსდეილი ბერბანკი, ჩრდილოეთ და დასავლეთ ჰოლივუდი და ვენ ნაისი. ცნობისთვის, გლენდეილის მოსახლეობის 40 პროცენტი სომხები არიან.

დაჯგუფების წევრების უმეტესობა ინგლისურს ფლობდა, თუმცა, ერთმანეთში ხშირად სომხურად და რუსულად საუბრობდნენ. პროკურატურის ვარაუდით, ნაწილობრივ ეს გარეშე პირთაგან საუბრების შინაარსის დამალვის სურვილით იყო განპირობებული.




სასამართლო დოკუმენტების თანახმად, დაჯგუფების წევრად გახდომამდე გარკვეული დროის განმავლობაში „სომხური ძალის“ სასარგებლოდ „მუშაობა“, ანუ დანაშაულის ჩადენა იყო საჭირო.

ინიციაციის რიტუალი ხანმოკლე ცემას ითვალისწინებდა, თუმცა, თუკი კანდიდატს ჯგუფის რომელიმე წევრი დაუდგებოდა თავდებად, ცემას შეიძლება გადარჩენილიყო. დაჯგუფებაში განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობნენ ის წევრები, რომლებსაც ხანგრძლივი პატიმრობა ჰქონდათ მოხდილი, ან ციხეებში სხვადასხვა ბანდებთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ. ამ ბანდებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა მექსიკურ ბანდას, ანუ ემეს.

„სომხური ძალა“ მექსიკურ მაფიასთან იმდენად მჭიდროდ იყო დაკავშირებული, რომ მას ხშირად „სომხურ ძალა 13“-საც უწოდებდნენ, რადგან „ემ“ ლათინური ანბანის მე-13 ასოა. მექსიკური მაფია კალიფორნიის შტატის ციხეებში ნარკოტიკებით ვაჭრობად და სხვა კრიმინალურ საქმიანობას აკონტროლებს. იგი „სომხურ ძალას“ მფარველობდა, სანაცვლოდ ამ დაჯგუფების წევრები მექსიკელებს „ხარკის“ აკრეფაში, ციხეში ნარკოტიკების შეტანაში ეხმარებოდნენ, მათთან ერთად ციხის გარეთ ორგანიზებულ დანაშაულებში მონაწილეობდნენ.

მექსიკური ბანდებისა და ხომხური ძალის წევრებს შორის ერთმანეთისთვის ძვირაფასი საჩუქრების, ავტომობილების და იარაღის გაცვლის ტრადიცია არსებობდა.

მექსიკურ მაფიასთან დაახლოებულ პირებს შორის „სომხური ძალის“ ხელმძღვანელობიდან ასახელებენ მღერ დარბინიანს, ფარამეზ ბილეჯიკჩიანს, კარო ერკანიანს, რომან ტეროგანესიანს და არმენ ოვანესიანს.

გარდა ამისა, დარბინიანს, ბილეჯიკჩიანს, ერკანიანს, არმენ შაროპეტროსიანს, აიკ კარაიანს, ოვანესიანს და ტეროგანესიანს სომხურ და რუსულ კრიმინალურ დაჯგუფებებთან ჰქონდათ კავშირი და მათ წარმომადგენლებს აშშ-ში და მის ფარგლებს გარეთ ხვდებოდნენ.

ისინი სომხურ და ევრაზიულ დაჯგუფებებს შორის საქმის გარჩევებში მონაწილეობდნენ. დაჯგუფების წევრებს ე.წ. „კანონიერ ქურდებთან“ თანასწორუფლებიანი ურთიერთობა ჰქონდათ და ხშირად არც ეპუებოდნენ მათ.

ამასთან დაკავშირებით კალიფორნიის ხელისუფლებს მოჰყავთ შემთხვევა, რომელიც ორ დაზარალებულთან არის დაკავშირებული. ისინი სასამართლო დოკუმენტებში პირობით „ზ“ და „ლ.კ“-ს სახით არიან მოხსენიებული.

პირველი მათგანი ერთ-ერთი კანონიერი ქურდის მფარველობით სარგებლობდა, მისი ვაჟის ნათლია იყო. მიუხედავად ამისა, დარბინიანი ორივეზე თავდასხმას გეგმავდა.

თავდასხმა ჰოლივუდში „ჩიკენ ჰაუსის“ რესტორანში იყო დაგეგმილი. 2009 წლის 20 აგვისტოს დარბინიანმა „სომხური ძალის“ სხვა წევრებს დაურეკა და დიდი ჯგუფის ორგანიზება შეძლო, რომლებიც რესტორანში „ზ“ და „ლ.კ“-სთან ანგარიშის გასასწორებლად მივიდა.

დაჯგუფების წევრები შეიარაღებული იყვნენ არანაკლებ ხუთი ერთეული ცეცხლასროლი იარაღით, მათ შორის 45-ე კალიბრის „სპრინგფილდ არმორი იქს დი“, 40-ე კალიბრის „სიგ საუსერ“-ის, „ბეიბი დესერტ იგლის“, „ჰეკერ ენდ კოხის“ და გლოკის 9 მმ პისტოლეტებით. თავდასხმას პოლიციამ შეუშალა ხელი, რომელიც მოულოდნელად ეწვია რესტორანს. მეორე დღეს დარბინიანმა ასევე ეჭვმიტანილ არენ ზაქარიანს განუცხადა, რომ „ზ“-სთან ანგარიშსწორებას მაინც აპირებდა და ყურადღებას არ მიაქცევდა იმას, რომ იგი კანონიერი ქურდის ახლობელი იყო.

მისი უთანხმოების მიზეზი გახლდათ ის, ეს ორი პიროვნება ლოს ანჯელესში კრიმინალური საქმიანობის გადაწყვეტილებას მასთან შეთანხმების გარეშე იღებდა. „ლოს ანჯელესი მე მიჭირავს“ — განაცხადა მან.

„სომხური ძალის“ ერთ-ერთი წევრი, გარდა ამისა, მაღაზიებში დამონტაჟებულ სალაროს ავტომატებში მომხმარებლების პირადი ბარათების ინფორმაციის წამკითხავი მოწყობილობების დაყენება ჰქონდა წაყენებული.

როგორც პროკურატურა ვარაუდობს, ამ თაღლითური გზით „სომხური ძალის“ მიერ მიღებულმა შემოსავალმა 20 მილიონ დოლარას მიაღწია.

# მერკელის პარტია ჰამბურგის არჩევნებში დამარცხდა

გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის ქრისტიან დემოკრატიული პარტია ჰამბურგის ადგილობრივ არჩევნებში სასტიკად დამარცხდა.

ქრისტიან დემოკრატებმა ხმების მხოლოდ 22% მოაგროვეს, მათმა ოპონენტმა სოციალ-დემოკრატებმა 48% და შედეგად გერმანიის პარლამენტის ზედა პალატაში სამი ხმა დაკარგეს. ეს შედეგი მოწმობს, რომ 2013 წელს ფედერალურ არჩევნებში ქრისტიან დემოკრატებს მძიმე ბრძოლა ელით. მიმომხილველების თქმით, ჰამბურგში ქრისტიან დემოკრატების დამარცხება ადგილობრივმა ფაქტორებმა განაპირობეს, თუმცა, ამ პარტიის პოპულარობაზე უარყოფითი ზეგავლენა ეკონომიკურმა რეცესიამაც მოახდინა. გერმანიის ეკონომიკამ უკვე დაძლია რეცესია და სწრაფად იზრდება, მაგრამ ამ ზრდას წინ ძლიერი დაცემა უსწრებდა. მიმდინარე წლის მარტში ანალოგიური არჩევნები ბადენ-ვიურტემბერგის მხარეშიც გაიმართება, რომელიც ტრადიციულად ქრისტიან დემოკრატების დასაყრდენად ითვლება.

# პერუს ხელისუფლებს ოქროს უკანონო მოპოვების აღკვეთა სურთ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

შეპყრობილ ღარიბ იმიგრანტებს იზიდავდა.

მათი საქმიანობის შედეგად ჯუნგლების ვრცელი ტერიტორიები ლამის უდაბნოდ იქცა.

მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების დიდი შემოსავალი და ამ რაიონებში გაბატონებული უკანონობა მრავალ სოციალურ პრობლემას ქმნის, მათ შორის ბავშვთა პროსტიტუციას, ექსპლოატაციას, ნარკოტიკების კონტრაბანდას, ფულის გათეთრებას. გარემოს დაცვის აქტივისტები პერუს ხელისუფლებს მრავალწლიანი უმოქმედობის ბრალდებებს უყენებენ.

ოქროს უკანონო მომპოვებელთა წინააღმდეგ მსგავს ოპერაციას პერუს ხელისუფლებმა პირველად მიმართეს და მოსახლეობას ვითარების გაუმჯობესების იმედები გაუჩნდა. ხელისუფლები აგრეთვე აცხადებენ, რომ ულიცენზიოდ ოქროს მოპოვების წინააღმდეგ ასობით ახალი ოპერაცია მზადდება.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

გივი ჭყოიძის ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს უახლოეს მეზობლებსა და მეგობრებს ოთარ ჯიპაშვილსა და ლალი ცინცაძეს, რათა მათ გარდაეცვალათ დედა და დედამთილი, სათნო მანდილოსანი

**ლენა თათრიშვილი-ცინცაძისა**

---

ბედკრული მშობლები მამა კანდიდი, დედა დულა, მეუღლე მარიკა, შვილები მანანა, ჯონი, ჯიმშერი, სიძე სპარტაკი, რძლები ნელი, ზაირა, შვილიშვილები გიორგი დათო, ჯანჯელაშვილები, რევაზი, თეონა, თამუნა მარგიანები, უახლოესი ნათესავები, მეზობლები, ბოლნისის რაიონის ახალგაზრდობა იუწყებიან ტრაგიკულად დაღუპული

**სოსო კანდიდის ძე მარგიანის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 21, 22, 23 თებერვალს, 17 საათზე.

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 24 თებერვალს, 14 საათზე.

გამოსვენება: ბოლნისი, ერეკლე მეფის ქუჩა №49 (გეოლოგები).

---

ჩხეტიანების ოჯახი ქალბატონი დარეჯანი, ვაჟა, შვილები ლევანი, მაიკო, სიძე დავით დვალიშვილი, რძალი ლიკა კაპანაძე იუწყებიან ტრაგიკულად დაღუპული

**სოსო კანდიდის ძე მარგიანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---



გარდაიცვალა

**ზურაბ ბათლომეს ძე თოდუა**

პანაშვიდი: 22, 23 თებერვალს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 24 თებერვალს.

მისამართი: ქ.თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, III მიკრორაიონი, III კვარტალი, კორპუსი 11.

---

შვილები მედეა, თამაზ, შვილიშვილი მიხეილ ჩინჩალაძეები, რძლები რუსუდან სამხარაძე, მარიკა მარიკაშვილი, შვილთაშვილები თამაზ და რუსუდან ჩინჩალაძეები, ძმისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მიხეილ ივანეს ძე ჩინჩალაძე**

პანაშვიდი: 22, 23 თებერვალს, 16 საათზე.

დაკრძალვა: 24 თებერვალს, 14 საათზე.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 70, I სადარბაზო, ბინა 14.

---

აკადემიკოს კ.დ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება თანამშრომლის, თამაზ ჩინჩალაძის მამის

**მიშა ჩინჩალაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

მეგობრები ელენე (ტუსიკო) გელაშვილი, რუალდი ჩიკვაიძე, ვახტანგ თხელიძე, ანდრო კალმახელიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**გივი ანდღულაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა,12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## სამშაბათი 22 თებერვალი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** თოქ-შოუ "არენა" **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "სრული სიმართლე კვების შესახებ" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** ჩემპიონთა ლიგა. წინასაფეხბურთო გადაცემა **23.40** **ფეხბურთი**. ლიონის ოლიმპიკი — რეალი **01.40** მოამბე **02.00** მხ.ფ.**"შოუ იშყება"** (**12**) (სუბტ.)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"რეიგანების ოჯახი"** **1-2** ს. **01.00** მხ.ფ.**"იაიას დების ღვთაებრივი საიდუმლოებები"**

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"ბოშები"** **13.00** სერ.**"ლოგას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **18.45** სერ.**"ლოგას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** მხ. ფილმი **"კრისტი"** (ლ. ლი სმიტი) (სუბტ.) **01.25** მხ. ფილმი **"ლომის გული"** (ჟ. ვან დამი) (სუბტ.) **03.10** მხ. ფილმი **"კერკეტი კაკალი"** (**12**) (სუბტ.)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.20** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** ვანოს შოუ **15.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ.**"ელენას მოჩვენება"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვის უნდა **20** ათასი **23.00** დოკ. ფილმი "ჯაზის ლეგენდები" **23.40** **ჩემპიონთა ლიგა**. კოპენჰაგენიჩელსი **01.40** პატრული **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **02.20** მხ. ფ.**"წყვდიადის პრინცი"** (**18**) (დ. პლეზანსი)

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "რიპლი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** იმედის ფსონი (პირდ.) **15.30** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ.**"დაცვის უფლება"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერ. **"საყვარელი არსებები"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"წყეული მეფეები"** **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება 08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **11.00** ერთსულოვანი ოჯახი **11.20** მოკლემ. ფილმი **"წერილი ნაძვებს"** **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ხანუმა"** **13.10** კონცერტი – ნ.მემანიშვილი **15.05** მხ. ფილმი **"თხუნელა"** **16.35** დოკ.ფ."ველური ბუნება" **17.05** დოკ. ფილმი "გზა", ფილმი მე-**2** **18.00** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **19.15** მხ. ფილმი **"ყველაზე სწრაფები მსოფლიოში"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** სალვთისმეტყველო საუბრები **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.25** შარავანდედი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის 22 თებერვალს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,7699
ევრო —2,394
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8425
რუსული რუბლი — 0,0604

**ამინდის პროგნოზი 22 თებერვლისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 4-8, ღამით — -3-9

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 12-16, ღამით — §-11

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — -2-2, ღამით — -13 -2







## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

**მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58, 95-90-60.**


## პერუს ხელისუფლებს ოქროს უკანონო მოპოვების აღკვეთა სურთ

პერუს ხელისუფლებმა უშიშროების ძალებს მდინარე ამაზონის ზედაწელში, მადრე დე დიოსის რაიონში ოქროს უკანონო მომპოვებლების მიწის სახაპი და სხვა ტექნიკის განადგურების განკარგულება გასცეს.

ოქროს მაძიებელთა ტექნიკის განადგურებში 1000-მდე სამხედრო მოსამსახურე და პოლიციელია ჩართული.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაანადგურეს შვიდი გემი, რომლებიც მდინარის ფსკერიდან ლამს ხაპავდნენ.



მათი ნაწილი ჩაძირეს, ნაწილი დაწვეს.

მთავრობის წარმომადგენლების განცხადებით, პერუში ყოველწლიურად 18 ტონამდე ოქროს მოიპოვებენ, მაგრამ ოქროს მომპოვებელი დარგი ეკოლოგიას და ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობას მძიმე ზიანს აყენებს.

ოქროს მაძიებლებმა დღეში 30 ათასი დოლარის ოქრო შეიძლება მოიპოვონ, მაგრამ სახელმწიფო ხაზინაში აქედან არაფერი ხვდება. თუმცა, გარდა გადაუხდელი გადასახადებისა, ოქროს მოპოვებასთან დაკავშირებული სამუშაოები ქვეყანას სხვა ზიანსაც აყენებენ.

ერთი გრამი ოქროს მოსაპოვებლად სამ გრამ ვერცხლისწყალს იყენებენ.

ეკოლოგების მიერ მოყვანილი რიცხვების თანახმად, ყოველწიურად მადრე დე დიოსის რაიონში მდინარეებსა და ატმოსფეროში 40 ტონამდე ვერცხლისწყალი ხვდება. ეს თხევადი და მომწამლავი ლითონი მოგვიანებით კვების ჯაჭვში ხვდება.

ამ რაიონში დაჭერილი თევზი მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ დაშვებულ ნორმებთან შედარებით სამჯერ მეტ ვერცხლისწყალს შეიცავს.

ბოლო დროს ოქროს ფასი განუხრელად იზრდებოდა, რაც პერუს ამ რაიონისაკენ „ოქროს ციებ-ცხელებით"

**გაგრძელება მე-11 გვერდზე**

## 17-წლამდელთა ნაკრები ესპანეთში გაემგზავრა



**25-30 მარტს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები საფრანგეთში ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში ითამაშებს, რისთვისაც ჯობა ჟორჟიკაშვილის ნაკრები შეკრებას ესპანეთში გაივლის.**

გუშინ დილით, ჟორჟიკაშვილის გუნდი პირინეის ნახევარკუნძულზე გაფრინდა და ადგილობრივ თანატოლებთან 2 მატჩს გამართავს. გამოძახებულთა შორის, 18 ფეხბურთელია:

**მეკარეები:** გაბრიელ თებიძე (ოლიმპი), გიორგი ბერია (მერანი, მ);

**მცველები:** დავით მთივლიშვილი, სანდრო ჭილვარია (ორივე 35-ე სკოლა), ნიკა სანდოხაძე (დინამო), სულხან კახიძე (ქობულეთი), ცოტნე მონიავა (მერანი, მ);

**ნახევარმცველები:** დაჩი ცნობილაძე (ოლიმპი), ნიკა დიასამიძე (ბათუმი), გოგი გოგიჩაიშვილი (ტორპედო), ავთო ენდელაძე (ბაია), ლუკას ჰუფნაგელი (ბაიერნი, გერმანია), თემურ მარკოზაშვილი (მერანი, თ), შალვა ექვთიმიშვილი (35-ე სკოლა);

**თავდამსხმელები:** ბაჩანა არაბული (უკლუბოდ), გურამ სამუშია (ბაია), გიორგი ფანცულაია (ოლიმპი), ნიკა ტარყაშვილი (ბეერსხოტი, ბელგია).

ჟორჟიკაშვილის გუნდს ჰუფნაგელი და ტარყაშვილი მადრიდში შეუერთდებიან. ჩვენები პირველ მატჩს დღეს გამართავენ, ხოლო მეორეს — 24 თებერვალს.

შეგახსენებთ, რომ ელიტ-რაუნდში ჩვენების მეტოქეები საფრანგეთის, ბელარუსისა და ნორვეგიის ნაკრებები იქნებიან.

## დათო ევგენიძე ორ კრებულს უშვებს

ეკა ირემაშვილი



ქართველი კომპოზიტორი დათო ევგენიძე ერთდროულად რამდენიმე მნიშვნელოვან საქმეს არის შეჭიდებული. გარდა იმისა, რომ ახალ მუსიკალურ კომპოზიციებს წერს, აქტიურად ემზადება საერთაშორისო ფესტივალისთვის, რომელიც სექტემბერში ბათუმში გაიმართება. „ოქროს ხიდი" — ასე ეწოდება საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალს, რომელიც ნიჭიერი ახალგაზრდების მოძიებას და აღმოჩენას მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეეცდება. ბათუმში დაგეგმილი ვოკალისტთა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალს პატრისია კაასი, ქეთი მელუა, კრის ვილისი, ვალერი და კონსტანტინე მელაძეები, თიოდორ ბანდარჩუკი ეწვევიან. საპატი სტუმრის სტატუსით და აჭარაში გოტიეს, დოლჩე და გაბანას და კრისტიან ლაკრუას ეპატიჟებიან. ამ საქმის ორგანიზებაში დათო ევგენიძეს აქტიურად უდგას მხარში დათო ოქიტაშვილი, რომელიც არ მალავს, რომ საქართველოში არის დაჯგუფება, რომელიც მას ებრძვის, თუმცა, თავს იმით იმშვიდებს, რომ მათ მოშურნეებს არაფერი გამოუვათ.

ფესტივალის ჩატარებამდე კი დათო ევგენიძე რიგით მერვე სეზონის „ანა ბანას" ჟიურიში გამოჩნდა, ორიოდე დღის წინ კი გალარეა „არტ ისტში" ფართო საზოგადოების წინაშე როგორც პოეტი, ისე წარდგა.

დათო ევგენიძეს ძალიან უყვარს სპონტანურად მოწყობილი როგორც მუსიკალური, ასევე პოეზიის საღამოები. ამჯერად მისი შეხვედრა მკითხველთან, მისი ორი კრებულის პრეზენტაციას მიეძღვნა. საღამოს კომპოზიტორისა და პოეტის მეგობრები, ახლობლები და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები ესწრებოდნენ.

დათო ევგენიძემ „არტ ისტში" შეკრებილი მსმენელისთვის ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ლექსები წაიკითხა. ეს ლექსები მის ორ ახალ კრებულში ეშვა, რომელთა სახელწოდებებიც ხელოვანს უკვე მოფიქრებული აქვს — „პოსტ

**გაგრძელება მე-8 გვერდზე**

## ასტროპროგნოზი 22 თებერვლისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

წარმატებული დღეა.

**ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, უფროსობა გწყალობთ. **კირჩხიბი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **ლომი** — მშვენიერი დღეა, გელით საჩუქარი. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** — ახალი საქმე გაამართლებს. **ღრიანკალი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **მშვილდოსანი** — დაისვენეთ და გაერთეთ, არ გადაიღალოთ. **თხის რქა** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **თევზები** — იაქტიურეთ, დღეს გაგიმართლებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

***

— ქორწინებამდე რა საქმიანობას ეწეოდით?

— ჰმ, რაც გამეხარდებოდა, იმას...

***

ხალხით გადაჭედილ ავტობუსში მთვრალი მამაკაცი შეეტენა. არყის სუნად ყარს, მგზავრები პირს იბრუნებენ და წუწუნებენ.

— ცარიელ ავტობუსში ვერ ახვედი?

— ცარიელში ვეცემი...

***

ექიმი პაციენტს:

— დროულად მოხვედით ჩემთან.

— რა, ასე სერიოზულად არის საქმე?

— კიდევ ერთი დღე და უჩემოდ გამოჯანმრთელდებოდით...

***

— ალო, ეს ცხოველთა დაცვის საზოგადოებაა?

— რა იყო, ვინმემ გაწყენინა?

***

ჭიანჭველა ზის, ტელევიზორს უყურებს, სპილო შემოვიდა, მის წინ დაჯდა და ეკრანი დაფარა. ჭიანჭველა წამოდგა, სპილოს შემოუარა, წინ დაუჯდა და გესლიანად ეკითხება:

— მოგეწონება, შენ წინ რომ დავჯდე?

***

— ქმარს რას აჭმევთ?

— რასაც ჩვენ ვჭამთ, იმასაც იმავეს ვაჭმევთ.



გ. თ.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სოფლის შარაგზა; 2. მდინარე გერმანია-პოლონეთის საზღვარზე; 3. ნაზბეწვიანი ცხვრის ჯიში; 4. მეფის სასახლის მცველი რაზმი ძველად საქართველოში; 5. აჭარული ცეკვა; 9. ფულის ერთეული აზერბაიჯანში; 12. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 14. ალუბლის ერთ-ერთი ჯიში, იაპონიის სიმბოლო; 15. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი; 17. ბალ-ბოსტნის ძველი ქართული სახელწოდება; 18. აბრეშუმის ჭია.

**თარაზულად:** 6. შტატი აშშ-ში; 7. მოძღვრება ღვთისმეტყველების შესახებ; 8. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 10. ბრონქების დაავადებით გამოწვეული სულის ხუთვა; 11. თებერვლის თვის ქართული სახელწოდება; 13. თურქეთის ძველი სახელწოდება; 16. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 19. ღვინის სპირტი; 20. ხევსურული ტანსაცმელი.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა



## როგორ ვებრძოლოთ მოწყენილობას

**ტესტი**



1. წინასწარ შედგენილი გეგმით ცხოვრობთ?
2. გსურთ მეტი პასუხისმგებლობა?
3. თუ გშურთ იმ ადამიანებისა, ვინც საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს?
4. გინდათ მეტი მოულოდნელობები გქონდეთ?
5. შეგიძლიათ სრულად განჭვრიტოთ თქვენი პარტნიორის ყოფაქცევა?
6. თქვენი ინტერესების უმეტესობა ტელევიზორთანაა დაკავშირებული?
7. როგორც წესი, დილით იცით, რასაც გააკეთებთ დღის განმავლობაში?
8. გაწუხებთ მოწყენილობა?
9. ხანდახან ყვირილი გინდათ?

**პასუხები**

**დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:**

**0-3 ქულა:** მოწყენილობისათვის არ გცალიათ, რადგან მეტად საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობთ.

**4-6 ქულა** მოწყენილობა არ გაწუხებთ, თუმცა, ხანდახან გეუფლებათ ხოლმე უგუნებობა, თავს დათრგუნვილად გრძნობთ ხოლმე, შეეცადეთ არ მიაქციოთ ამას ყურადღება, რადგან, როგორც წესი, მოწყენილობის პერიოდს აქტიურობის პერიოდი ცვლის ხოლმე.

**7-9 ქულა:** მიუხედავად იმისა, რომ მოწყენილობა დიდ უბედურებად არ ითვლება, იგი თქვენი პრობლემების მთავარ მიზეზს წარმოადგენს. შეეცადეთ გაიმრავალფეროვნოთ ცხოვრება, ჰობის ძიებით დაიწყეთ, მოკიდეთ ხელი იმას, რაც ყველაზე უკეთ გამოგდით და რითიც შეგიძლიათ იამაყოთ. მზად იყავით, ხანდახან რისკზე წახვიდეთ.

გ. თ.